N 1 2025

მასწავლებელი

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„რემედიაციის გაკვეთილები“

№1(104), 2025
მასწავლებელი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
ბერიკა შუკაკიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
მანანა ბოჭორიშვილი,
თამთა დოლიძე, ნათია ფურცელაძე,
თემურ სუყაშვილი,
ქეთევან ოსიაშვილი,
მეგი კავთუაშვილი, მაია მენაბდე,
მაია ფირჩხაძე, მარიამ გოდუაძე,
გიორგი ჭაუჭიძე,
ქრისტინე სურგულაძე,
მაია იანტბელიძე, ლევან ალფაიძე,
ირენა მახარაძე, ირმა ტაველიძე,
ნინო ლომიძე, დიანა ანფიმიადი,
ნათია ნაფეტვარიძე

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი,
ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი:
FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.
ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალ „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 მ-374

www.tpdc.ge

ნატო ინგოროყვა

წერილი, რომლის ამონარიდსაც რედაქტორის წერილში წაიკითხავთ, 120 წლისაა.

საუკუნეზე მეტი ხნის წინ, ქართველი საზოგადოება შეთანხმებული იყო მთავარ ღირებულებებზე განათლებაში და ის თავმოყვარე, თავისუფალი, დამოუკიდებელი ადამიანის აღზრდას გულისხმობდა

მას შემდეგ განათლების რეფორმის რამდენიმე ფერის და ფორმის ცვალება გამოიარა ჩვენმა ქვეყანამ, თითოეულ მათგანში, ცხადია, ეს სურვილები გაცხადებული იყო და ძალისხმევაც აქეთკენ მომართული.

თუმცა, 120 წლის შემდეგაც ეს წერილი ისეთივე თანამედროვეა და ისევე იკითხება, როგორც მაშინ და დღესაც ჩვენი მთავარი გამოწვევა ისევ ეს სატკივარია.

„საზოგადოებას ესაჭიროება არა კაცი მორჩილი, მუდამ ქედ-მოხრილი, სხვის თვალში მაცქერალი, არამედ კაცი დამოუკიდებელი, თავმოყვარე, თავისუფლების მოტრფიალე, – ერთის სიტყვით, ნამდვილი მოქალაქე, როგორც ეს ესმის დღეს ყოველ განვითარებულ ევროპიელს. რაც ანვითარებს მონობას, აუძლურებს ადამიანის ხასიათს, ჰკლავს დამოუკიდებლობას, – ის საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგია, საზოგადოების მერმისის დამღუპველია. ვინც მონაა, სულით დამონებას ემორჩილება, ის საზოგადოების დამაბრკოლებელი ბარგია. საზოგადოების მტერია. ამიტომაც სკოლა თავიდანვე უნდა ანვითარებდეს მოწაფეში იმ მოქალაქეობრივ თავისუფლებისადმი მისწრაფებას, რომელიც აუცილებელ საჭიროებას, აუცილებელ საფუძველს შეადგენს ყოველ საზოგადოებისათვის.

აქედან ცხადია, – სასწავლო საგნებიდან უნდა გამოირიცხოს ყველაფერი, რაც მოქალაქეობრივ თავისუფლების წინააღმდეგაა მიმართული. და სწორედ ამ თავისუფლებას ეწინააღმდეგება ყველაფერი ის, რაც ყალბია, არა-მეცნიერულია. მეცნიერება თავის მიდრეკილებით მონობის მტერია. იქ, სადაც მონობაა, მეცნიერება ფეხს ვერ იკიდებს. მეცნიერება და თავისუფლება ტყუპი ძმები არიან. ისინი წარმოიშვენ ერთის საზოგადოებრივ პროცესისაგან და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ერთად მოქმედებენ. როცა ხალხში გამეფებულია მონობა, მეცნიერებასაც გზა დახშული აქვს; ხოლო როცა მეცნიერება გზას გაიკაფავს, თავისუფლებაც აღორძინდება.”

ილია ჭავჭავაძე
„განათლების რეფორმის შესახებ“
ივერია, 1905 წელი

თუ დღეს სხვაგვარად არ ვფიქრობთ, მაშინ გავბედავ და ცოტა რიტორიკულად ვიკითხავ, – სურვილები და სინამდვილე რატომ არ არიან თანხვედრაში?



გამოცდილება

მანანა ბოჭორიშვილი

4 | მრავალფეროვანი გაკვეთილები

სწავლების პროცესის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია, გაკვეთილები მორგებული იყოს მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს. ამ მიზნის მისაღწევად მასწავლებელმა გაკვეთილების ჩატარებისას მრავალფეროვანი ინოვაციური და სამოტივაციო მეთოდები უნდა გამოიყენოს.

ნათია ფურცელაძე

15 | წერილი ანას

ჩემი მთავარი სათქმელი სამადლობელია. ანა, დიდ მადლობას გიხდი, რომ წიგნის წაკითხვა მირჩიე და ამ წერილის მოწერის სურვილი გამიჩინე. ძალიან მიხაროდა, შენი რეკომენდაციით რომ ვკითხულობდი და მერე წერილს გწერდი.

მარიამ გოდუაძე

35 | ნშშმ ბავშვები – ნიჭიერები შეზღუდვებით

ნშშმ მოსწავლეების იდენტიფიცირება ხშირად რთულია. შესაძლოა, იმის გამოც, რომ ისინი, როგორც წესი, ვერ ერგებიან ვერც მხოლოდ ნიჭიერი ბავშვის და ვერც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტერეოტიპს. ბევრი ნშშმ ბავშვის განსაკუთრებული ინტელექტუალური ნიჭი რჩება უღიარებელი, ბევრი ოფიციალურად არ არის იდენტიფიცირებული როგორც ნიჭიერი შშმ მოსწავლე.

გიორგი ჭაუჭიძე

40 | პირველი დღე პირველ კლასში

მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ ამა თუ იმ ქმედების შესასრულებლად გარკვეული ძალისხმევის გაღება მოუწევს და ეს მისი მოვალეობაა. პასუხისმგებლობა მოსწავლემ უნდა იგრძნოს არა მხოლოდ სწავლის, არამედ თანაკლასელებისა და მასწავლებლის მიმართაც.

ქრისტინე სურგულაძე

45 | კლასის მართვა: გარემო და რესურსები

თუ გაკვეთილის დაგეგმვისას გარემოსა და რესურსებს სწორად გამოვიყენებთ, კლასის მართვის ის ნაწილი, რომელიც მოსწავლეთა ქცევის კონტროლს უკავშირდება, საგრძნობლად გამარტივდება.

შეფასება

თამთა დოლიძე

8 | სასკოლო შეფასება – ბარიერი თუ მამოძრავებელი ძალა

მას შემდეგ, რაც მასწავლებელი გავხდი, ყველაზე მეტად სწორედ ეს საკითხი მაფიქრებს. ვარ კი საკმარისად გათვითცნობიერებული, კომპეტენტური ან თუნდაც ობიექტური, რათა ჩემმა დაწერილმა ქულამ ვინმეს მომავალზე სათანადო გავლენა მოახდინოს?

რეკომენდაცია

მაია ფირჩხაძე

11 | რეკომენდაციები სწავლების ოპტიმიზაციისთვის აღქმის მოდალობათა გათვალისწინებით

სწავლის სტილი აღქმის მოდალობაზეა მიბმული. მასზე აქცენტირება ეხმარება მოსწავლეს, განივითაროს ვიზუალური, სმენითი, კინესთეტური და ციფრული უნარები.

კვლევა

თემურ სუყაშვილი

18 | როგორ ვასწავლოთ კვლევის ჩატარება საბაზო და საშუალო საფეხურებზე

ანალიტიკური უნარების განვითარება ზოგადი განათლების ერთ-ერთ ეროვნულ მიზანს წარმოადგენს. ამის კვალობაზე, მოსწავლეებისთვის კვლევა-ძიების უნარების ჩამოყალიბება სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილია.

ისტორია

ლევან ალფაიძე

51 | რისთვის იბრძოდნენ დღევანდელი სტუდენტების ბებიები და ბაბუები. XX საუკუნის 60-იანი წლების სტუდენტური საპროტესტო მოძრაობები

სტუდენტთა საპროტესტო მოძრაობის ძირითადი მიზეზები ალბათ მეორე მსოფლიოს ომის შემდეგ მსოფლიოში გაბატონებულ განწყობებში უნდა ვეძებოთ. ფაშიზმის, ნაცისტების საკონცენტრაციო ჯოჯოხეთის, ჰოლოკოსტის, სისხლისმღვრელი ბრძოლებისა და, დასასრულ, ჰიროსიმა-ნაგასაკის აპოკალიფსური ბირთვული ეპიზოდის შემდეგ ადამიანებს ომის, ძალადობისა და სისხლიანი დაპირისპირებების გაგონებაც კი აღარ უნდოდათ.

მოსაზრება

მეგი კავთუაშვილი

24 სკოლისა და მშობლების თანამშრომლობის ორმაგი შესაძლებლობების ამერიკული ჩარჩო

სკოლებში ნაკლები დრო ეთმობა მასწავლებლებსა და მშობლებს შორის ნდობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ასეთი ურთიერთობების არარსებობის შემთხვევაში სკოლებში უფრო ხშირად იღებენ არასწორ, არაპრაქტიკულ და ზოგჯერ მავნე გადაწყვეტილებებს მოსწავლეების შესახებ.

მაია მენაბდე

31 აპოლიტიკური მოზარდები თუ ა, პოლიტიკური მოზარდები?

ზემოთქმულს ემატება ისიც, რომ მოსწავლეების საყვარელი და მარადიული კითხვაა: „რასაც ვსწავლობ, რისთვის ვსწავლობ? რაში გამომადგება?“ – ამიტომ ნებისმიერი საგნის მასწავლებლის საფიქრალი სწორედ ის არის, მოსწავლეებს საგნის პრაქტიკულობა დაანახოს.

მაია იანტბელიძე

47 ევროპის რენესანსის ფილოსოფიის საწყისები: იოანე პეტრიწი როგორც „არეოპაგიტიკის“ ინტერპრეტატორი

შუა საუკუნეების კულტურამ ბერძნული ფილოსოფია ძირითადად ნეოპლატონიზმის სახით მიიღო. ეს იყო ბერძნული ფილოსოფიის ხსნის უკანასკნელი მცდელობა. ნეოპლატონიზმი როგორც ბაზისი, საფუძველი, ყველაზე მოხერხებული აღმოჩნდა ახალი მსოფლმხედველობის განვითარებისთვის, თუმცა ეს მეტამორფოზა, ტრანსფორმაცია, უმტკივნეულო არ ყოფილა და შემოქმედებით მიდგომასაც გულისხმობდა.

ესთეტიკური აღზრდა

ირენა მახარაძე

54 განსხვავებული მასალების ხიბლი

როცა გაკვეთილს განსხვავებული მასალებით ვგეგმავ, ზუსტად ვიცი, რომ ყველაზე მოუსვენარი ბავშვებიც დავალებას ყურადღებით შეასრულებენ.

განათლების ფსიქოლოგია

ქეთევან ოსიაშვილი

21 ბავშვთა მენტალური ჯანმრთელობა

მენტალური ჯანმრთელობა – ეს ადამიანის ემოციური და სულიერი კეთილდღეობის მდგომარეობაა. ეს არის მდგომარეობა, როდესაც ადამიანს შეუძლია საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება, ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ სტრესთან გამკლავება, ნაყოფიერად მუშაობა.

27 ირმა ტაველიძე
ზამთრის გზები: ორი ფილმი მოზარდებზე

28 ნინო ლომიძე
რონალდ დევისი „დისლექსიის ნიჭი“

29 დიანა ანფიმიადი
რაღაც და როგორღაც: „ხევისბერი გოჩა“ – ბედისწერა და ტრაგედია

30 ნათია ნაფეტვარიძე
ლიტერატურის გაკვეთილები

მანანა ბოჭორიშვილი

მრავალფეროვანი გაკვეთილები

სწავლების პროცესის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია, გაკვეთილები მორგებული იყოს მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს. ამ მიზნის მისაღწევად მასწავლებელმა გაკვეთილების ჩატარებისას მრავალფეროვანი ინოვაციური და სამოტივაციო მეთოდები უნდა გამოიყენოს.

ხშირად გამოიყენება გაკვეთილის ტიპების კლასიფიკაცია, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სწავლების პროცესის ორგანიზებას და მოსწავლეთა საჭიროებებთან მის ადაპტირებას. გაკვეთილების კლასიფიკაცია ეფუძნება სხვადასხვა კრიტერიუმს: სწავლების მიზნებს, აქტივობების ფორმატს, მოსწავლეთა საჭიროებებს. კვლევებში ხშირად გამოიყენება ტრადიციული (ლექცია, დისკუსია) და ინოვაციური (ტექნოლოგიებზე დაფუძნებული, ინტერაქციული) მიდგომები, რომლებიც საშუალებას იძლევა, სხვადასხვა სახის გაკვეთილის ჩატარების მეთოდიკა მორგებული იყოს კონკრეტული საგნის ან ჯგუფის საჭიროებებს. გაკვეთილების მრავალფეროვნება ასახავს სასწავლო პროცესის მოქნილობას და მასწავლებელს ეხმარება, რაციონალურად გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდი სწავლების შედეგების მისაღწევად.

ეს მასალა აერთიანებს გაკვეთილების ჩამონათვალს, რომლებიც რამდენიმე თემატურ კლასტერად არის გაერთიანებული და ამ კლასტერებში შემავალი თითოეული გაკვეთილი აღწერილია მოკლედ.

გაკვეთილების ტიპური კლასტერები

გაკვეთილების ტიპური კლასტერი	გაკვეთილის დასახელება
ცოდნის მიწოდებაზე ორიენტირებული გაკვეთილები	1. ახალი მასალის ახსნის გაკვეთილი 2. კომბინირებული გაკვეთილი
ინტეგრირებული და მულტიდისციპლინური გაკვეთილები	1. ინტეგრირებული გაკვეთილი 2. ინტეგრირებული STEM-გაკვეთილი 3. ინტეგრირებული არტ-გაკვეთილი
ცოდნის განმტკიცებაზე ორიენტირებული გაკვეთილები	1. ცოდნის განმტკიცების გაკვეთილი 2. სისტემატიზაციის გაკვეთილი
პრაქტიკულ და ტექნოლოგიურ უნარებზე დაფუძნებული გაკვეთილები	1. პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაკვეთილი 2. ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გაკვეთილი 3. ვირტუალური სიმულაციის გაკვეთილი
კრიტიკულ აზროვნებასა და პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული გაკვეთილები	1. პრობლემაზე დაფუძნებული გაკვეთილი 2. რეფლექსიური გაკვეთილი
ინტერაქციული და ინოვაციური მიდგომები	1. ინტერაქციული გაკვეთილი 2. ინოვაციური გაკვეთილი 3. გაკვეთილი-თამაში

1. ცოდნის მიწოდებაზე ორიენტირებული გაკვეთილები – ესენია ახალი სასწავლო მასალის შემოტანისა და გაცნობის მიზნით დაგეგმილი გაკვეთილები, რომლებზეც მოსწავლეები პირველად ეცნობიან კონკრეტულ თეორიულ საკითხს, მაგალითად, პითაგორას თეორემას ან ვულკანების აგებულებას, პრაქტიკული აქტივობებისა და თვალსაჩინო მაგალითების გამოყენებით.

ახალი მასალის ახსნის გაკვეთილი

- **მაგალითი:** პითაგორას თეორემის გაცნობა
- **აღწერა:** მოსწავლეები ხაზავენ სამკუთხედებს, ამოწმებენ თეორემას პრაქტიკულად და სწავლობენ მის გამოყენებას რეალურ ცხოვრებაში.
- **მიზანი:** ახალი მასალის გაცნობა და მისი ძირითადი პრინციპების გაგება

კომბინირებული გაკვეთილი

- **მაგალითი:** გეოგრაფიის გაკვეთილი თემაზე „ვულკანები“
- **აღწერა:** დოკუმენტური ვიდეომასალის ნახვის შემდეგ მოსწავლეები ქმნიან ვულკანის მოდელს და მართავენ პრეზენტაციას.
- **მიზანი:** თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების კომბინირება

2. ცოდნის განმტკიცებაზე ორიენტირებული გაკვეთილები არსებული ცოდნის განმტკიცებისა და სისტემატიზაციის მიზნით დაგეგმილი გაკვეთილებია, რომლებზეც მოსწავლეები პრაქტიკული დავალებებით ამოწმებენ და ავრცობენ შეძენილ ცოდნას (მაგალითად, ენის გრამატიკული წესების გამოყენება წერით და ზეპირ კომუნიკაციაში).

ცოდნის განმტკიცების გაკვეთილი

- **მაგალითი:** ინგლისური ენის Present Perfect-ის გამოყენება
- **აღწერა:** მოსწავლეები წერენ მოკლე ტექსტებს და დიალოგებში იყენებენ წინადადების ახალ სტრუქტურებს.
- **მიზანი:** პრაქტიკული გამოყენებით ცოდნის განმტკიცება

სისტემატიზაციის გაკვეთილი

- **მაგალითი:** ისტორიის გაკვეთილი შუა საუკუნეებში განვითარებულ მოვლენებზე
- **აღწერა:** მოსწავლეები ქმნიან ქრონოლოგიურ ხაზს და რუკაზე აღნიშნავენ ისტორიულ მოვლენებს.
- **მიზანი:** თემატური ცოდნის სტრუქტურირება და გრძელვადიანი დამახსოვრება

3. ინტეგრირებული და მულტიდისციპლინური გაკვეთილები სხვადასხვა საგნის თემების სინთეზზე დაფუძნებული მიდგომაა, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, კომპლექსურად შეისწავლონ რთული საკითხები, მაგალითად, წყლის თემა ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ჭრილში, რაც ხელს უწყობს სიღრმისეული ცოდნის ჩამოყალიბებას.

ინტეგრირებული გაკვეთილი

- **მაგალითი:** წყლის თემა.
- **აღწერა:** ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის თემების გაერთიანება ერთ გაკვეთილში. მოსწავლეები ატარებენ ექსპერიმენტებს წყლის აგრეგატულ მდგომარეობებზე და ხსნიან მის მნიშვნელობას ცოცხალი ორგანიზმებისთვის ბიოქიმიურ კონტექსტში.
- **მიზანი:** სხვადასხვა საგნის თემების სინთეზით მოსწავლეთა სიღრმისეული ცოდნის გამდიდრება

ინტეგრირებული ხელოვნების გაკვეთილი

- **მაგალითი:** მუსიკა და პოეზია
- **აღწერა:** მოსწავლეები ქმნიან მუსიკალურ კომპოზიციებს პოეტური ტექსტებისთვის.
- **მიზანი:** შემოქმედებითი უნარების განვითარება და ხელოვნების დარგებს შორის კავშირების დანახვა

ინტეგრირებული STEM-გაკვეთილი

- **მაგალითი:** ენერგიის წყაროები
- **აღწერა:** ფიზიკაში განიხილება ენერგიის სახეები, გეოგრაფიაში – ბუნებრივი რესურსები, ხოლო ტექნოლოგიებში – მათი გამოყენების ინოვაციური გზები.
- **მიზანი:** ინტეგრირებული ცოდნის გამოყენება რეალურ საკითხებზე მუშაობისას

4. პრაქტიკულ და ტექნოლოგიურ უნარებზე დაფუძნებული გაკვეთილები სწავლების თანამედროვე მიდგომაა, რომელიც მოსწავლეებს უვითარებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს რეალური ტექნოლოგიური ხელსაწყოებისა თუ ვირტუალური გარემოს გამოყენებით

სწავლების პროცესის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია, გაკვეთილები მორგებული იყოს მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს. ამ მიზნის მისაღწევად მასწავლებელმა გაკვეთილების ჩატარებისას მრავალფეროვანი ინოვაციური და სამოტივაციო მეთოდები უნდა გამოიყენოს.

გაკვეთილების მრავალფეროვნება თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცის ცენტრალური ელემენტია, რომელიც ქმნის დინამიკურ, ადაპტირებად სასწავლო გარემოს. ეს მიდგომა მოსწავლეებს სთავაზობს სწავლის ინოვაციურ, ინტერაქციულ და პერსონალიზებულ ფორმებს, ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც, საბოლოოდ, მათ მომავლის გამოწვევებისთვის ამზადებს.

(მაგალითად, მიკროსკოპით მუშაობა ან Google Earth-ის საშუალებით გეოგრაფიული კვლევა).

პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაკვეთილი

- **მაგალითი:** ბიოლოგიაში უჯრედის მიკროსკოპით დათვალიერება
- **აღწერა:** მოსწავლეები მუშაობენ ლაბორატორიაში და სწავლობენ მიკროსკოპის გამოყენებას.
- **მიზანი:** თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება

ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გაკვეთილი

- **მაგალითი:** გეოგრაფიის გაკვეთილი Google Earth-ით
- **აღწერა:** მოსწავლეები ვირტუალურად მოგზაურობენ სხვადასხვა რეგიონში და სწავლობენ გეოგრაფიულ გარემოს.
- **მიზანი:** თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სწავლების პროცესში

ვირტუალური სიმულაციის გაკვეთილი

- **მაგალითი:** ქიმიის გაკვეთილი ვირტუალურ ლაბორატორიაში
- **აღწერა:** მოსწავლეები ატარებენ ექსპერიმენტებს ვირტუალურ გარემოში, სწავლობენ რეაქციებს და აანალიზებენ შედეგებს.
- **მიზანი:** უსაფრთხო და ინტერაქციული ექსპერიმენტების საშუალებით თეორიის უკეთ გააზრება

5. **კრიტიკულ აზროვნებასა და პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული გაკვეთილები** მოსწავლეებს აიძულებს, დამოუკიდებლად იაზროვნონ, გააანალიზონ სიტუაციები, წამოაყენონ ჰიპოთეზები და მიაგნონ ორიგინალურ გადაწყვეტას (მაგალითად, სკოლის ნარჩენების შემცირების პრობლემაზე მუშაობა).

პრობლემაზე დაფუძნებული გაკვეთილი

- **მაგალითი:** როგორ შევამციროთ სკოლის ნარჩენები?
- **აღწერა:** მოსწავლეები აწარმოებენ კვლევას და გვთავაზობენ ნარჩენების შემცირების იდეებს.
- **მიზანი:** კრიტიკული აზროვნების განვითარება და ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება

რეფლექსიური გაკვეთილი

- **მაგალითი:** ჩემი წარმატების გზა
- **აღწერა:** მოსწავლეები ავსებენ თვითშეფასების კითხვარებს და ქმნიან გეგმას საკუთარი უნარების გასაუმჯობესებლად.
- **მიზანი:** თვითშეფასების უნარების განვითარება და მიღწევების ანალიზი

6. **ინტერაქციული და ინოვაციური მიდგომები** — ამ ტიპის გაკვეთილები სწავლების პროცესს აქცევს სახალისო, თამაშის მსგავს აქტივობად, რომელშიც მოსწავლეები ხალისით მონაწილეობენ და ასრულებენ სხვადასხვა როლს (მაგალითად, ისტორიული სასამართლო პროცესის გაცოცხლება ან ბიზნესგეგმის შედგენა).

ინტერაქციული გაკვეთილი

- **მაგალითი:** ისტორიის გაკვეთილი „წარსულის სასამართლო“
- **აღწერა:** მოსწავლეები განიხილავენ ისტორიულ მოვლენას სასამართლოს ფორმატში.
- **მიზანი:** კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირების უნარების განვითარება

ინოვაციური გაკვეთილი

- **მაგალითი:** ჩემი მინიბიზნესი.
- **აღწერა:** მოსწავლეები ადგენენ ბიზნესგეგმას და ცდილობენ პროდუქტის გაყიდვის იმიტაციას კლასში.
- **მიზანი:** ფინანსური აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების გაძლიერება

გაკვეთილი-თამაში

- **მაგალითი:** მათემატიკის გაკვეთილი — „სახალისო კონკურსი“
- **აღწერა:** მოსწავლეები გუნდებად იყოფიან და აწყობენ შეჯიბრს ამოცანების, მათემატიკური მაგალითებისა და თავსატეხების სწორად და სწრაფად ამოხსნაში.
- **მიზანი:** სწავლის პროცესის გახალისება და გუნდური მუშაობის განვითარება

გაკვეთილების მრავალფეროვნება თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცის ცენტრალური ელემენტია, რომელიც ქმნის დინამიკურ, ადაპტირებად სასწავლო გარემოს. ეს მიდგომა მოსწავლეებს სთავაზობს სწავლის ინოვაციურ, ინტერაქციულ და პერსონალიზებულ ფორმებს, ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც, საბოლოოდ, მათ მომავლის გამოწვევებისთვის ამზადებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. UNESCO (2020). **Digital Learning Tools: Supporting Teachers.** პარიზი, UNESCO Publishing
2. Microsoft Education (2021). **Innovative Teaching and Technology Integration.** რედმონდი, Microsoft Press.
3. **Education Sciences** (2022). *An International Journal on Innovative Teaching Strategies*
4. **Journal of Educational Research** (2021). *Research on Effective Teaching Practices*
5. **Pedagogy and Education** (2023). *Integrative Approaches in Educational Theories*

თამთა დოლიძე

სასკოლო შეფასება – ბარიერი თუ მამოძრავებელი ძალა

მას შემდეგ, რაც მასწავლებელი გავხდი, ყველაზე მეტად სწორედ ეს საკითხი მაფიქრებს. ვარ კი საკმარისად გათვითცნობიერებული, კომპეტენტური ან თუნდაც ობიექტური, რათა ჩემმა დაწერილმა ქულამ ვინმეს მომავალზე სათანადო გავლენა მოახდინოს?

დიდი ხანია, ქართულ სასკოლო სივრცეში მიღებული შეფასებების მნიშვნელობაზე ვკამათობთ. ზოგი იმაზე დარდობს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ შეფასებებს სკოლის გარეთ არანაირი ღირებულება არ გააჩნია, ზოგი კი განათლების სამინისტროს ახალ ინიციატივას აპროტესტებს. შეგახსენებთ, რომ სკოლის ნიშნებისთვის უნივერსიტეტში ჩაბარების პროცესში გარკვეული პრივილეგიის მინიჭების შესახებ განცხადება შარშან განათლებისა და მეცნიერების ყოფილმა მინისტრმა გიორგი ამილახვარმა გააკეთა, თუმცა ამ ინიციატივის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო. ცოტა ხნის წინ ეს საკითხი ახალ სამთავრობო პროგრამაშიც გაჟღერდა: „პირველად საგანმანათლებლო სივრცეში უზრუნველყოფილი იქნება სკოლის აკადემიური მოსწრების გათვალისწინება უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის, რაც გაზრდის ზოგადი განათლების მნიშვნელობას და აამაღლებს სკოლის პრესტიჟს“, – ნათქვამია დოკუმენტში.

მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით ჯერ არ გადადგმულა, განათლების სპეციალისტების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ქართული სასკოლო შეფასების სისტემა ჯერჯერობით ვერ პასუხობს თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებს. ამასთან, ზემოაღნიშნულმა სისტემამ შესაძლოა სკოლებში კორუფცია დააბრუნოს/გააძლიეროს და რეპეტიტორების როლიც ერთიორად გაზარდოს.

მასწავლებელთა დიდი ნაწილი აღიარებს, რომ შეფასება ქართული საგანმანათლებლო სისტემის აქილევსის ქუსლია. ამასთან, ზოგიერთ სკოლაში დღესაც მიღებულია მშობელთა მიერ მასწავლებლების დასაჩუქრება და მასწავლებელთა მიერ საკუთარი მოსწავლეების მომზადება, არადა მასწავლებლის ეთიკის კოდექსში გარკვევით წერია, რომ პედაგოგს ამის უფლება არ აქვს. შედეგად მასწავლებლის შეფასების ობიექტურობა ეჭვქვეშ დგება და სწავლის არათანაბარ პირობებზე მიანიშნებს, რაც, თავის მხრივ, შეფასების სანდოობაზე უარყოფითად აისახება. გარდა ამისა, ე.წ. ნიშნებისთვის ბრძოლა არაჯანსაღ კონკურენციას წარმოშობს და უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლეთა ურთიერთობაზეც. ანუ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზემოხსენებული ცვლილების განხორციელებამდე სასკოლო შეფასების სისტემა უნდა მოწესრიგდეს, დაექვემდებაროს შეფასების ძირითად პრინციპებს (სანდოობა, ვალიდურობა, ობიექტურობა, გამჭვირვალობა) და დაინერგოს სასკოლო შეფასების კონტროლის ეფექტური მექანიზმები.

არავინ დავობს იმის შესახებ, რომ სასწავლო პროცესის და მოსწავლის როგორც ამ პროცესის მთავარი რგოლის შეფასება სწავლა-სწავლების ხარისხის მართვის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლის შეფასება

ეფუძნება სწავლისადმი კონსტ-რუქტივისტულ მიდგომას, რაც გულისხმობს მოსწავლის აქ-ტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ახალი ცოდნის ძველზე დაშენებას. წინარე გამოცდილება ზემოაღნიშნული საგანმანათლებლო მიდგომის ერთ-ერთი მთავარი კომპონენ-ტი გახლავთ, მასწავლებელი კი სწავლის პროცესში უმეტესად ფასილიტატორის როლში გვევლინება. ესგ-ის მიხედვით, მოსწავლის შეფასების ძირითა-დი მიზნებია: წინარე ცოდნისა და წარმოდგენების დადგენა ახალი საკითხის შესწავლამდე; მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა ინდივი-დუალური წინსვლის ხელ-შესაწყობად; ცოდნის სამივე კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისე-ული) დაფარვა და იმის ჩვენება, რამდენად შეუძლია მოსწავლეს მიღებული ცოდნის მიზნობრი-ვად გამოყენება.

იმისთვის, რომ შეფასების პრო-ცესი ეფექტური და გამჭვირვა-ლე იყოს, მოსწავლეები კარგად უნდა იცნობდნენ თითოეული დავალების შეფასების ინდი-კატორებს და იზიარებდნენ მათ მნიშვნელობას თვითგან-ვითარების გზაზე. ანუ მათ უნდა იცოდნენ, რას, როგორ, როდის და რატომ აკეთებენ. მათ დროულად უნდა მიეწო-დოთ შესაბამისი რესურსები და გაეწიოთ კონსულტაციები, რაც სასურველი მიზნის მიღწევას გაუადვილებთ.

თუ ვსაუბრობთ შეფასებაზე როგორც მოსწავლის მიღწევის დონის შესახებ ინფორმაციულ მონაცემზე, მაშინ სასურველია, განმსაზღვრელ შეფასებას ერთ-ვოდეს განმავითარებელი კო-მენტარი, რომელიც განმარტავს ამა თუ იმ ქულის შინაარსს, რადგან განმსაზღვრელი შეფასება განმავითარებელი



შეფასების ინსტრუმენტების შედგენა მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო ნაწილია, რადგან ის, საგნის ცოდნის დონის გაზომვასთან ერთად, მოსწავლეთა კონკრეტული ჯგუფის საჭიროებებს და დიფერენცირებული სწავლების მოთხოვნებსაც უნდა ითვალისწინებდეს.

კომენტარის გარეშე ნაკლებად ინფორმაციულია და ხელს ვერ შეუწყობს მოსწავლის წინსვლას (მაგალითად, მხოლოდ იმის ცოდნა, რომ ჰაგიოგრაფიული ტექსტების შესახებ შესრულებულ ტესტში 8 ქულა მიიღეთ, ამ საკითხის უკეთ შესწავლაში ვერ დაგეხმარებათ).

თუ კონსტრუქტივისტულ მიდგომაზე ვსაუბრობთ, მაშინ შეფასების რუბრიკაში, სწავლის შედეგთან ერთად, უნდა აისახოს ისეთი კრიტერიუმებიც, როგორიცაა მოსწავლის ძალისხმევა და პასუხისმგებლობა, მისი ჩართულობის ხარისხი, ინდივიდუალური პროგრესი, საკუთარი ნაზრევის გადმოცემის შესაძლებლობა და სხვ.

ყველა მასწავლებელმა იცის, რომ მოსწავლის შეფასება უნდა ეყრდნობოდეს შეფასების ძირითად პრინციპებს: სანდოობას, ვალიდურობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ მოსწავლეებს წინასწარ უნდა მიეწოდოთ საჭირო ინფორმაცია შეფასების ფორმატის შესახებ; შესაფასებელი დავალებები, მათი ინსტრუქციები და შეფასების სქემა მკაფიოდ და გასაგებად უნდა იყოს ფორმულირებული; სხვადასხვა ხერხით უნდა შემოწმდეს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობა; მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს მოსწავლის ცოდნის/უნარების შეფასების შესაბამისი ფორმა და შეფასების ინსტრუმენტი კონკრეტული მიზნის გაზომვას უნდა ემსახურებოდეს. შეფასების პროცესის გამჭვირვალობა და შემფასებლის ობიექტურობა კი მასწავლებლის ძალისხმევას უკავშირდება და დიდწილად განსაზღვრავს მოსწავლის დამოკიდებულებას შეფასების პროცესის მიმართ.

როგორც ვხედავთ, შეფასების ინსტრუმენტების შედგენა მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო ნაწილია, რადგან ის, საგნის ცოდნის დონის გაზომვასთან ერთად, მოსწავლეთა კონკრეტული ჯგუფის საჭიროებებს და დიფერენცირებული სწავლების მოთხოვნებსაც უნდა ითვალისწინებდეს.

შეფასების პროცესში მოსწავლეთა აქტიური ჩართვის, მათი ინფორმირებულობისა და შეფასების მნიშვნელობის გააზრების მიუხედავად, მოზარდთა დიდი ნაწილისთვის ქულები მტკივნეულ საკითხად რჩება. არსებობს მოსწავლეთა კატეგორია, რომლებიც, სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა დაბალი ჩართულობიდან გამომდინარე, უგულებელყოფენ ქულათა მნიშვნელობას აკადემიური განვითარების პროცესში, მოზარდთა ის ნაწილი კი, რომელთა ოჯახებიც აქტიურად ინტერესდებიან შეფასებებით, ასე ვთქვათ, ნიშნებზე დამოკიდებულები ხდებიან. მშობლის უარყოფითი რეაქციის შიშით ისინი აპროტესტებენ ან თავს დატეხილ ტრაგედიასავით განიცდიან თითოეულ დაბალ ქულას. სამწუხაროდ, შეფასება ხშირად ბულინგის მიზეზადაც იქცევა (ვიღაცას დაბალი ქულების გამო დასცინიან, ვიღაცას კი მაღალი რეიტინგის გამო, კონკურენციის მიზეზით აბულინგებენ). ძნელად მოიძებნება მოსწავლე, კონკრეტულ სამუშაოში მიღებულ ქულას კონკრეტული ცოდნის ათვისების დონის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციად რომ აღიქვამდეს და გაუგებარ საკითხებთან მიბრუნების გზით აუმჯობესებდეს პირად პროგრესს. ისმის კითხვა: როგორ უნდა მოიქცეს სისტემა (სამინისტრო, სკოლა, მასწავლებელი), რომ გაიზარდოს შეფასებების მიმართ ჯანსაღი დამოკიდებულების მქონე მოსწავლეთა რიცხვი ანუ როგორ გარდავქმნათ შეფასება საზომი ინსტრუმენტიდან მოსწავლეთა მამოტივირებელ ძალად?

მას შემდეგ, რაც მასწავლებელი გავხდი, ყველაზე მეტად სწორედ ეს საკითხი მაფიქრებს. ვარ კი საკმარისად გათვითცნობიერებული, კომპეტენტური ან თუნდაც ობიექტური, რათა ჩემმა დაწერილმა ქულამ ვინმეს მომავალზე სათანადო გავლენა მოახდინოს? ვფიქრობ, მხოლოდ ინდივიდთა პროფესიონალიზმისა და ეთიკურობის იმედად ვერ ვიქნებით, რადგან შეფასების ამჟამინდელი სისტემა, ზემოაღნიშნული რისკები და, ამასთან ერთად, მოზარდების განვითარების ცვალებადი ტემპი/დამოკიდებულებები შეფასების გამართული ინსტრუმენტების შემთხვევაშიც კი ვერ მოგვცემს ისეთ ნათელ სურათს, რომელიც ამა თუ იმ აბიტურიენტისთვის პრივილეგიის მინიჭების ობიექტურ საფუძვლად გამოდგება. პირადად მე მივესალმები უნივერსიტეტის დაინტერესებას პოტენციურ სტუდენტთა სამოქალაქო ან სპორტულ/სახელოვნებო აქტივობებში ჩართულობით, თუმცა ამ მიმართულებას სულ სხვა შეფასების კრიტერიუმები და სტრუქტურა სჭირდება, რაც ჩვენი საგანმანათლებლო სივრცისთვის ჯერჯერობით უცნობ პრაქტიკას წარმოადგენს.

მაია ფირჩხაძე

რეკომენდაციები სწავლების ოპტიმიზაციისთვის აღქმის მოდალობათა გათვალისწინებით

მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს პრაქტიკული ასპექტები, სასწავლო პროცესის ინკლუზიურობა, სწავლებაში დიფერენცირებული მიდგომების აქტიური გამოყენების აუცილებლობის აღიარება და, საზოგადოდ, მოსწავლის ჰოლისტური განვითარება განსაკუთრებულ აქტუალობას ანიჭებს საგანმანათლებლო პროცესის ოპტიმიზაციას. ამის მისაღწევად საჭიროა არსებული პედაგოგიური გამოცდილებისა და მეცნიერული კვლევების შერწყმა ადამიანის მოდალობის ტიპთან, რაც საგანმანათლებლო სივრცის ხარისხობრივ ცვლილებებს გულისხმობს.

დასახული მიზნის რეალიზება დიდწილად დამოკიდებულია მასწავლებლის მიერ პრაქტიკულ საგაკვეთილო საქმიანობაში გამოყენებულ სწავლების მეთოდებზე (ძირითადად სტიმულების რაოდენობის გაზრდაზე), რომლებიც უშუალოდ არის მიბმული მოსწავლეთა სწავლის სტილს. სწავლის სტილი გარკვეულწილად აყალიბებს სწავლისადმი ჩვენს დამოკიდებულებას და გვიჩვენებს „ჩვენთვის“ საუკეთესო გზებს დავალებისთვის თავის გასართმევად [ფირჩხაძე: 2022] (აქვე უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი სტილი თავისთავად ნეიტრალურია; წარმატება-წარუმატებლობა იმაზეა დამოკიდებული, როგორ გამოიყენებს მოსწავლე საკუთარ უნარებს).

სწავლის სტილი აღქმის მოდალობაზეა მიბმული. მასზე აქცენტირება ეხმარება მოსწავლეს, განივითაროს ვიზუალური, სმენითი, კინესთეტიკური და ციფრული უნარები. ამის შედეგად წინ წამოიწევს დომინანტური ანუ წამყვანი სისტემა, მოხდება იმპულსების გადაცემა სხვა ფსიქიკური პროცესებისთვის (მეხსიერება, წარმოდგენა, წარმოსახვა), გააქტიურდება აზროვნების პროცესი და მასზე დაყრდნობით მივიღებთ მაღალ აკადემიურ შედეგებს.

სწავლის სტილი აღქმის მოდალობაზეა მიბმული. მასზე აქცენტირება ეხმარება მოსწავლეს, განივითაროს ვიზუალური, სმენითი, კინესთეტური და ციფრული უნარები.

საგაკვეთილო პროცესში აღქმის მოდალობებზე ყურადღების გამახვილება ასევე ხელს უწყობს:

- სასწავლო დროის ეკონომიას;
- ემოციოგენურობას, რადგან დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეებზე – ეხმარება მათ მასალის უკეთ გაგებასა და გააზრებაში, ინფორმაციის შექმნაში, შენახვაში, გადამუშავებაში, პრაქტიკულ გამოყენებაში;
- ცოდნის ტრანსფერსა და ინტეგრირებულ სწავლებას;
- დისტანციურ სწავლებას – მოსწავლე სწრაფად ადაპტირდება ონლაინ სივრცესთან და მეტად თავდაჯერებული ხდება. ელექტრონული და დისტანციური სწავლების დროს აღქმის მოდალობების წინ წამოწევა ინოვაციური მიდგომებით ამრავალფეროვნებს სწავლა-სწავლების პროცესს;

- დიფერენცირებული სწავლებისა და რემედიაციის წარმატებას – მოსწავლეს მოდალობის მიხედვით, მისთვის დამახასიათებელი უნარების გათვალისწინებით მიეწოდება ინფორმაცია, ხოლო ალბათობა იმისა, რომ მიწოდებული ინფორმაცია დაეკარგოს, ძალიან მცირეა.

შინაარსობრივად, პრაქტიკული კუთხით, ეს შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

- **ვიზუალური უნარის** მქონე მოსწავლეებს უჭირთ სახელების დამახსოვრება, მაგრამ ადამიანის გარეგნობის დეტალებს არაჩვეულებრივად აღიქვამენ. ასეთი მოსწავლეები მარტივად ითვისებენ სასწავლო მასალას, როცა ის ვიზუალური სახით არის წარმოდგენილი. მათ ურჩევნიათ, ტექსტი თავად წაიკითხონ, რადგან აზრებს ძირითადად წარწერების სახით ალაგებენ – აქედან გამომდინარე, უძნელდებათ მოსმენილი ინსტრუქციების დამახსოვრება. მათ სწავლაში ეხმარება სახალისო აქტივობები და ფაზლები, სახელმძღვანელოები, სამუშაო ფურცლები, ჩანაწერები, რუქები, ფლეშ-ბარათები, სქემები, ინფორმაციული პლაკატები. როდესაც მასწავლებელი გაკვეთილზე ვიზუალურ სტიმულს იყენებს, ამ მოდალობით შემსწავლელი მოსწავლე იოლად აღწევს წარმატებას [Santangelo & Tomlinson, 2009., Miler, 2016].

- **სმენითი შემსწავლელებისთვის** მნიშვნელოვანია, საკლასო ოთახში კომფორტულად იგრძნონ თავი. არ უყვართ ხმაური, რადგან ადვილად ეფანტებათ ყურადღება. მასალას უკეთ იმახსოვრებენ აუდიორესურსების გამოყენებისას. ურჩევნიათ, ისწავლონ მოსმენით. მოსწონთ ლექციები, აუდიოწიგნები და დისკუსიებში მონაწილეობა (ურჩევნიათ, კონკრეტული თემის შესახებ ჯგუფურ დისკუსიაში მიიღონ მონაწილეობა, ვიდრე მის შესახებ წაიკითხონ). თუმცა პედაგოგებმა უნდა გაითვალისწინონ ის ფაქტი, რომ ასეთი მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია, მოსმენასთან ერთად თავადაც ისაუბრონ [ბოჭორიშვილი, 2014].

- **ტაქტილურ-კინესთეტური უნარის მქონე მოსწავლეებს** ურჩევნიათ, ისწავლონ შეხებით და მოძრაობით. ზეპირსიტყვიერ აქტივობებს, ლექციური ტიპის გაკვეთილებს ისინი წერით დავალებებს ამჯობინებენ, რადგან მაღალ დონეზე აქვთ განვითარებული შემოქმედებითი აზროვნება. ძირითადად უყვართ კეთებით სწავლა, სხეულის ენით ემოციების გამოხატვა, საკუთარი ხელით ნივთების დამზადება. კინესთეტიკურ მოსწავლეებთან მუშაობისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი რესურსები: კომპიუტერის კლავიატურა, ქვიშის უჯრა, დაფა, მაგნიტური ასოები, დიორამები და მანიპულაციები [Sprenger, 2008; Terry, 2024; Pankaew, 2024; Miler, 2016; ბოჭორიშვილი, 2014].

ცხრილი: სწავლების სხვადასხვა სტილი, განმარტებები და მაგალითები (ხუნძაყიშვილი, 2018):

სწავლის სტილი	განმარტება	მაგალითი
ვიზუალური	მასწავლებელი მოსწავლეებს ანვენებს იმას, რისი სწავლებაც სურს	მასწავლებელი იყენებს სქემებს, გრაფიკულ ორგანიზატორებს, დიაგრამებს ან ელექტრონული პრეზენტაციის პროგრამას (PowerPoint) ცნების ილუსტრირებისთვის
სმენითი	მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს იმას, რისი სწავლებაც სურს	მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს ან საუბრობს იმის შესახებ, რასაც ასწავლის; დროს აძლევს მოსწავლეებს, გამოიტანონ დასკვნები საუბრისა და განხილვის გზით.
კინესთეტიკური	მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, გამოსცადონ ის, რისი სწავლებაც სურს.	მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, მიიღონ მონაწილეობა: • ლაბორატორიულ ექსპერიმენტში; • როლურ თამაშში.

როგორც ვხედავთ:

- აღქმის მოდალობა გულისხმობს, როგორ აღიქვამს და ამუშავებს ინდივიდი ინფორმაციას სხვადასხვა (აუდიალური, ვიზუალური, კინესთეტური) სენსორული არხის მეშვეობით;
- საკუთრივ სწავლების ოპტიმიზაციაში კი იგულისხმება სწავლების იმ მეთოდების გამოყენება, რომლებიც ყველაზე ეფექტურია კონკრეტული მოსწავლისთვის [მ. მაჭარაშვილი, 2020].

ამის შედეგია, რომ **აღქმის მოდალობები და სწავლების ოპტიმიზაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან.** საზოგადოდ, **სწავლების ოპტიმიზაციის ძირითადი ასპექტებია:**

1. **სწავლის ინდივიდუალური სტილის გათვალისწინება**. იგულისხმება სწავლების ადაპტაცია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების, პრეფერენციებისა და შესაძლებლობების მიხედვით; აღქმის სხვადასხვა მოდალობის შესაბამისად, ვიზუალური, აუდიალური, კინესთეტური მეთოდების გამოყენებას [Siyu Wu, 2024].
2. **სწავლების აქტიური მეთოდები**. სწავლების აქტიურ მეთოდებად განიხილება დისკუსიები, ჯგუფური პროექტები და ინტერაქციული დავალებები. რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობის ამაღლებას და ინფორმაციის უკეთ დამახსოვრებას
3. **ტექნოლოგიების ინტეგრაცია**. სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება მნიშვნელოვანია. ვგულისხმობთ ონლაინ პლატფორმების, ვირტუალური რეალობისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას, რაც გაზრდის სწავლების პერსონალიზაციასა და ეფექტიანობას [Siyu Wu, 2024].
4. **განმარტებითი უკუკავშირი**. იმისთვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეების გაგება, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მათ რეგულარული და კონსტრუქციული უკუკავშირი მიაწოდოს.
5. **სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება**. სასწავლო პროცესში აუცილებელია მრავალფეროვანი რესურსების: სახელმძღვანელოების, ვიდეოების, აუდიოჩანაწერებისა და ინტერნეტრესურსების, – გამოყენება, რათა მოსწავლეებმა მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა ფორმითა და ფორმატით.

მასწავლებელი შეისწავლის მოსწავლეთა სწავლის სტილს, შეუსაბამებს სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიებს და ამ გზით გააუმჯობესებს აკადემიურ შედეგებს და მიაღწევს სწავლების ოპტიმიზაციას.

6. **სწავლის შედეგების შეფასება**. სწავლის პროცესისა და შედეგების რეგულარული შეფასება უმნიშვნელოვანესია, რათა განისაზღვროს, რამდენად ეფექტურია გამოყენებული მეთოდები და რა ცვლილებებია საჭირო მათ გასაუმჯობესებლად.

როგორ შეიძლება მივაღწიოთ სწავლების ოპტიმიზაციას, რომელიც მოდალობებზეა დაფუძნებული?

ამისთვის მასწავლებელი შეისწავლის მოსწავლეთა სწავლის სტილს, შეუსაბამებს სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიებს და ამ გზით გააუმჯობესებს აკადემიურ შედეგებს და მიაღწევს სწავლების ოპტიმიზაციას.

რამდენიმე რეკომენდაცია თითოეული მოდალობის გასააქტიურებლად, რომლებიც ხელს შეუწყობს სწავლების ოპტიმიზაციას:

ვიზუალური მოსწავლეები უკეთესად სწავლობენ, როდესაც მასალა ვიზუალურად არის წარმოდგენილი. სასურველია, გამოყენებულ იქნეს:

1. **ნივთები, დიაგრამები და გრაფიკები**, რათა გამარტივდეს კონცეფციების გაგება;
2. **ვიდეოები და ანიმაციები** – შესთავაზეთ ლექციები ვიდეო- და ანიმაციური ილუსტრაციებით, რომლებიც დაეხმარება მათ, ვიზუალურად აღიქვან მასალა;
3. **წიგნები და ბარათები** – გამოიყენეთ ფერადი ბარათები, წიგნები და პოსტერები ინფორმაციის უკეთ აღსაქმელად;
4. **წარმოდგენები და პრეზენტაციები** – შესასწავლი მასალა წარმოადგინეთ პრეზენტაციების სახით, რათა მოსწავლეებმა უკეთ აღიქვან კონცეფციები.

სმენითი მოსწავლეები უკეთესად სწავლობენ მოსმენით. მათი ოპტიმიზაციისთვის აუცილებელია:

1. **ლექციები და დისკუსიები,** რომლებიც მოსასმენი მასალით იქნება გამდიდრებული;
2. **აუდიოწიგნები** და პოდკასტები, რომლებსაც მოსმენით ისწავლიან;
3. **როლური თამაშები,** რაც სმენითი აღქმის შესაძლებლობებს გააძლიერებს;
4. **მუსიკისა და სხვა ხმების** გამოყენება სასწავლო ატმოსფეროს შესაქმნელად.

ტაქტილური მოსწავლეები უკეთესად სწავლობენ პრაქტიკული და ფიზიკური აქტივობების მეშვეობით. მათი ოპტიმიზაციისთვის მნიშვნელოვანია:

1. **პრაქტიკული ექსპერიმენტები** და ლაბორატორიული სამუშაოები;
2. **მოდელირება და კონსტრუქციების აგება** – გამოიყენეთ მოდელები, კონსტრუქციები და სათამაშოები, რათა მოსწავლეებმა შეძლონ სწავლა ფიზიკური ობიექტების გამოყენებით;
3. **ხელით შესრულებული ჩანაწერები** – სთხოვეთ მოსწავლეებს, გააკეთონ ჩანაწერები, რითაც გაიუმჯობესებენ აღქმის ;
4. **როლური თამაშები და სიმულაციები**, რათა მოსწავლეები აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში.

ამგვარი მიდგომით მასწავლებელი, ფაქტობრივად, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესების ახალი სახით ორგანიზებას – აღქმის მოდალობებზე ორიენტირებული წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკის დანერგვასა და განხორციელებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მაია ფირჩხაძე, როგორ გამოვიყენოთ აღქმის მოდალობები მასალის ასათვისებლად, 2022 https://mastsavlebeli.ge/?p=34826
2. Santangelo, T, Tomlinson, C., The application of differentiated instruction in postsecondary environments: Benefits, challenges, and future directions. *International Journal of Teaching and Learning in Higher Education*, 20(3), 2009 https://citeseerx.ist.psu.edu/document?repid=rep1&type=pdf&doi=e229c15ee5052fe80db583148ab0e910c4c3c32d
3. Miler, A., How preferred modalities create more effective teaching and learning environments, 2016 https://drive.google.com/file/d/1ijbu2LluioJfmB36kBOk6OiAdwtgbYaO/view
4. მანანა ბოჭორიშვილი, სწავლის მოდალობები და დიფერენცირებული სწავლება, 2014 www.educationhouse.ge
5. მარიანა ხუნძაყიშვილი, სარა ბივერი, განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება. თბილისი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2018 https://www.calameo.com/books/005033132bd468d82d2bahttps://drive.google.com/file/d/12aRQ7sEYNHB3_xzTRORQEzGEyCvGmLAr/view
6. მარიკა მაჭარაშვილი, მოსწავლის სწავლის სტილის გათვალისწინება გაკვეთილების დაგეგმვისას, 2020 https://mastsavlebeli.ge/?p=27297
7. Siyu Wu, Yang Cao, A Comprehensive Exploration of Personalized Learning in Smart Education: From Student Modeling to Personalized Recommendations. Retrieved, 2024 https://ar5iv.labs.arxiv.org/html/2402.01666v1

ნათია ფურცელაძე

წერილი ანას

ანა, როგორ ხარ? წავიკითხე „როსი“. ჯერ სახელი ვერ დავარქვი განცდებს, ამ წიგნმა რომ გამიჩინა. ვკითხულობდი და ხან სევდიანი ვიყავი, ზოგჯერ – გახარებული, რამდენჯერმე შემეშინდა კიდეც.

კითხვის დროს ვფიქრობდი, ნეტავ, ანას ყურადღება რამ მიიქცია-მეთქი. გამოვიტყდები, რაც მასწავლებელი ვარ, მოსწავლეების თვალითაც ვკითხულობ. მაინტერესებს, რას აკვირდებით შენ და შენი თანატოლები.

ჩემი და წიგნების ურთიერთობა მრავალფეროვანია. კითხვის დაწყებამდე წარმოვიდგენ, რა შეიძლება იმალებოდეს გარეკანში. თუ ისეთ წიგნს ვკითხულობ, რომელიც მირჩიეს, კიდევ უფრო საინტერესოა ეს მოლოდინი. უშუალოდ კითხვის პროცესი ჩემთვის შემეცნებაა და ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებაც. ფურცლიდან ფურცლამდე ვფიქრობ, კითხვებს ვუსვამ საკუთარ თავს და პასუხებს ვეძებ. ხელში ყოველთვის ფანქარი მიჭირავს, ვინიშნავ და ვიწერ რაღაცებს. აი, კითხვის დასასრული ნამდვილ დასასრულს არ ჰგავს, მთავარი მერე იწყება. სწორედ ამ ეტაპზე ვარ ახლა და წერილს გწერ.

მოდი, თავიდან დავიწყოთ:

წაკითხვამდე

დავყურებ ნარინჯისფერ ყდას. გარეკანზე გამოსახული ბიჭი თითქოს თვალს მიკრავს. ძალიანაც რომ მინდოდეს, უყურადღებოდ არ მრჩება წარწერა: **როგორ გადავურჩი საშუალო სკოლას მოჭუტული თვალით**. ვაგრძელებ დაკვირვებას: გიტარა, ქუდი, კალამი, წიგნაკი – გარეკანზე მიხატული ეს სიმბოლოები მინიშნებები მგონია, ერთგვარი გასაღები, კლიტეს რომ უნდა მოარგო და მერე კარიც გაიღება. ვცდილობ, ამოვიცნო, რისი წაკითხვა მომიწევს...

ავტორი – რობ ჰარელი. სახელი და გვარი ვერაფერს ვერ მეუბნება, ჩემთვის უცნობია. ინფორმაციის მოძიებას ვიწყებ მასზე. არა მხოლოდ მწერალი, ილუსტრატორიც ყოფილა, „როსი“ რეალურ გამოცდილებაზე დაყრდნობით დაუწერია. ვპოულობ მწერლის საავტორო გვერდს, რომლითაც მასთან დაკავშირება და მისი სკოლაში მიწვევა შეიძლება. ამერიკიდან საქართველოში ჩამოყვანა გაგვიჭირდება, მაგრამ წერილი ხომ არ მივწეროთ? იქნებ დისტანციურ შეხვედრაზე დაგვთანხმდეს.

ამ ფიქრებში გართული ვფურცლავ წიგნს. თავგადასავალი საავადმყოფოში იწყება. მაშინვე ვგრძნობ ბავშვობის სუნს. მოსწავლეობის დროს ხშირად მიწევდა საავადმყოფოში – ბაბუას და დედას სამსახურში – ყოფნა. სკოლიდან შევივლიდი ხოლმე და შევაბიჯებდი თუ არა, იქაური სუნი ცხვირში შემომეპარებოდა. ამ სუნის მეშინოდა,

ჩემი მთავარი სათქმელი სამადლობელია. ანა, დიდ მადლობას გიხდი, რომ წიგნის წაკითხვა მირჩიე და ამ წერილის მოწერის სურვილი გამიჩინე. ძალიან მიხაროდა, შენი რეკომენდაციით რომ ვკითხულობდი და მერე წერილს გწერდი.

მასწავლებლები ხანდახან მხოლოდ იმით ინტერესდებიან, შეასრულა თუ არა დავალება მოსწავლემ. დავალებების მიღმა უთვალავი თავგადასავალი იმალება. ჩემს თავს ყოველთვის ვახსენებ ამას.

რადგან აცრებს მახსენებდა. ეს მოგონება და ამ ყველაფრის გაცნობიერება კიდევ ერთხელ მარწმუნებს კითხვის ძალაში – გარდა იმ ამბისა, რომელსაც ეცნობა, რამდენ რამეს იხსენებს, იაზრებს, განიცდის მკითხველი. სწორედ ასე ვითარდება ჩვენი გონება.

კითხვის დროს

ბევრ რამეზე ვფიქრობდი:

- **რამდენი რამ ახარებთ / აწუხებთ მოსწავლეებს...**
  მასწავლებლები ხანდახან მხოლოდ იმით ინტერესდებიან, შეასრულა თუ არა დავალება მოსწავლემ. დავალებების მიღმა უთვალავი თავგადასავალი იმალება. ჩემს თავს ყოველთვის ვახსენებ ამას.

- **როგორ უნდა შევხვდეთ სიახლეებს...**
  წიგნის მთავარი პერსონაჟის, როსის, ცხოვრება, ფაქტობრივად, 1 დღეში იცვლება. ვერაგი დაავადება მის ყოველდღიურობას თავდაყირა აყენებს. მეშვიდეკლასელ ბიჭს სიცოცხლისთვის ბრძოლა უწევს და პარალელურად უამრავ სირთულეს უმკლავდება: იქნება ეს მეგობრის დაკარგვა, გარიყულობის შეგრძნება, დაცინვა თუ სხვა... მგონია, რომ ჰარელი მკითხველს არა მხოლოდ იმას აჩვენებს, რის გადატანა უწევთ ბავშვებს, რომლებიც ჯანმრთელობისთვის იბრძვიან, არამედ იმასაც – როგორ უნდა შევხვდეთ სიახლეებს და რა მნიშვნელოვანია ამ დროს ოჯახის წევრებისა თუ მეგობრების მხარდაჭერა.
  ანა, ამ კუთხით შენ რომელ პერსონაჟ(ებ)ს გამოარჩევ? ვის გარეშე გაუჭირდებოდა როსს?

- **რა შეუძლია მუსიკას, რა გავლენა აქვს ჩვენს ცხოვრებაზე...**
  მგონია, რომ „როსი“ იმ მკითხველების ყურადღებასაც მიიქცევს, რომლებსაც მუსიკა უყვართ, ან შეიძლება ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ დაინტერესდნენ.

ჩემი ყურადღება მიიქცია პირველმა შეკითხვამ პირველივე გვერდზე:

– რა მუსიკას უსმენ, როს?

ამით დაინტერესდა რენტგენოლოგი და ასე შეეცადა ბავშვის გაცნობას. მეც ძალიან მაინტერესებს ხოლმე, რას უსმენთ თქვენ, ხშირად მოსწავლეების საშუალებით აღმომჩენია და მომისმენია ჩემთვის უცნობი კომპოზიციები.

რომ არა ეს შეკითხვა, შეიძლება როსის და ფრენკის მეგობრობა არც დაწყებულიყო. მუსიკა ბიჭისა და ექიმის ურთიერთობის ენა გახდა და ძალიან დაეხმარა ვერაგი დაავადების წინააღმდეგ მებრძოლ მეშვიდეკლასელ ბიჭს, ეპოვა ის, რაც მოსწონდა, აღმოეჩინა თავშესაფარი. ფრენკი რომ არა, ალბათ, ამ ყველაფერს გვიან იპოვიდა. მუსიკამ მამის უკეთ გაცნობაც შეაძლებინა. ანა, გახსოვს ეს ეპიზოდი? როსი სახლში ბრუნდება, მოძებნის მამამისის ძველ CD-პლეიერს და უსმენს იმას, რასაც წლების წინ მამა ისმენდა, მერე კი – ფრენკის შეთავაზებულ დისკს, საბოლოოდ ამას ამბობს: „რაც უნდა, უცნაური იყოს, ეს სრულიად ახალ ენას ჰგავს. იმ ენას, რომელიც აქამდე არ ვიცოდი, რომ მჭირდებოდა. სანამ ჩამეძინებოდა, მთლიან დისკს მინიმუმ სამჯერ მაინც მოვუსმინე“. ამ წიგნის წყალობით (და შენი დამსახურებით, ანა) მეც მოვუსმინე ჩემთვის აქამდე უცნობ მუსიკას და ჯორდანო ბრუნოს ნათქვამი გამახსენდა, შარშან რომ ისწავლეთ: „ყოველი კარგი წიგნი თვალწინ გვიშლის ახალ სამყაროს“.

- **როგორ შეიძლება დაიბადოს იდეა**
  ანა, დაკვირვებიხარ, როდის გიჩნდება რაღაცის შექმნის, ახლის დანერგვის, გაკეთების სურვილი? როგორ გებადება იდეა? წლებია, ვაკვირდები – როდის და როგორ იბადება იდეა. ყველაზე ხშირად იდეა მიჩნდება მაშინ, როცა ვკითხულობ. პერსონაჟების ქცევა ან მწერლის მინიშნება რაღაცას შთამაგონებს ხოლმე. აი, მაგალითად, „როსის“ კითხვის დროს მოსწავლეებისთვის ახალი აქტივობის ჩატარების იდეა გამიჩნდა, ეს კი ერთმა ეპიზოდმა შთამაგონა.

არ ვიცი, მიაქციე თუ არა ყურადღება – ყოველ შობას როსი იცავს საოჯახო ტრადიციას, რომელიც წლების წინ დედამისმა დაამკვიდრა – ბიჭი წერილს სწერს საკუთარ თავს, ინახავს და 1 წლის შემდეგ ხსნის. მისთვის ეს არის წერილი წარსულიდან მომავალში. მგონია, საინტერესო გამოვა ასეთი საკლასო აქტივობა – სასწავლო წლის ბოლოს მისწეროთ წერილები საკუთარ თავებს და ზუსტად 1 წლის შემდეგ წაიკითხოთ. რას იტყვი?



წაკითხვის შემდეგ

ჩემი მთავარი სათქმელი სამადლობელია. ანა, დიდ მადლობას გიხდი, რომ წიგნის წაკითხვა მირჩიე და ამ წერილის მოწერის სურვილი გამიჩინე. ძალიან მიხაროდა, შენი რეკომენდაციით რომ ვკითხულობდი და მერე წერილს გწერდი.

P.S. ანა ჩემი მეშვიდეკლასელი მოსწავლეა. რამდენიმე თვის წინ ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე მას და მის კლასელებს წერილის წერის სტრუქტურა ავუხსენი, შემდეგ კი ვთხოვე, მოეწერათ ჩემთვის. დავალების პირობა ითვალისწინებდა იმას, რომ ადრესატი აუცილებლად მე – მათი მასწავლებელი – უნდა ვყოფილიყავი, წერილი ნებისმიერ თემაზე შეეძლოთ, მოეწერათ (მთავარია, თემა მათთვის სასურველი და საინტერესო ყოფილიყო).

მარტივი არ აღმოჩნდა ათეულობით წერილის წაკითხვა, თუმცა უაღრესად ნაყოფიერი იყო. ნათლად დავინახე, რა გაიგეს ჩემმა მოსწავლეებმა და რამდენად გამოიყენეს ცოდნა, დავაკვირდი, როგორ წერენ, ამოვიცანი, რა აფიქრებთ, ახარებთ თუ აწუხებთ მათ, ეს კი მასწავლებლისთვის ძალიან საჭირო ინფორმაციაა.

ანა მწერდა: „გამარჯობა, ნათია მას! როგორა ხართ? მე კარგად ვარ. როგორც გუშინ გავიგე, წაკითხული არ გქონიათ წიგნი „როსი“. აქამდე სულ თქვენ მირჩევდით წიგნებს, ახლა კი მე გირჩევთ, რომ ეს წიგნი წაიკითხოთ... თუ წაიკითხავთ, შთაბეჭდილება გამიზიარეთ!“

წერილების წაკითხვისა და მოსწავლეთა ნააზრევის გაცნობის შემდეგ რამდენიმე გაკვეთილის გეგმა შევცვალე, ამ სტატიის დაწერის სურვილი გამიჩნდა. რომ არა ეს დავალება და ანას რჩევა, ვინ იცის, როდის წავიკითხავდი წიგნს, რომელიც ჩემი მოსწავლეების ხელიდან ხელში გადადის. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რა მნიშვნელოვანია, მოვუსმინოთ ბავშვებს.

თემურ სუყაშვილი

როგორ ვასწავლოთ კვლევის ჩატარება საბაზო და საშუალო საფეხურებზე

ანალიტიკური უნარების განვითარება ზოგადი განათლების ერთ-ერთ ეროვნულ მიზანს წარმოადგენს. ამის კვალობაზე, მოსწავლეებისთვის კვლევა-ძიების უნარების ჩამოყალიბება სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილია.

ანალიტიკური უნარების განვითარება ზოგადი განათლების ერთ-ერთ ეროვნულ მიზანს წარმოადგენს. ამის კვალობაზე, მოსწავლეებისთვის კვლევა-ძიების უნარების ჩამოყალიბება სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილია.

კვლევითი უნარების ადრეულ ასაკში განვითარებას მრავალმხრივი სარგებლობა მოაქვს:

- **ანალიტიკური აზროვნების განვითარება:** კვლევის პროცესი მოსწავლეებს ასწავლის ინფორმაციის კრიტიკულ აღქმას, გაანალიზებას, მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენას და ლოგიკური დასკვნების გამოტანას;
- **დამოუკიდებელი სწავლის უნარების გამომუშავება:** მოსწავლეები სწავლობენ საკუთარი ინტერესების მიხედვით ინფორმაციის მოძიებას და დამუშავებას, რაც მათ მომავალში უწყვეტი განათლების პროცესში დაეხმარება;
- **პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება:** კვლევის დაგეგმვა, მონაცემების შეგროვება და ანალიზი, დასკვნების გამოტანა – ეს ყველაფერი რეალურ ცხოვრებაში გამოსადეგი უნარებია;
- **ცნობისმოყვარეობის წახალისება:** კვლევითი საქმიანობა აღვივებს მოსწავლეთა ბუნებრივ ინტერესს სამყაროს შემეცნების მიმართ და უვითარებს მათ მეცნიერულ აზროვნებას. რაც მთავარია, კვლევითი უნარების წყალობით მოსწავლე ხდება პროცესის აქტიური მონაწილე და არა ინფორმაციის პასიური მიმღები.

პრაქტიკული მაგალითები

სტატიაში წარმოდგენილია ორი საინტერესო კვლევითი პროექტი, რომლებიც მარნეულის მე-5 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა განახორციელეს. VII და X კლასების მოსწავლეებს სერიოზული კვლევის ჩატარება არ მოეთხოვებათ, ამიტომ, პირველ ეტაპზე, მათ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები გავაცანი. ამის შემდეგ გადავედით ისეთი საკითხების დამუშავებაზე, როგორიცაა:

- საკვლევი საკითხის ფორმულირება;
- საკვლევი კითხვების ჩამოყალიბება;
- აუდიტორიის განსაზღვრა.

ამ მცირე თეორიული ექსკურსის შემდეგ ორივე ჯგუფი შეუდგა პრაქტიკულ სამუშაოს.

საგან „მოქალაქეობის“ ფარგლებში ადვოკატირება და მისი ინსტრუმენტები VII კლასიდან ისწავლება. კვლევის ჩატარება და მისი შედეგების წარდგენა ადვოკატირების ერთ-ერთ გზას წარმოადგენს.

ადვოკატირების ინსტრუმენტები



ადვოკატირების კამპანიის წარმოებისა და პროექტებზე მუშაობის ეტაპზე ერთ-ერთმა ჯგუფმა გამოთქვა სურვილი, ჩართულიყო კვლევით პროექტში, რომელიც მიზნად ისახავდა მიუსაფარი ცხოველების პრობლემისადმი მოსახლეობის დამოკიდებულებას გამოკვლევას.

პროექტი „ჩვენი ოთხფეხა მეგობრები“ (VII კლასი)

- მოსწავლეებმა შეისწავლეს უპატრონო ცხოველების პრობლემა;
- გამოკითხეს მოსახლეობა;
- განათავსეს საინფორმაციო პოსტერები;
- მოაწყვეს ცხოველების გამოკვების აქცია.

კვლევის შედეგები:

კვლევითი ჯგუფის წევრები მოსახლეობას უსვამდნენ სამ კითხვას:

1. რამდენად ხშირად ხედავთ უპატრონო ცხოველებს თქვენს უბანში?
2. თქვენი აზრით, რა არის უპატრონო ცხოველების მთავარი პრობლემა მარნეულში?
3. ვინ უნდა მოაგვაროს ეს პრობლემა?

გამოკითხულთა 45% უპატრონო ცხოველების მთავარ პრობლემად შიმშილს მიიჩნევს, 38% კი – ანტისანიტარიასა და დაავადებების გავრცელების რისკს. პრობლემის მოგვარების გზად გამოკითხულთა 44.5%-ს სახელმწიფოს ძალისხმევა მიაჩნია. ასევე იკვეთება მოსახლეობისა და ვეტერინარიული სამსახურების როლი.

რამდენად ხშირად ხედავთ უპატრონო ცხოველებს თქვენს უბანში?



ელექტროსიგარეტის (ე.წ. ვეიპი) პრობლემა სკოლებში

ბოლო ხანს მოსწავლეებში შეიმჩნევა ელექტრონული სიგარეტის გამოყენების მზარდი ტენდენცია. უფროსკლასელები დაუბრკოლებლად ახერხებენ მის შეძენას ბაზრობებსა და სპეციალურ მაღაზიებში. მარნეულის მე-5 საჯარო სკოლის მეათეკლასელების მიერ ჩატარებული

კვლევითი საქმიანობა აღვივებს მოსწავლეთა ბუნებრივ ინტერესს სამყაროს შემეცნების მიმართ და უვითარებს მათ მეცნიერულ აზროვნებას. რაც მთავარია, კვლევითი უნარების წყალობით მოსწავლე ხდება პროცესის აქტიური მონაწილე და არა ინფორმაციის პასიური მიმღები.

კვლევა 10-15 წლის მოზარდებში თამბაქოსა და ელექტრონული სიგარეტის მოხმარების სიხშირეს ეხებოდა.

კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხული მოსწავლეების 61.8% ხშირად აწყდება თამბაქოსა და ელექტრონული სიგარეტის გამოყენების შემთხვევებს სკოლის სივრცეში.

ხშირად ვხედავ, რომ სკოლაში იყენებენ სიგარეტს/ელექტრონულ სიგარეტს



სკოლის გარეთ ეს მაჩვენებელი უფრო სავალალოა და 82.4%-ს შეადგენს.

ხშირად ვხედავ, რომ ქუჩაში მოზარდები (10-15 წლის) იყენებენ სიგარეტს/ელექტრონულ სიგარეტს



ამგვარი კვლევითი სამუშაოს შესრულების შემდეგ შესთავაზეთ მოსწავლეებს, დაწერონ შემაჯამებელი ანგარიში და შედეგები ფართო საზოგადოებას გაუზიარონ.

კვლევითი უნარების განვითარება სასკოლო განათლების მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება, გახდნენ კრიტიკულად მოაზროვნე, დამოუკიდებელი და აქტიური მოქალაქეები. მარნეულის მე-5 საჯარო სკოლის მაგალითზე ნათლად ჩანს, როგორ შეუძლიათ მოზარდებს კვლევის საშუალებით რეალური სოციალური პრობლემების შესწავლა და მათი გადაჭრის გზების ძიება. მეშვიდეკლასელების პროექტმა „ჩვენი ოთხფეხა მეგობრები“ და მეათეკლასელების კვლევამ ელექტრონული სიგარეტის მოხმარების შესახებ აჩვენა, რომ სწორად დაგეგმილი და განხორციელებული კვლევა არა მხოლოდ აკადემიურ უნარებს ავითარებს, არამედ საზოგადოებრივი პრობლემების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობასაც აძლიერებს.

ასეთი კვლევების ჩატარება ხელს უწყობს მოსწავლეთა პიროვნულ ზრდას, ანალიზის უნარისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. ვფიქრობ, ამგვარი კვლევებით აქტიურად უნდა დაკავდნენ მოზარდები, რათა შეძლონ გონივრული გადაწყვეტილებების მიღება და განიცადონ პროგრესი ყოველდღიურობაში.

ქეთევან ოსიაშვილი

ბავშვთა მენტალური ჯანმრთელობა

ვფიქრობ, დღეს სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში მომუშავე ნებისმიერი ადამიანი და მშობელთა დიდი ნაწილი დამეთანხმება, რომ ბავშვთა მენტალური ჯანმრთელობის მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდება. ბავშვის მენტალურ ჯანმრთელობაზე საუბრისას არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბევრ მშობელს თავად სიტყვები: „ფსიქიკა“, „ფსიქიკური“, „ფსიქოლოგიური“, – ძალიან აშინებს. ისინი პრობლემას გაურბიან და ცდილობენ, ბავშვის ქცევაში, მის ემოციურ-სოციალურ მდგომარეობაში შემჩნეული ცვლილებები სხვა მიზეზით ახსნან. „არა, არა, ჩვენი შვილი ბუნებით არის ასეთი“, – ამბობენ ისინი და ამით იმშვიდებენ თავს.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობს მრავალი სტერეოტიპი და მცდარი წარმოდგენა, დაბნეულობა ამ სფეროში, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს მენტალური ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის დეფიციტით.

მენტალური ჯანმრთელობა – ეს ადამიანის ემოციური და სულიერი კეთილდღეობის მდგომარეობაა. ეს არის მდგომარეობა, როდესაც ადამიანს შეუძლია საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება, ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ სტრესთან გამკლავება, ნაყოფიერად მუშაობა. ბავშვის მენტალური ჯანმრთელობა ეხება მის ემოციურ და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას. ის მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა ემოციური სტაბილურობა, სტრესთან გამკლავების უნარი, ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბება და ცხოვრებისეულ სიტუაციებთან წარმატებული ადაპტაცია.

ცხადია, მენტალური ჯანმრთელობა არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვი მუდმივად ბედნიერია, მუდმივად კარგ ხასიათზეა. თუ სკოლაში ცუდი შეფასება მიიღო, შესაძლოა, ინერვიულოს, თავი დამნაშავედ იგრძნოს და მოიწყინოს კიდეც, მაგრამ თუ ახერხებს, გაუმკლავდეს უარყოფით ემოციებს და გააგრძელოს სვლა წინ, თუ შეუძლია მომხდარის გაანალიზება, შესაბამისი დასკვნების გამოტანა და სამომავლოდ ქცევის კორექტირება, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მის მენტალურ ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

მენტალურ ჯანმრთელობაზე მიანიშნებს ისიც, რამდენად სწრაფად ახერხებს ბავშვი ცხოვრებისეულ ცვლილებებთან ადაპტირებას.

კარგი მენტალური ჯანმრთელობის მქონე ბავშვი, როგორც წესი, კარგად სწავლობს, კარგი ურთიერთობა აქვს თანატოლებსა და უფროსებთან, ადვილად ახერხებს თვითრეალიზაციას და აღწევს წარმატებას. მენტალური ჯანმრთელობის დარღვევა კი სერიოზული პრობლემების წინაშე აყენებს როგორც თავად ბავშვს, ისე მასთან ურთიერთობაში მყოფ უფროსებსაც.

მენტალური ჯანმრთელობა – ეს ადამიანის ემოციური და სულიერი კეთილდღეობის მდგომარეობაა. ეს არის მდგომარეობა, როდესაც ადამიანს შეუძლია საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება, ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ სტრესთან გამკლავება, ნაყოფიერად მუშაობა.

ბავშვის მენტალური ჯანმრთელობა ეხება მის ემოციურ და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას. ის მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა ემოციური სტაბილურობა, სტრესთან გამკლავების უნარი, ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბება და ცხოვრებისეულ სიტუაციებთან წარმატებული ადაპტაცია.

მენტალური ჯანმრთელობის დარღვევის ძირითადი ნიშნები და სიმპტომები ბავშვებში:

- ქცევითი ცვლილებები – აგრესიულობა, იზოლაციისკენ სწრაფვა, გადაჭარბებული მოძრაობა, საკუთარი თავით უკმაყოფილება, შფოთვა;
- ემოციური პრობლემები – ხშირი ემოციური აფეთქება, ცუდი გუნება-განწყობა, აპათია. ემოციური აფეთქება, ისტერიკა და გაღიზიანება იმაზე მიუთითებს, რომ მოზარდი ვერ უმკლავდება თავის ემოციებს. მაგალითად, სიტუაციები, როდესაც მოსიყვარულე და თავაზიანი ბავშვი გაღიზიანებულ მეამბოხედ იქცევა, ყურადღებას მოითხოვს;
- ძილთან დაკავშირებული პრობლემები – ძილის დარღვევა შესაძლოა დაკავშირებული იყოს მენტალური ჯანმრთელობის პრობლემებთან;
- სწავლისადმი ინტერესის დაქვეითება – სასწავლო მო-

ტივაციის დაკარგვა საგანგაშო ნიშანია. მისი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. თუ ბავშვი ადრე ხალისიანი და ბედნიერი იყო, მოსწონდა სწავლა და სიხარულით, სიამოვნებით მეცადინეობდა, მაგრამ მოულოდნელად უხალისობა, უენერგიობა შემოეჩვია, ყურადღება უნდა მივაქციოთ და საჭირო ზომები მივიღოთ;

- **არაადეკვატური რეაქცია** – თუ ბავშვი გაღიზიანებული რეაგირებს უფროსების მშვიდ მოთხოვნებზე, იწვევს მშობლებსა და პედაგოგებს და კონფლიქტში ითრევს, სიტუაციის თვითდინებაზე მიშვება არ შეიძლება. ემოციურ არასტაბილურობასა და უკონტროლო აგრესიას მხოლოდ ოჯახურ უსიამოვნებამდე კი არ მივყავართ, არამედ ნეგატიურად მოქმედებს ემოციურ მდგომარეობაზეც;
- **მენტალური მოუქნელობა** – თუ ბავშვი ზედმეტად მგრძნობიარეა ნაცნობი სიტუაციების მიმართ, ცდილობს ერთი და იმავე ქმედებების ყოველდღე ზედმიწევნით გამეორებას და მცირედი ცვლილებებიც კი აშინებს, უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ.

მენტალური ჯანმრთელობის დარღვევის ძირითადი მიზეზები

- ბავშვის მენტალურ ჯანმრთელობაში პირველი პრობლემები, წესისამებრ, შესამჩნევია უკვე საბავშვო ბაღში. ეს საკმაოდ რთული პერიოდია ბავშვისთვის – იცვლება მისი ცხოვრება და, შესაბამისად, ქცევაც. მშობლები ხედავენ ამ ცვლილებებს და იბნევიან, არ იციან, როგორ მოიქცნენ, როგორი რეაგირება ჰქონდეთ შვილის მიუღებელ ქცევაზე. ზოგი ამას ბავშვის ახირებას მიაწერს, ზოგი გენეტიკურ პარალელებს ავლებს („ბაბუას ჰგავს, მისი ხასიათი გამოჰყვა"), მაგრამ სინამდვილეში შესაძლოა, ყველაფერი გაცილებით რთულად იყოს.
- ბავშვის მენტალური ჯანმრთელობის დარღვევის მიზეზად შესაძლოა იქცეს ოჯახური გარემო, ოჯახის წევრებს შორის დაძაბული ურთიერთობა, არაკეთილსაიმედო სოციალური გარემოცვა, სტრესული სიტუაციები.
- ბავშვის მენტალურ ჯანმრთელობაზე უარყოფით გავლენას ახდენს მისი შედარება სხვა ბავშვებთან. „რა ჭკვიანი და ბეჯითია შენი კლასელი გიო. როგორ მინდა, შენც ასეთი იყო! რა დაგემართა, რატომ ვერ ახერხებ, მასავით კარგად ისწავლო და მოიქცე?" – ასეთი სიტყვებით ზეწოლას ვახდენთ ბავშვზე, რაც მისთვის ძლიერი სტრესის წყაროდ იქცევა.
- მშობლების მეტისმეტად დიდმა მოლოდინმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბავშვზე. მდგომარეობა განსაკუთრებით მწვავდება, როცა მოზარდის რეალურ შესაძლებლობებსა და მშობლების მოლოდინს შორის დიდი სხვაობაა.
- უზომო, ასაკსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებთან შეუსაბამო დატვირთვამ ასევე შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მენტალურ ჯანმრთელობაზე.

როგორ შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ ბავშვის მენტალური ჯანმრთელობა

- ბავშვის მენტალურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა ადრეული ასაკიდანვე უნდა დავიწყოთ. ჯერ კიდევ ჩვილ ასაკში ბავშვი იღებს ემოციური ურთიერთობის გამოცდილებას, ამიტომ იმაზე, როგორ ურთიერთობს ბავშვთან დედა, დამოკიდებული იქნება მისი ემოციური მდგომარეობა და ფსიქიკური ჯანმრთელობა. დედასთან ჯანსაღი ემოციური ურთიერთობა ბავშვის სიმშვიდის საწინდარია.
- გავუწიოთ მხარდაჭერა და გვქონდეს ეფექტიანი კომუნიკაცია. შევქმნათ უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემო, სადაც ბავშვი შეძლებს საკუთარი ემოციებისა და გრძნობების გამოხატვას; რეგულარულად ვიურთიერთოთ მასთან და დავინტერესდეთ მისი ცხოვრებით.
- მივიყვანოთ ბავშვი მისთვის სასურველ სპორტულ სექციაში, ორგანიზება გავუწიოთ აქტიურ თამაშებს ღია ცის ქვეშ. ფიზიკური აქტივობა ხელს უწყობს ენდორფინების გამომუშავებას, რომლებიც ადამიანის გუნება-განწყობას აუმჯობესებს.
- ვასწავლოთ ბავშვს სტრესის მართვის სტრატეგიები, დავეხმაროთ სტრესთან გამკლავების ეფექტიანი ხერხების: ღრმა სუნთქვის, მედიტაციის, – ათვისებაში.
- გვახსოვდეს, რომ ბავშვს სჭირდება სტაბილურობა და პროგნოზირებადობა. შევიმუშაოთ მასთან ერთად დღის განრიგი და დავეხმაროთ მის დაცვაში.
- თუ ბავშვს ვატყობთ მენტალური ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემებს, რომლებიც ხელს უშლის ნორმალურ ცხოვრებასა და განვითარებაში, დახმარებისთვის აუცილებლად მივმართოთ პროფესიონალს.
- მნიშვნელოვანია, დროული რეაგირება გვქონდეს ბავშვის ქცევაში შემჩნეულ ცვლილებებზე, რადგან ფსიქიკური დარღვევების ადრეულ ეტაპზე გამოვლენა მათ წარმატებით დაძლევას უწყობს ხელს.
- ვიცოდეთ: ფსიქოლოგთან მისვლა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვს სერიოზული ფსიქიკური პრობლემები აქვს და მედიკამენტური მკურნალობა სჭირდება. უმეტესად საკმარისია თამაშით თერაპია, ნდობით განმსჭვალული ურთიერთობის დამყარება და ბავშვთან მჭიდრო კომუნიკაცია. საყურადღებოა, რომ ბავშვის ქცევის კორექციისთვის საჭიროა მშობლებთან მუშაობაც – მათი კონსულტირება და აღზრდისადმი განსხვავებული მიდგომების ძიება. რეგულარული მუშაობა აუცილებლად გამოიღებს შედეგს.

მენტალური ჯანმრთელობის დარღვევის ძირითად ნიშნებსა და სიმპტომებზე ყურადღების გამახვილება და ზემოთ მოყვანილი რეკომენდაციების გათვალისწინება დაგვეხმარება, შევქმნათ ოპტიმალური პირობები ბავშვის ჯანსაღი განვითარებისა და კეთილდღეობისთვის.

მეგი კავთუაშვილი

სკოლისა და მშობლების თანამშრომლობის ორმაგი შესაძლებლობება

სკოლებში ნაკლები დრო ეთმობა მასწავლებლებსა და მშობლებს შორის ნდობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ასეთი ურთიერთობების არარსებობის შემთხვევაში სკოლებში უფრო ხშირად იღებენ არასწორ, არაპრაქტიკულ და ზოგჯერ მავნე გადაწყვეტილებებს მოსწავლეების შესახებ.

ჰარვარდის განათლების სამაგისტრო სკოლის ლექტორმა, დოქტორმა კარენ მაპმა, გამოიკვლია, რა უნდა შეიცვალოს სკოლისა და მშობლების ურთიერთობაში იმისთვის, რომ მათ ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებული თანაშრომლობა შეძლონ.

კარენ მაპის ხელმძღვანელობით, მკვლევართა ჯგუფმა გადაამუშავა ჩატარებული კვლევების შედეგები, შეისწავლა წარმატებული პრაქტიკა და გამოწვევები, ითანამშრომლა სასკოლო საზოგადოებასთან, მათ შორის მასწავლებლებთან.

სწორედ ამ შრომის შედეგად შეიქმნა თანამშრომლობის ორმაგი შესაძლებლობების ჩარჩო, რომელიც ავტორებმა კვლევის ფარგლებშივე გამოსცადეს სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში, მიიღეს გამოხმაურება მშობლებისა და მასწავლებლებისგან, დახვეწეს, გააუმჯობესეს. მხოლოდ ამის შემდეგ გავრცელდა ის ფართოდ საგანმანათლებლო წრეებში.

ოჯახისა და სკოლის პარტნიორობის ორმაგი შესაძლებლობების განვითარების ჩარჩო (Dual Capacity-Building Framework, DCBF) სცდება ტრადიციულ მიდგომებს, რომლებიც ოჯახებს სკოლასთან ურთიერთობას ასწავლის. კარენ მაპის ნაშრომის მიხედვით, წარმატებული პარტნიორობისთვის საჭიროა, სკოლამ შესაძლებლობები განუვითაროს არა მხოლოდ ოჯახებს, არამედ მასწავლებლებსაც, რათა შეიქმნას თანამშრომლობითი გარემო, რომელიც მხარს უჭერს მოსწავლეთა განვითარებას.

ორმაგი შესაძლებლობების განვითარების ჩარჩო ეყრდნობა რამდენიმე მნიშვნელოვან კომპონენტს, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს სკოლამ მშობელთა ჩართულობის სისტემური დაგეგმვისთვის.

პირველია **გამოწვევების იდენტიფიცირება.** გამოწვევების იდენტიფიცირება იმის გაგებაში გვეხმარება, რატომ არ აქვთ სკოლებსა და ოჯახებს ერთმანეთის ნდობა და რატომ უჭირთ თანამშრომლობა.

შემდეგია **საკვანძო პირობების დაცვა.** პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის სკოლამ შემდეგ ექვს მახასიათებელზე უნდა გაამახვილოს ყურადღება:

- **პროცესები ურთიერთნდობაზე უნდა იყოს დაფუძნებული** – სკოლებში ნაკლები დრო ეთმობა მასწავლებლებსა და მშობლებს შორის ნდობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ასეთი ურთიერთობების არარსებობის შემთხვევაში სკოლებში უფრო ხშირად იღებენ არასწორ, არაპრაქტიკულ და ზოგჯერ მავნე გადაწყვეტილებებს მოსწავლეების შესახებ.
- **პროცესები მიმართული უნდა იყოს მოსწავლეების სწავლისა და განვითარებისკენ** – კვლევები მოწმობს, რომ ოჯახებიც და

სკოლებიც პროცესებში მონაწილეობით უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი, როდესაც ღონისძიებები და პროგრამები ორიენტირებულია ბავშვების კოგნიტიური, ემოციური, ფიზიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობასა და სკოლის ზოგად გაუმჯობესებაზე. როცა პროცესები მოსწავლეზე ორიენტირებული არ არის, მშობელთა ჩართულობა ფორმალურ ხასიათს ატარებს.

პროცესები პოზიტივს უნდა ეფუძნებოდეს – სისუსტეებზე, ნაკლოვანებებზე, ნეგატივზე ყურადღების გამახვილება უარყოფითად აისახება ოჯახების ჩართულობაზე. ეს წააგავს წარსულის მიდგომებს, მაშინ როდესაც პოზიტივზე დაფუძნებული მიდგომა აღიარებს და აფასებს ბავშვისა და ოჯახის ძლიერ მხარეებს. ამგვარი მიდგომით სკოლა ადვილად იზიდავს მოსწავლეთა მშობლებს ორმხრივად სასარგებლო პროცესებში ჩასართავად.

პროცესები კულტურულად მგრძნობიარე უნდა იყოს და პატივისცემას ეფუძნებოდეს – კულტურულად მგრძნობიარე ჩართულობის სტრატეგიები გულისხმობს, რომ სკოლა აცნობიერებს და აფასებს კულტურულ მრავალფეროვნებას. კულტურათა შორის სხვაობა თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რადგან სულ უფრო ნაკლები რჩება ეთნიკურად, რელიგიურად, ენობრივად მონოკულტურული გარემო. სკოლებმა შეიძლება გამართონ კულტურული დღესასწაულები, სადაც ოჯახები ერთმანეთს გაუზიარებენ თავიანთ ტრადიციებს, კულტურასა და ისტორიებს. ეს არა მხოლოდ მასწავლებლებს ეხმარება მოსწავლეთა მრავალფეროვნების გაცნობიერებაში, არამედ აღიარებს და აფასებს ყველა ოჯახის კულტურულ იდენტობას. მრავალფეროვნების აღიარებისა და მასში ტოლერანტულად ცხოვრების მაგალითს სკოლა უნდა იძლეოდეს.

პროცესები თანამშრომლობითი უნდა იყოს – ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს სკოლასა და ოჯახებს შორის თანამშრომლობითი პროექტებისკენ. საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო აქტივობების დაგეგმვისას მასწავლებლები პერიოდულად მშობელთა ჩართულობაზეც უნდა ამახვილებდნენ ყურადღებას.

პროცესები უნდა იყოს ინტერაქციული – ცალმხრივი და დახურული კომუნიკაცია შედეგის მომტანი ვერ იქნება. ოჯახებს ექნებათ წვდომა სასკოლო სიახლეებზე,

კვლევები მოწმობს, რომ ოჯახებიც და სკოლებიც პროცესებში მონაწილეობით უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი, როდესაც ღონისძიებები და პროგრამები ორიენტირებულია ბავშვების კოგნიტიური, ემოციური, ფიზიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობასა და სკოლის ზოგად გაუმჯობესებაზე.

მაგრამ მხოლოდ სასკოლო ბიულეტენის დაგზავნით მათი ჩართვა ვერ მოხერხდება. ამიტომ, გარდა ბიულეტენებისა, შეიძლება შეიქმნას ფორუმები და ჯგუფები სოციალურ ქსელებში, სადაც მეტი ინტერაქცია იქნება შესაძლებელი.

შემდეგი კომპონენტია **ორგანიზაციული პირობების დაცვა,** რასაც, თავის მხრივ, ეფექტური ლიდერობა სჭირდება. ორგანიზაციულ პირობებში 3 მახასიათებელი იკვეთება:

- ოჯახებსა და სკოლებს შორის პარტნიორობა სისტემური უნდა იყოს – ოჯახების ჩართულობა უნდა იქცეს გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნად და მკაფიოდ გაიწეროს სასკოლო დოკუმენტებში.
- ოჯახებსა და სკოლებს შორის პარტნიორობა ინტეგრირებული უნდა იყოს სასკოლო ცხოვრებასთან – ოჯახის ჩართულობა „ჩაშენებული“ უნდა იყოს სკოლის ყოველდღიურ აქტივობებში. სტრატეგიული გეგმის კალენდარზე მშობელი არ უნდა გამოტოვონ.
- ოჯახებსა და სკოლებს შორის პარტნიორობა მდგრადი უნდა იყოს – ოჯახის ჩართულობის პროგრამები უნდა გაანალიზდეს; ის, რაც კარგად მუშაობს, გამეორდეს, ის, რასაც შედეგი არ მოაქვს, გაუმჯობესდეს. იმისთვის, რომ მდგრადი, ეფექტიანი თანამშრომლობა დიდხანს შენარჩუნდეს, ეს პროცესები უნდა იყოს დაფინანსებული.

საბოლოოდ, იმისთვის, რომ სკოლაში მშობელთა ჩართულობის სისტემა ამოქმედდეს, საჭიროა:

- შესაძლებლობები (ადამიანური კაპიტალი – ცოდნა და უნარები) – სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია, მასწავლებლები და ტექნიკური პერსონალი უნდა იცნობდნენ თავიანთ მოსწავლეებს და მათ ოჯახებს, მათ საჭიროებებსა და სირთულეებს. შესაბამისად, სკოლა უნდა ფლობდეს სტრატეგიებსა და ტექნიკებს ოჯახებთან საკომუნიკაციოდ, ხოლო ოჯახებს ჰქონდეთ სკოლის ფუნქციონირებისა და თავიანთი შვილების განათლების ხელშეწყობის უნარები.
- კავშირები (სოციალური კაპიტალი – ურთიერთობები და ქსელები) – ოჯახებსა და სასკოლო საზოგადოებას სჭირდებათ წვდომა სოციალურ კაპიტალზე ნდობასა და პატივისცემაზე აგებული ძლიერი ქსელების მეშვეობით. ამ ქსელებში შედის ოჯახისა და მასწავლებლის ურთიერთობები და კავშირები სათემო ორგანიზაციებთან.
- თავდაჯერებულობა და თვითეფექტურობა – ნდობის ნაკლებობა ხშირად ხელს უშლის წარმატებულ პარტნიორობას. მასწავლებლებმა და ოჯახის წევრებმა უნდა განავითარონ თავდაჯერებულობა და თვითეფექტურობა, რათა შეძლონ ურთიერთობის დამყარება და ეფექტურად მუშაობა, ეს კი შესაძლებელი ხდება პატარ-პატარა წარმატებული პროექტებით, რომლებიც მეტის მოსინჯვის სურვილს აჩენს.
- ვარაუდები, რწმენა-წარმოდგენები და მსოფლმხედველობა – შესაძლებლობების, კავშირებისა და ნდობის განვითარება მოითხოვს სწორი ვარაუდების, რწმენა-წარმოდგენებისა და პერსპექტივების არსებობას ან გარდაქმნას. მასწავლებლებმა და მშობლებმა უნდა შეცვალონ მავნე სტერეოტიპები და რწმენები პოზიტიური აზროვნებით.

კარენ მაპის ჩარჩო-დოკუმენტი ადასტურებს, რომ მასწავლებლებისა და ოჯახების ურთიერთხელშემწყობ მუშაობას მოსწავლეების და მთლიანად სკოლის გაძლიერებისკენ მივყავართ.

ოჯახსა და სკოლას შორის პარტნიორობის ორმაგი შესაძლებლობების განვითარების **ჩარჩოს შედეგები კი ასე გამოიყურება:**

პედაგოგები შეძლებენ, დააკავშირონ ოჯახის ჩართულობა სწავლასა და განვითარებასთან; ჩართონ ოჯახები როგორც თანაშემქმნელები; პატივი სცენ ოჯახის გამოცდილებას; პატივი სცენ კულტურულ მრავალფეროვნებას.

ოჯახები შეძლებენ, მონაწილეობა მიიღონ სასკოლო პროცესებში როგორც თანაშემქმნელებმა, მხარდამჭერებმა, წამხალისებლებმა, მეთვალყურეებმა, ადვოკატებმა და როლურმა მოდელებმა.

სტატია დაიწერა სახელმძღვანელოს „მშობელთა ჩართულობა სკოლაში“ ერთ-ერთი თავის – „მშობელთა ჩართულობის სტრატეგიული დაგეგმვა სკოლაში“ – მიხედვით, რომლის ავტორია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მანანა რატიანი.

ინტერნეტგაზეთი
WWW.MASTSAVLEBELI.GE
სამასწავლებლო | კედლის გაზეთი | გალერეა | პედსაბჭო | ზარია! | კონტაქტი
www.mastsavlebeli.ge

www.mastsavlebeli.ge

ირმა ტაველიძე

ზამთრის გზები: ორი ფილმი მოზარდებზე

მთელი წელი ველოდი ფრანგული ფილმების ონლაინ-ფესტივალს (https://www.myfrenchfilmfestival.com/), უპირატესად იმ იმედით, რომ რაღაც ისეთს გადავაწყდებოდი, რასაც სხვაგან და სხვაგვარად ვერ ვნახავდი. უფასოა, მთელი თვე გრძელდება და საშუალებას იძლევა, რომ დასახულ მიზანს იმდენი დრო მოახმარო, რამდენიც გინდა. თუ ფრანგული არ იცი, ფილმებს სუბტიტრების თანხლებით ნახავ, თვალისა და გონებისთვის უფრო ახლობელ ენას შეარჩევ.

ნამუშევრების უმრავლესობა მოკლემეტრაჟიანია, თხუთმეტ-ოცწუთიანი. სკოლის ცხოვრება, მასწავლებლობის სირთულეები, სოციალური უთანასწორობის მატრავმირებელი შედეგები, სასტიკ სინამდვილესთან გამკლავების გზები, სექსუალობის გაცნობიერების მტკივნეული პროცესი... რა თემას აღარ ეხებიან ავტორები, რომლებთან მოკლე ინტერვიუებსაც ფესტივალის ვებგვერდზევე მიაგნებ.

წლევანდელი პროგრამიდან ორ ფილმს გამოვარჩევდი. მეჩვენება, რომ ორივე შემთხვევაში შემქმნელთა ჩანაფიქრმა გაამართლა და მეტიც, არც ის არის გამორიცხული, თავდაპირველად მონიშნული ჩარჩოს ნაწილი შეეწირა რაღაც მოულოდნელის გამოჩენას.

ბელგიელი რეჟისორის ჟან-ბენუა უჟეს „ზამთარი“ (https://www.myfrenchfilmfestival.com/content/winter-en), რომელიც მხოლოდ 19 წუთს გრძელდება, იმ მოზარდის ამბავს მოგვითხრობს, რომელსაც ეს-ესაა, უნდა აეხილოს სამყაროს სილამაზის დასანახი თვალი. მსგავსიც ვერაფერი მოხდებოდა, თავს მუდამ გარიყულად რომ არ გრძნობდეს, შეძლებული მშობლებისგან განებივრებულ თანატოლებთან სიტყვის გაცვლას რომ ახერხებდეს, ზამთრის კურორტის სიკეთეებით სრულყოფილად ტკბობა რომ გამოსდიოდეს. აურელიანოს დედა მოსამსახურეა და, სიმართლე უნდა ითქვას, მას პატივისცემით ეპყრობიან, ყოველმხრივ უწყობენ ხელს, ტოლად და სწორად მიაჩნიათ დამქირავებლებს, მაგრამ ერთგვარი დაძაბულობა მაინც იგრძნობა – არსად გამქრალა ის მოცემულობა, რომ მისი სამყაროს საზღვრები ვიწროა, რომ მისი დღეები სამზარეულოში იწყება და მთავრდება.

ბიჭი ხან დედას ეხმარება, ხან თხილამურებთან შეჩვევას ცდილობს, ხან კი თავს უფლებას აძლევს, არ ითვალთმაქცოს და გადაწყვეტილების მიღებისას ანგარიში არაფერს გაუწიოს. გზა, რომლის გავლაც შეუძლებლად მოჩანს, უეჭველად მისი გასავლელია და სხვა არავისი. ზამთარი, რომლის სილამაზეც თითქმის ყოველ კადრში მტკივნეულად საგრძნობია, ასევე მხოლოდ და მხოლოდ მისი გადასატანია. ვინ იტყვის, საბოლოოდ რას გაუძლებს და რას – ვერა, რას შეხედავს პოეტის თვალით და რას – ვერა.



ფრანგი რეჟისორის ჟოზეფინ დარსი ჰოკინსის ოცდახუთწუთიანი ფილმიც, „ღღბლის კბილი“ (https://www.myfrenchfilmfestival.com/content/sweet-tooth-en), იმ განსაცდელის შესახებაა, ერთ დღეს აუცილებლად რომ გაჩნდება ბავშვის ცხოვრებაში და ძალიან მნიშვნელოვანს ასწავლის – გადაწყვეტილების მიღებისას გულის ხმის მოსმენას, თავგანწირვის ფასს. რვა წლის მადლენის დედაც სხვებს ემსახურება, გოგონასაც აკლია ბევრი ისეთი რამ, რაც მის თანატოლებს მობეზრებულ-მოძულებულიც კი აქვთ, მაგრამ ის მებრძოლია და უშიშრად ცდილობს გამოსავლის პოვნას, წესების მიხედვით თამაშს და მოგებას, თავისი სიტყვის თქმას იქ, სადაც ფარულად დასცინიან, სახიფათო ხაფანგს უგებენ.

ერთი შეხედვით, ისევ უსამართლოდ მოწყობილ ქვეყნიერებას გვიჩვენებენ, სადაც სიღარიბე განაჩენია, მდიდრების თავშექცევა კი სულ უფრო მახინჯ ფორმებს იღებს, თუმცა მადლენი ის გმირია, რომელსაც მსხვერპლად ვერაფრით წარმოიდგენ. მართალია, გამარჯვება წარმოუდგენელ ფასად დაუჯდა, მაგრამ გადაწყვეტილება სანანებლად არ გახდომია – როგორც ბოლოს ვხედავთ, გემო მხოლოდ შოკოლადის ნამცხვარს კი არა, თავად ცხოვრებას გაუგო.

ორივე ფილმის დასასრულს გრჩება განცდა, რომ ბავშვებმა სწორი გზა იპოვეს, რომ გადარჩენა სხვების დაუხმარებლად მოახერხეს და ის ისწავლეს, რასაც მხოლოდ მარტოობაში სწავლობ.

P.S. *ორივე ფილმის ნახვა youtube.com-ზეც შეიძლება:*
https://www.youtube.com/watch?v=ydX2SaUfT1M
https://www.youtube.com/watch?v=iKLhQ6RQFrw

ნინო ლომიძე

რონალდ დევისი „დისლექსიის ნიჭი“

წერილი პირველი, თეზისები და ჩანაწერები წიგნიდან „დისლექსიის ნიჭი“

აზროვნების პროცესი

ადამიანი აზროვნებისას მეტწილად ვერბალურ კონცეპტუალიზაციას მიმართავს, ანუ ფიქრთა მდინარება ენობრივ-სამეტყველო სტრუქტურას იმეორებს – წინადადებები სიტყვებისგან იქმნება, აზრი წინადადებებად ყალიბდება.

არავერბალური კონცეპტუალიზაციისას კი აზრი სურათ-ხატებად ფორმირდება. არავერბალური აზროვნება რთული აღსაქმელია, ის სწრაფია და გაუცნობიერებელი რჩება ხშირად, ანუ როდის, რა მომენტში მივმართავთ არავერბალურს, რთული ჩასაჭერია.

როგორც წესი, აზროვნება, ფიქრი – ორივე მეთოდს მოიცავს. **დისლექსიის მქონეთა უმრავლესობისთვის კი არავერბალური აზროვნებაა წამყვანი**, ანუ სურათ-ხატებით აზროვნება და ფიქრი მათთვის მეტად ბუნებრივია.

რა ხდება ვერბალური

კონცეპტუალიზაციისას? – ჩვენ ვფიქრობთ ბგერების, ოღონდ წარმოუთქმელი ბგერების გამოყენებით. აი, დაახლოებით ისე, როგორც მაშინ, როცა: „შენთვის წაიკითხე“, – ვთხოვთ ბავშვს და გვინდა, რომ კი არ გაახმოვანოს წაკითხული, არამედ შიგნით, საკუთარ თავში წარმოთქვას.

ფიქრი ერთგვარი შინაგანი მონოლოგია.

რა ხდება არავერბალური კონცეპტუალიზაციისას? – ფორმირდება აზრობრივი სურათ-ხატები, არამხოლოდ მხედველობითი – ეს ხატები უფრო სამგანზომილებიან მულტისენსორულ გამოსახულებებს ემსგავსება.

დისლექსიის მქონეს შინაგანი მონოლოგის წარმოება არ გამოსდის, უფრო სურათხატოვანია მისი აზროვნება. სიტყვის მიღმა მათ სურათ-ხატის წარმოდგენა სჭირდებათ.

პრობლემური ასეთ დროს ის სიტყვებია, რომლებსაც კონკრეტული აღმნიშვნელი არ გააჩნია. მაგალითად, კავშირები, თანდებულები, ნაწილაკები.

მოვიშველიოთ მაგალითი: „**სახლი**“ – ადვილი წარმოსადგენია. თითოეული წარმოიდგენს სხვადასხვა ფორმის, ფერის, ზომის სახლს.

იმ სახლში? – ეს სიტყვათშეთანხმება კი უფრო რთული აღსაქმელია, რადგან **იმ** მარცვალი არანაირ სურათს არ წარმოქმნის.

„იმ სახლში“, ჩვეულებრივ, არ იწვევს ჩვენს დაბნეულობას, რადგან ჩვენ ვასრულებთ წინადადებას და მერე კონტექსტის მიხედვით ვხვდებით, რა და როგორ. დასრულებული წინადადებიდან აზრის გამოტანა ჩვენთვის სირთულეს არ წარმოადგენს – ვხვდებით, ვიგებთ, წარმოვიდგენთ.

დისლექსიის მქონე ადამიანისთვის კი „იმ“ და მსგავსი სიტყვები ერთგვარი **მუხრუჭებია** *(შესაძლოა, სპეციალურ ლიტერატურაში არის ამ ცნების სხვა შესატყვისი, მაგრამ ამ წერილისთვის „მუხრუჭი“ ვარჩიე. მეტაფორა კარგად ასახავს პროცესს, რომელიც დისლექსიის მქონეს ეწყება მსგავსი სიტყვების ამოკითხვისას)*, რადგან ამ სიტყვა-მუხრუჭების შემდეგ რთულია სურათ-ხატების აგება.

არავერბალური კონცეპტუალიზაციისას, როდესაც წამყვანი ფორმა აზროვნებისა სწორედ ესაა, წინადადებაში მუხრუჭი სიტყვების სიჭარბისას ადამიანს „გონება ებმის“. ენა დაებაო, ამბობენ, როდესაც ვიღაც საუბრისას სინტაქსში აიხლართება, ვერ გამოთქვამს ცალკეულ სიტყვას ან წინადადების ნაცვლად აბდაუბდას იმეორებს. ამავე აზრობრივ პროცესს ჩართავენ ხოლმე მუხრუჭი სიტყვები და რაც უფრო მეტს წაიკითხავ, მით მეტად აიბურდები ტექსტის, მარცვლების, ასოების ორომტრიალში.

ეს პროცესი სრულდება იმით, რასაც ავტორი **დეზორიენტაციას** უწოდებს.

დეზორიენტაცია

ტექსტში დეზორიენტაციისას ადამიანი იმავეს გრძნობს, რასაც იგრძნობს მოგზაური უცხო ადგილას უკომპასოდ, სიბნელეში, როდესაც მხარეების განსაზღვრაც შეუძლებელია და არც რაიმე ორიენტირია გზის გასაგნებად.

დისლექსიის დროს, დევისის რწმენით, დეზორიენტაცია გადაქცეულია ფუნქციად, რომელიც რთავს აზროვნების განსხვავებულ პროცესს.

რონალდ დევისი, რომელსაც თავად აქვს დისლექსია, ამ თავისებურებას მიიჩნევს ტალანტად. დასწავლის თავისებურებად.

ის საკუთარ მაგალითზე ძალიან საინტერესოდ ხსნის, რა ძალისხმევად უჯდება დისლექსიის მქონეს ამოკითხვა+გაგება+გააზრება.

დევისი განიხილავს წინადადებას:

ეს ყავისფერი ცხენი ქვის ღობეს გადაახტა და... მდელოზე გაქუსლა.

პირველივე სიტყვა – **ეს** – მუხრუჭია.

სურათ-ხატი ამ სიტყვისთვის არ არსებობს.

ეს სიტყვა არის დამაბნეველი, ამოუხსნელი. მკითხველი ცდილობს, გადალახოს დაბრკოლება.

შემდეგი სიტყვაა **ყავისფერი.** ამ სიტყვას აქვს ფერის მნიშვნელობა, მაგრამ არ აქვს კონკრეტული ფორმა, საჭიროა კონცენტრირება მის წარმოსათქმელად და აღსაქმელად.

შემდეგ მოდის სიტყვა **ცხენი.** ის წინა სიტყვას, ყავისფერ ფონს, ასხვაფერებს, აძლევს ფორმას. საჭიროა კონცენტრირება, დაძაბვა, რომ ორი სიტყვა შეერთდეს და მივიღოთ სურათ-ხატი – **ყავისფერი ცხენი.**

ქვის – გარკვეულ სურათ-ხატსა და შინაარსს მოიცავს, მაგრამ ფორმა არ არის დაკონკრეტებული. წარმოსათქმელად და გასააზრებლად დაძაბვაა საჭირო. სიტყვა **ღობე** ქვის ბუნდოვანებას ფორმას აძლევს, ბუნდოვანება იკლებს, გაორმაგებული კონცენტრაციისა და დაძაბვის შედეგად ქვის ღობის სურათ-ხატი იკვრება.

ზმნა **გადაახტა** ყავისფერი ცხენის წინა ნაწილს ჰაერში სწევს. კონცენტრაცია და დაძაბულობა იმატებს, ამის ხარჯზე ცხენი ჰაერში აიწევა.

და – მუხრუჭია. სიცარიელე. გონებაში არეულ-დარეულობაა. დეზორიენტაციის განცდა მძლავრობს. კონცენტრაციისა და დაძაბულობის მდგომარეობას ემატება დეზორიენტაცია. ერთადერთი გზა კითხვის გასაგრძელებლად არის კიდევ უფრო მეტი კონცენტრირება, კიდევ უფრო მეტი დაძაბულობა, მაგრამ ამ ყველაფერს ემატება დეზორიენტაცია და საქმეში ერთვება დისლექსიის სიმპტომები.

და-ს ნაცვლად რაღაც გაუგებარი *ასოთწყობა*ხტის ფურცელზე, შემდეგი სიტყვა **მდელოზე** იკითხება, როგორც *მედელეზე*, თავში საკუთარი მორბენალი თავის სურათ-ხატები ირევა, სიტყვა **გაქუსლა** კი ამოუცნობ და *ამოუკითხველ*ობიექტად რჩება.

მეტი ძალისხმევა, მეტი დაძაბულობა და... რესურსი იწურება.

კითხვაზე: „რა ამოიკითხე?“ – პასუხი შეიძლება იყოს: „ქვები რომ ყრია, იმ ადგილზე“.

შედეგად:

მკითხველის თავში არის სურათ-ხატი ჰაერში გამოკიდებული ცხენისა, ქვათა გროვისა, საკუთარი მორბენალი თავისა... მაგრამ ამ ყველაფრის ერთ მნიშვნელობის მქონე წინადადებაში მოქცევა და დასრულებული აზრის მქონე სიტყვების ნაკრებად ქცევა შეუსრულებელი მისიაა.

მკითხველს კი შვებას ჰგვრის ის, რომ სატანჯველი დასრულდა.

კონცენტრაციის ის დოზა, რომელსაც დისლექსიის მქონე ადამიანი იყენებს ამოკითხვისას, ენერგიის უზარმაზარ რესურსს მოითხოვს. ინტენსიური კონცენტრაციისას, როდესაც მოსწავლე ცდილობს, ამოიკითხოს და გაიგოს, ის ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომელიც ჰიპნოზურს უტოლდება.

სხვადასხვა ინტენსივობის (სუსტიდან ძლიერამდე) თავის ტკივილი, გულისრევის შეგრძნება, სისუსტე, უხასიათობა, იმედგაცრუებისა და უსუსურობის განცდა – ყველა ეს თანმხლები მოვლენა ბუნებრივი და მოსალოდნელია მაშინ, როცა დისლექსიის მქონე ამხელა ძალისხმევას მიმართავს კითხვის მექანიკური პროცესის განსახორციელებლად.

1. ამბის დასაწყისი

ამბავი იდეალური წესრიგით იწყება. თითქოს ყველაფერი რიგზეა კი არა, შესანიშნავადაა. ქორწილია მთაში, სადაც გუგუას ხელისმომკიდედ ონისე ჰყავს, ავთანდილს – თავისი ტარიელი. სულ ნარჩევ-ნარჩევი ვაჟკაცები. ეტყობათ, რომ სამტროდ არ მიდიან. მოხდენილი და მხიარული მხედრები ერთმანეთს მშვიდობას უსურვებენ. ჯვარულის სიმღერას ცეკვა ცვლის, მხიარულებას – ბედნიერება. რატომაც არა, განა ვინმეს ძალით აქორწინებენ? გუგუას დიდი ხნის ნატვრა უსრულდება და საოცნებო ძიძიას ირთავს ცოლად, ძიძიასაც მიუცია თანხმობა და არაერთი ღამე გაუთენებია საქმროზე ფიქრით. ონისე? ავტორი განზრახ დაგვიმარცვლავს, რომ ონისე სიყვარულს ეძებს, ზოგადად, სიყვარულის ძიებაშია, ისევე, როგორც მისი ასაკის ყველა ყმა: „ონისე კი, რომ ქორებრივი თვალი გაეყარა ვისთვისმე განურჩევლად, ვინც უნდა ყოფილიყო ისა, ოღონდაც არის მის თვალებსაც ელვარება ჰქონოდა, ტუჩებს – მიმზიდველობა, ლოყებს – სიყმაწვილის ელფერი და გულს – სისხლის ამაჩუხჩუხებელი ძალა“.

თითქოს არაფერი მოასწავებს საფრთხეს, ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს – იდეალურად.

2. რაღაც და როგორღაც

მალე მკითხველს შფოთვა და მღელვარება იპყრობს. იდეალურ, სამოთხისებურ წესრიგში ეჭვი იპარება და წესრიგის რღვევა სულ ორი სიტყვით გამოიხატება: „რაღაც“ და „როგორღაც“. განა მიზეზი ვიცით? განა უკვე ყველაფერს ვხვდებით ან ჩვენ, ან პერსონაჟები? არა, აქ რაღაც და როგორღაც ხდება. ჯერ „რაღაცა ჯერედ უცნობი ბედნიერება“ ჩნდება, მერე „ქალი ჰგრძნობდა რაღაც ინსტიტიურს მღელვარებას“, მერე „გულში რაღაცამ უჩხვლიტა, რაღაცა უსიამოვნო გრძნობამ შეიპყრო“, „ძიძიას გული როგორღაც აუკანკალდა“, „ონისე როგორღაც შეკრთა“, „რაღაც უცნაურ მდგომარეობაში“ იყო და, მოკლედ, კიდევ ბევრი „რაღაც“ ხდება, რისგანაც ველარავინ დაიცავს პერსონაჟებს.

ქალმა პირბადე სასწრაფოდ ჩამოიფარა, მაგრამ უშველის კი? იქნებ უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია? „რაღაც და როგორღაც“ რეალობაში. იქნებ უკვე დაძრულია „რაღაც უხილავი ძალა?“

„რაღაცა უცნაური დუმილი“ და „რაღაცა ჭმუნვით სავსე დუმილიც“ გამეფებულა.

ბოლოსაც, ნაწარმოების ყველაზე რთულ, გადამწყვეტ მომენტში, ონისეს თვალს „რაღაც ძალა“, „რაღაც გრძნობა“ დაუბრმავებს, მტერიც ამიტომ გამოეპარება.

3. ხელები

რა თქმა უნდა, არცერთ მკითხველს არ უყვარს ამბის დასასრულის წინასწარ ცოდნა, ამიტომ მეც არ მოგიყვებით. ოღონდ ეს არის, რომ ავტორი თითქოს წინასწარ გვიხსნის კვანძს, თავისი პერსონაჟების ბედს წინასწარმეტყველებს, ოღონდ დაფარულად, ხელების მოძრაობისა და ურთიერთობის საშუალებით, მინიშნებებითა და მეტაფორებით. კარგად დააკვირდით ამ ეპიზოდს, არ გამოგრჩეთ:

„– ონისევ! აჰა, ჩაგვიბარებია თქვენთვის ქალი წრფელი და შეურცხვენელი... დღეის ამას იქით შენ აგვირჩევიხარ ამის ძმად. – ამ სიტყვებზედ იმან გადასცა ონისეს ქალის მთრთოლვარე და გახურებული ხელი.

ონისემ რაწამს ამ ხელის მიკარება იგრძნო, როგორღაც შეჭკრთა, დაიბნა და თითონაც გაურჟოლდა, თუმცა ამგვარი მდგომარეობის მიზეზი ვერ აეხსნა.

... – არ მინდა, შენაი ჭირაიმე, – უპასუხა კაცმა, როგორ ელსაც ქალის ხელი ჯერ კიდევ არ გაეშვა, თუმცა ჰგრძნობდა, რომ ეს ხელი სწვავდა, სდაგავდა მას, უღელვებდა სისხლს და გონებას აფანტვინებდა.

ონისემ მოისვა შუბლზედ ხელი, მაგრად მოიწურა ოფლი, პირდაპირ შეჰხედა ქალს და ხმამაღლა მტკიცედ წარმოსთქვა:

– იყოს თავდებად ზევით ღმერთი და ქვეშ დედამიწა, რომ ძიძია დასავით მეყვარება, გავუწევ ძმობას, მაგისთვის ძმაზედ უფრო მეტი ვიქნები!

...ონისემ მიიყვანა ქალი და გადასცა სასიძოს, რომელმაც გაშმაგებით საჩქაროდ მიაშველა თავისი ხელი. მხოლოდ საკვირველი ეს იყო, რომ ქალი თითქოს რამდენჯერმე შეჰკრთა და ხელისმომკიდის ხელის გაშვება ეძნელებოდა, მაგრამ გუგუამ გაავლო ხელი და ისეთ რიგად მოუჭირა, რომ ქალს ძვლებმა ჭახჭახი დაუწყეს და ტკივილისაგან კინაღამ შეჰყვირა“.

დიანა ანფიმიადი

რაღაც და როგორღაც: „ხევისბერი გოჩა“ – ბედისწერა და ტრაგედია

4. სიყვარული, როგორც ბედისწერა

ყაზბეგის არცერთ ნაწარმოებში არ არსებობს უფრო ბრმა და ყოვლისშემძლე ძალა, ვიდრე სიყვარულია. აქ სიყვარული არჩევანი არ არის, აქ სიყვარული მეწყერია, ბედისწერაა, რაღაც თავისთავადი სტიქიაა, რომელიც პერსონაჟების ბედს ცვლის. ზუსტად ისე, როგორც ძველ ბერძნულ მითოსში, სადაც რომელიმე ქალღმერთი აფროდიტე გადაწყვეტს, რომელიმე დედოფალ ელენეს რომელიმე პარისი შეაყვაროს. ეროსის ერთი ისარი და ომის ამბავი გადაწყვეტილია.

სიყვარული ყაზბეგთან ტანჯვაა, ის ყოველთვის ეწინააღმდეგება ლოგოსს, საღ აზრს, საზოგადოებას, მოვალეობას. ყაზბეგის პერსონაჟები სულ მარცხდებიან, ზოგიერთი იმდენად მარცხდება, რომ ბოლო წამს მიჯნურისთვის ყველაზე წარმოუდგენელ ღალატს სჩადის, ლაჩარივით იქცევა და ამ ბედისწერასავით სიყვარულს, რომელიც ჯერ კიდევ მანამდე დაიწყო, სანამ ორი ხელი ერთმანეთს შეეხებოდა, სატრფოს პასუხისმგებლობად და მეტიც, დანაშაულად აქცევს.

ნათია ნაფეტვარიძე

ლიტერატურის გაკვეთილები

ხანგრძლივი არდადეგების შემდეგ სწავლის განახლება ზოგი მოსწავლისთვის სახალისოა, ზოგი კი სიზარმაცეს თავს ვერ აღწევს. ძნელია, როცა ჯერ ისევ მოკლე დღეა, სიბნელესა და სიცივეში ადგე, მოწესრიგდე, რუტინას დაუბრუნდე. მაგრამ ისიცაა, რომ მონატრებულ მეგობრებს შეხვდები, განვლილ დღეებს გაიხსენებ, შეაჯამებ და ახალ-ახალ თავგადასავლებსაც დაიწყებ მათთან ერთად.

ჩვენზე, მასწავლებლებზე, ბევრია დამოკიდებული. მოსწავლის მოტივაცია პირდაპირ უკავშირდება მასწავლებლის მიერ შეთავაზებულ საინტერესო და სახალისო დავალებებს. ფაქტობრივად, სემესტრის დასაწყისი ხელახლა გვაძლევს შესაძლებლობას, ახალი ფურცლიდან დავიწყოთ ურთიერთობა ჩვენს მოსწავლეებთან, გავუღვივოთმათ ინტერესიკითხვისმიმართდაგავუმარტივოთყოველდღიურობა.

გთავაზობთ რამდენიმე იდეას, რომლებსაც, დარწმუნებული ვარ, ბევრი თქვენგანი იყენებს, მაგრამ ვფიქრობ, აჯობებს, ერთად მოვუყაროთ თავი:

1. **აქტივობა კლასისშესამზადებლად**
ვთხოვოთ მოსწავლეებს, დახუჭონ თვალები და გრძნობის ორგანოების საშუალებით აღწერონ ერთი მომენტი არდადეგებიდან (მესმის, ვხედავ, ვგრძნობ (შეხებას,გემოს)...
2. **დავურიგოთ მათ სტიკერები ან ბარათები** და ვთხოვოთ, ჩამოწერონ ამ დღეებთან დაკავშირებული ემოციები და გაიხსენონ შესაბამისი სიტუაცია;
3. **ყინულის გასალღობად, საკლასო ოთახში გონებით (და არამხოლოდ ფიზიკურად) დასაბრუნებლად ვკითხოთ მოსწავლეებს:**
   - არდადეგების დროს წაკითხული რომელი წიგნი იყო გამორჩეული შენთვის?
   - გაგვიზიარეშენი სადღესასწაულოემოციები (ისინიშეიძლებაწიგნებს ან ფილმებს უკავშირდებოდეს და არა რეალურ ამბებს);
   - როგორი დამოკიდებულება გაქვს კითხვასთანახლა, როცადავბრუნდით?

მსგავსი შეკითხვები ეხმარებ ამოსწავლეებს,თავიკომფორტულადიგრძნონდაგანეწყონ სასწავლო პროცესისთვის.

4. **ლიტერატურულიჟურნალები/ დღიურები**
ვთხოვოთ მოსწავლეებს,დაწერონსწრაფიჩანაწერიჟურნალში/დღიურში და გვიამბონ არდადეგების დროს წაკითხული ან დაუმთავრებელი წიგნების შესახებ. შეგვიძლია, კითხვები შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:
   - არდადეგებზე წაკითხულ რომელ ტექსტს გამოარჩევდი? რატომ?
   - რამ გაგაკვირვა? რატომ?
   - როგორ შეიძლება, არდადეგებზე წაკითხული ამბები გაკვეთილებზე ნასწავლ ტექსტებს დავუკავშიროთ?

ესდაეხმარება მოსწავლეს წაკითხულსა და ნასწავლს შორისკავშირების პოვნასა და პირადიგამოცდილების გამოყენებაში.

5. **წავიკითხოთ ხმამაღლა/ გავმართოთ დისკუსია**
შეგვიძლია, გაკვეთილისეზონთან, ამინდთან, მიმდინარე დღეებთან დაკავშირებული ტექსტიდან ამონარიდით დავიწყოთ. მთავარია, თემა და ტექსტი ისე შევარჩიოთ, რომ ბავშვებისთვის სახალისო და საინტერესო იყოს, მნიშვნელობა არ აქვს, კლასიკას მივმართავთ თუ თანამედროვე ნაწარმოებით დავკმაყოფილდებით. წაკითხვისშემდეგშეგვიძლია:
   - ვთხოვოთ მოსწავლეებს,გაგვიზიარონშთაბეჭდილება;
   - განვიხილოთ ტექსტში გამოყენებულიახალილექსიკაანლიტერატურულიხერხები;
   - ვთხოვოთ, გამოთქვან ვარაუდი, რაშეიძლებამოხდესშემდეგ (თუ, რა თქმა უნდა,კითხვის პროცესი დასრულებული არ აქვთ).
6. **მიზნების დასახვა**
მოსწავლეებს გამოვათქმევინოთ სურვილები, მივცეთ თემატური ჩამონათვალი იმ თემებისა თუ წიგნებისა, რომლებსაც წაიკითხავენ სემესტრის/წლის განმავლობაში. მივცეთსაშუალება, თავად დასახონკითხვისგეგმა. შეგვიძლია, შემდეგი შეკითხვებით განვაწყოთ ისინი კითხვისთვის:
   - როგორიმოთხრობებისანწიგნებისწაკითხვასისურვებდიამსემესტრში?
   - ხომ ვერ გამოყოფ შენთვის საინტერესო ჟანრს ან ავტორს?
   - როგორფიქრობ, რაში გვეხმარება კითხვა?

მსგავსი დამოკიდებულების გაჩენა მოსწავლეებს გრძნობების, ემოციების გამოხატვისკენ უბიძგებს და განაწყობს მომავალი გაკვეთილებისთვის.

7. **თვალი გადავავლოთ ლიტერატურულ ცნებებს**
მიმოვიხილოთ წინა სემესტრში, წინა წელს განხილული ძირითადი ლიტერატურული ცნებები თუ ტერმინები (პერსონაჟები, გარემო, სიუჟეტი, თემები...). ამისთვის გამოვიყენოთ სახალისო თამაშები, ვიქტორინები ან საკლასო დისკუსია. შემდეგ შევეხოთ იმ ახალ ცნებებსა თუ უნარებს, რომლებსაც ისინი ისწავლიან (მაგალითად, მხატვრული ენა, სიმბოლოები, თხრობის მანერა...). ამისთვისაც შეგვიძლია, მივმართოთ სხვადასხვა აქტივობას:
   - მოკლე ვიქტორინა ან ინტერაქტიული თამაში (მაგ. Kahoot ან სხვა პლატფორმის მეშვეობით) წინარე ცოდნის შესამოწმებლად.
   - მინი-გაკვეთილი ახალი ლიტერატურული ელემენტის შემოსატანად, სადაც მოსწავლეებს ამ ახალ ტერმინს შევასწავლით.

ეს დაგვეხმარება განვლილი მასალის სწრაფად და ეფექტიანად მიმოხილვაში და ახალი ცნებების დამუშავებასაც შეუწყობს ხელს.

ასე ნელ-ნელა, გართობით, ხალისით, გამეორებით, მთავარი საკითხების გამოკვეთით შეგვიძლია უმტკივნეულოდ, შეუფერხებლად გადავიდეთ ენისა და ლიტერატურის სამყაროში.

მაია მენაბდე

აპოლიტიკური მოზარდები თუ ა, პოლიტიკური მოზარდები?

2013 წელს ეროვნულ გამოცდებზე იყო რევაზ ინანიშვილის არაჩვეულებრივი მოთხრობა „ლარა“, რომელიც გვიჩვენებს, როგორ შეიძლება შეიწიროს სისტემამ ადამიანი, გაანადგუროს ფიზიკურად და სულიერად. ლარა და ჟულიენი, დედა-შვილი, უვლიან თავიანთ მამასა და ბაბუას, რომელიც ათწლიანი პატიმრობის შემდეგ ავადმყოფობის გამო ცოცხალ-მკვდარი გამოუშვეს ციხიდან. მწერალი საოცარი სიცხადით აღწერს, ერთი მხრივ, ამ კაცის გარეგნობას, რომელიც ამხელს, რა გადაიტანა მან ამ ათ წელიწადში, მეორე მხრივ კი იმ მზრუნველობას, რომელსაც დედა-შვილი იჩენს მის მიმართ – და ისინი შეუძლებელს შეძლებენ, თითქმის მკვდარს ფეხზე დააყენებენ. ოდნავ მოღონიერებული ნაპატიმრალი უჩუმრად გავა სახლიდან, მაგრამ გზაში, ფოსტის მახლობლად, ცუდად გახდება, წაიქცევა და ვეღარ უშველიან. გულისჯიბეში აღმოუჩენენ წერილს ვიღაც უფროსის სახელზე, რომელსაც შეახსენებს, რა დამსახურება აქვს, რა გამოიარა, მერე კი ქვეყნის სამსახურისთვის მზადყოფნას და ერთგულებას იმით უმტკიცებს, რომ საკუთარ შვილსა და შვილიშვილს ასმენს: საეჭვო გზით შეძენილ იაპონურ ტრანზისტორში უსმენენ ქვეყნისთვის მტრულ გადაცემებს საზღვარგარეთიდან და ინფორმაციას ავრცელებენო.

მახსოვს, მაშინ განათლების სფეროში განგაში ატყდა, რადგან აბიტურიენტების დიდმა ნაწილმა არსობრივად ვერ გაიგო ნაწარმოები, ვერ ამოიცნო მწერლის მთავარი სათქმელი, ვერ გაიაზრა კონტექსტი და ნაპატიმრალს საქციელი მოუწონა, სამშობლოს უერთგულაო. ეს ნაწარმოები იქცა ლაკმუსის ქაღალდად, რომელმაც დაგვანახა, რომ რაღაცას სწორად ვერ ვასწავლიდით. მას შემდეგ ყოველთვის ვაკითხებ ჩემს მოსწავლეებს ამ მოთხრობას, ვაწერინებ ანალიზს და მერე შიშით ვკითხულობ მათ ნაწერებს – მათი ნაშრომების მიხედვით ვამოწმებ საკუთარ თავს, სწორად ვასწავლი თუ არა, რასაც ვასწავლი.

ვფიქრობ, ეს შემთხვევა კარგი შესავალია იმ თემაზე სასაუბროდ, რომელიც ძალიან მაწუხებს. იმდენად, რომ ვერ მოვისვენე, სანამ ჩემი შემაწუხებელი ფიქრები სტატიად არ ვაქციე.

ბოლო ხანს ჩვენს ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა გააქტიურა საზოგადოების მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა ახალგაზრდების როლი სამოქალაქო მოძრაობაში (თუმცა არც სხვა წლებში ყოფილა მეორეხარისხოვანი), მაგრამ ორაზროვანი დამოკიდებულება გამოიწვია ამ ყველაფერში სასკოლო საზოგადოების აქტიურად ჩართვამ. ეს ორაზროვნება განსაკუთრებით შეეხო ორ სეგმენტს: მასწავლებლებსა და მოსწავლეებს (ადმინისტრაცია პასიურობით გამოირჩევა, მშობლების აქტიურობა არავის უკვირს). განსაკუთრებით მგრძნობიარე აღმოჩნდა საზოგადოება მოსწავლეების აქციების მიმართ და ამ საკითხშიც საზოგადოება, სულ მცირე, ორად გაიყო.

ვეცდები, ამ სტატიაში თავი მოვუყარო იმ რამდენიმე არგუმენტსა და გარემოებას, რომლებიც, ჩემი აზრით, აჩვენებს, რომ საზოგადოების აქტიურ წევრებად მოსწავლეების ჩამოყალიბება ძალიან მნიშვნელოვანია.

დავიწყოთ იმით, რომ **აპოლიტიკურობა** სამოქალაქო განათლების ლექსიკონში ასეა განმარტებული: *პოლიტიკური მოვლენების, აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ უარყოფითი ან უგულებელყოფითი დამოკიდებულება.* ხოლო უცხო სიტყვათა ლექსიკონში **აპოლიტი-**

ბოლო ხანს ჩვენს ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა გააქტიურა საზოგადოების მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა ახალგაზრდების როლი სამოქალაქო მოძრაობაში (თუმცა არც სხვა წლებში ყოფილა მეორეხარისხოვანი), მაგრამ ორაზროვანი დამოკიდებულება გამოიწვია ამ ყველაფერში სასკოლო საზოგადოების აქტიურად ჩართვამ.

კურის განმარტება შემდეგნაირია: *Gk. Apolitikos, „ვინც სახელმწიფო საქმეში არ მონაწილეობს“, ვინც თავს არიდებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას.*

ორივე განმარტებაში ხაზგასმულია **საზოგადოებრივი ცხოვრება,** რომელიც, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი უნდა იყოს თითოეული მოქალაქისთვის, განურჩევლად ასაკისა, სქესისა, ეროვნებისა, რელიგიისა და ა.შ.

სასკოლო საზოგადოებისთვის მთავარი დოკუმენტი, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ჩამონათვალი, იწყება შემდეგი პუნქტებით:

ა) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების მქონე, ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის მცოდნე მოქალაქის აღზრდა;

ბ) სახელმწიფო ენის, კულტურის, საქართველოს ისტორიის მცოდნე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და პატრიოტი მოქალაქის აღზრდა.

რა თქმა უნდა, ამ მიზნების მიღწევა ერთბაშად, სკოლის დამთავრებისთანავე, შეუძლებელია, თუ თანდათან, ზომიერად, შესაბამისი რესურსებითა და მეთოდებით, დიდი სიფრთხილითა და რუდუნებით არ ჩაეყარა საფუძველი.

უფრო ვიწრო, კონკრეტულ საგნობრივ ჭრილში თუ შევხედავთ, ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივ სტანდარტში ერთ-ერთ სამიზნე ცნებად არის მოცემული ***კონტექსტი:***

საბაზო საფეხურის სტანდარტში – ***კონტექსტური ფაქტორები*** *(მაგ., კონკრეტული ტექსტის შექმნის ეპოქა, ადგილი, კულტურული*

არეალი, რეალიები (მაგ., საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციოკულტურული); ფასეულობები; ცოდნის დონე; კონკრეტული ავტორის გამოცდილება (ცხოვრებისეული და სულიერი) - ბიოგრაფიის კონკრეტული დეტალ(ებ)ი, სოციოკულტურული გარემო; ფასეულობები, დამოკიდებულებები).

საშუალო საფეხურის სტანდარტში – ***ისტორიული და სოციოკულტურული კონტექსტი*** *– ქართული ლიტერატურის პერიოდები; თხზულების თანადროული ეპოქის ისტორიული ვითარება/ ისტორიული რეალიები, საზოგადოებრივი ცხოვრების რეალიები; ეპოქისთვის დამახასიათებელი თემატიკა/ პრობლემატიკა, ღირებულებები; წარმოდგენები სამყაროზე, ადამიანზე, დამოკიდებულებები, შეხედულებები განათლებაზე/ სწავლა-აღზრდაზე; მსოფლმხედველობრივი და მორალურ-ეთიკური ორიენტირები; ლიტერატურული მიმდინარეობები.*

ბიოგრაფიული კონტექსტი *- მწერლის ბიოგრაფიის კონკრეტული ფაქტები, მოვლენები, სოციალური გარემო, განათლება, სულიერი გამოცდილება; კულტურათა დიალოგი.*

მოცემული ამონარიდები გვკარნახობს, რომ თუ არ ვეცადეთ, მოსწავლეებში გავაღვივოთ ინტერესი ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ, თუ ტექსტები კონტექსტის გარეშე ვასწავლეთ, გამოვა, რომ არ ვითვალისწინებთ მასწავლებლებისთვის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს. და დოკუმენტებსაც თავი რომ დავანებოთ, არასრულყოფილად, გაუაზრებლად, გაუთავისებლად ვასწავლით, რასაც ვასწავლით.

ზემოთქმულს ემატება ისიც, რომ მოსწავლეების საყვარელი და მარადიული კითხვაა: „რასაც ვსწავლობ, რისთვის ვსწავლობ? რაში გამომადგება?“ – ამიტომ ნებისმიერი საგნის მასწავლებლის საფიქრალი სწორედ ის არის, მოსწავლეებს საგნის პრაქტიკულობა დაანახოს. ჩემი აზრით, ეს პრობლემა არ დგას ლიტერატურის სწავლებისას, თუ სწორად მივიყვანთ მოსწავლეებს ნაწარმოებთან, სწორად მიყვანა კი ნიშნავს იმას, რომ მოზარდმა ტექსტში ამოკითხული პრობლემები საკუთარ თავს, ცხოვრებას, ყოველდღიურობას დაუკავშიროს, გაავლოს კრიტიკული ან ემოციური პარალელები ან, პირიქით, ისწავლოს საკუთარი თუ სხვისი ცხოვრებისთვის შორიდან, დამკვირვებლის თვალით შეხედვა და ისე აწონ-დაწონა, შეფასება, გადაფასება მოვლენებისა თუ ღირებულებებისა. ყველაფერი ეს, თავის მხრივ, უკავშირდება 21-ე საუკუნის უმნიშვნელოვანეს უნარებს: **კრიტიკულ აზროვნებას, ემოციურ ინტელექტსა და მედიაწიგნიერებას.** როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნება, თუ ნაწარმოებში ასახულ საკითხებს ცხოვრებას არ დაუკავშირებენ და რეალურ ცხოვრებაში არ ეცდებიან, პრობლემებს სხვადასხვა კუთხით შეხედონ და გააანალიზონ?! ან როგორ შეიძლება, 21-ე საუკუნის ახალგაზრდას არ განვუვითაროთ ემოციური ინტელექტი, რომელიც გულისხმობს როგორც საკუთარი ემოციების მართვას, ისე გარშემო მყოფთა მიმართ ემპათიას, სხვების გრძნობების, დარდის, ტკივილის გაზიარებას, თანაგანცდას?! ეს მნიშვნელოვანია, რათა სამომავლოდ ისეთ ზრდასრულებად არ ჩამოყალიბდნენ, როგორებიც ფრანც კაფკას მცირე, მაგრამ მრავლისმთქმელი ტექსტის პერსონაჟები არიან. აქვე დავურთავ:

კაცი რომ კაცს მისდევს

როცა ღამით ქუჩაში მისეირნობ და ხედავ, რომ საწინააღმდეგო მიმართულებით ვიღაც გამორბის, შენ ამ უცნობს ხელს არ სტაცებ, არ შეაჩერებ, თუნდაც სუსტი იყოს და ჩამოფლეთილიც, თუნდაც ვინმე მისდევდეს და ყვიროდეს, დააკავეთო... შენ უცნობს სირბილში ხელს არ შეუშლი... რადგან ღამეა და შენი ბრალი არ არის, რომ ქუჩა მთვარის შუქითაა განათებული; ამას გარდა, იქნებ ისინი თავს იქცევენ ურთიერთდევნით; იქნებ ორივე ვიღაც მესამეს მისდევს; იქნებ პირველს უდანაშაულოდ გამოედევნენ; იქნებ მეორეს პირველის მოკვლა უნდა და შენ მკვლელობის თანამონაწილე ხომ არ გახდები?! იქნებ ამ ორმა ერთმანეთისა არა იცის რა და ორივე თავისთვის გარბის საკუთარი სახლისაკენ; იქნებ ესენი მთვარეულები არიან; იქნებ პირველს იარაღიც აქვს თან... დაბოლოს, ნუთუ უფლება არ გვაქვს, გადაღლილნი ვიყოთ? განა ცოტა ღვინო არ დაგვილევია? და შენ გიხარია, რომ ორივე თვალს მიეფარა...

რაც მთავარია, უკვე სასურველი კი არა, აუცილებელი იარაღია მედიაწიგნიერება, რადგან რეალური ცხოვრების გვერდით მედიაცხოვრებაც მჩქეფარე, საინტერესო და სახიფათოა. მოზარდმა

მოსწავლეების საყვარელი და მარადიული კითხვაა: „რასაც ვსწავლობ, რისთვის ვსწავლობ? რაში გამომადგება?“ – ამიტომ ნებისმიერი საგნის მასწავლებლის საფიქრალი სწორედ ის არის, მოსწავლეებს საგნის პრაქტიკულობა დაანახოს.

აუცილებლად უნდა იცოდეს, როგორ გაარჩიოს ერთმანეთისგან ნამდვილი და მცდარი ინფორმაცია, გააანალიზოს, ვინ და რატომ ავრცელებს ამა თუ იმ შეხედულებას. წავიდა ყვარყვარესა და ბეგლარა მეწისქვილის მიერ ნაცარში დახაზული პოლიტიკური სტრატეგიების დრო, ახალი თაობისთვის მარტივად ხელმისაწვდომია ნებისმიერი ტიპის ინფორმაცია, მით უმეტეს, რომ უმეტესობას არც ენის ბარიერი უშლის ხელს, მთავარია, რამის გაგება და შესწავლა მოინდომონ.

ყველაფერი, რაც ზემოთ განვიხილე, მიუთითებს იმაზე, რომ თუ მოზარდს თავისი ქვეყანა უყვარს, აინტერესებს, რა ხდება სამშობლოში და რა აწუხებს საზოგადოებას, გრძნობს მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, კრიტიკულად აზროვნებს, აქვს ცოდნა და ემპათია, ის ვერ იქნება აპოლიტიკური.

აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, **ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-13 მუხლის** მიხედვით, *ბავშვს უფლება აქვს, თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი; ეს უფლება შეიცავს ნებისმიერი სახის ინფორმაციისა და იდეის მოძიების, მიღების და გადაცემის თავისუფლებას საზღვრების მიუხედავად, ზეპირი, წერილობითი ან ბეჭდვითი ფორმით, ხელოვნების ნაწარმოების ფორმით ან ბავშვის არჩევანის შესაბამისად სხვა საშუალებების დახმარებით.*

კონვენციის მე-15 მუხლის თანახმად, *მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის ასოციაციის თავისუფლებისა და მშვიდობიანი კრებების თავისუფლების უფლებას.* ეს ნიშნავს, რომ იმ ბავშვებს, კითხვები რომ უჩნდებათ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე, პასუხების მიღების უფლება აქვთ; აზრის გამოთქმა თუ სურთ, ამის უფლებაც აქვთ, აქციაზე დგომას თუ გადაწყვეტენ, ამის უფლებაც აქვთ, ზრდასრულებს კი, პირიქით, არ გვაქვს უფლება, არ ვუპასუხოთ, გავაჩუმოთ, კარი ჩავუკეტოთ, ხელი შევუშალოთ. ჩვენ გვევალება, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც ვიყოთ ძალიან ფრთხილები, მოზომილები და მზრუნველები მათ მიმართ. უბრალოდ, ხელი უნდა შევუწყოთ, რომ მართონ თავიანთი ინტერესი, ემოცია და ენერგია. არახალია, რომ ძველთან დაპირისპირება, განვითარებისკენ სწრაფვა და პროტესტანტობა ყველა დროის მოზარდებს ახასიათებთ. ამის ძალიან ცნობილ მაგალითებსაც გავიხსენებ: მარო მაყაშვილი სრულიად ახალგაზრდა შეეწირა სამშობლოს. მისი დღიური, 17 წლისა რომ წერს, მოიცავს ყველა იმ თემას, რომლებიც ერთდროულად ეხება სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებს და უმეტესობა დღესაც აქტუალურია.

1956 წელს სულ რაღაც 17 წლისანი იყვნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, არალეგალური ახალგაზრდული პატრიოტული ორგანიზაცია „გორგასლიანი“ რომ დააარსეს (შეუერთდნენ გურამ დოჩანაშვილი, ვოვა სიხარულიძე და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა), გაზეთს გამოსცემდნენ და ანტისაბჭოთა პროკლამაციებს ავრცელებდნენ ქალაქში. დაისაჯნენ კიდეც ამისთვის.

16-17 წლისანი იყვნენ ეკა ბეჟანიშვილი და თამრიკო ჭოველიძე – 9 აპრილის ტრაგედიის ყველაზე მცირეწლოვანი მსხვერპლნი.

კიდევ ბევრის გახსენება შეიძლება, ბევრის სახელიც მე არ მეცოდინება. ფაქტი ერთია: აქ ჩამოთვლილ მოზარდებზე ახლა არავინ ამბობს (თანამედროვეთა ნაწილი კი ალბათ აკრიტიკებდა კიდეც), რა უნდოდათ იქ, სადაც იყვნენ, რა მათი საქმე იყო პოლიტიკა, დამსხდარიყვნენ და მშვიდად ესწავლათო...

სანამ ამ ჩემს საფიქრალს ვეჯახირებოდი, რომ სტატიად მექცია, ინტერნეტსივრცეში შემთხვევით გადავაწყდი ძალიან საინტერესო ექსპერიმენტს, პროექტს, რომელშიც მონაწილეობენ 15 მოზარდი და მასწავლებელი – ფილოსოფოსი ლევან ღამბაშიძე. ისინი ერთმანეთის ოპონენტები არიან და ძალიან საინტერესოდ მსჯელობენ, თავიანთ არგუმენტებს წარმოადგენენ საკითხზე: *აქვს თუ არა მასწავლებელს უფლება, განიხილოს მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები მოსწავლეებთან ერთად?* ამ ვიდეოში ჩემთვის მთავარი იმის დანახვაა, რომ მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ცდილობს, პასუხი იპოვოს იმ კითხვაზე, რომელიც აწუხებთ მათ და მათთან ერთად – მთელ სასკოლო თუ არასასკოლო საზოგადოებას; საშუალებას აძლევს მოზარდებს, თავისუფლად გამოთქვან თავიანთი შეხედულებები, იყვნენ კრიტიკულნი, იფიქრონ არგუმენტებზე და თუ სხვისი არგუმენტი აღმოჩნდა დამარწმუნებელი, ამის აღიარებაც შეძლონ. უყურეთ თქვენც: https://www.youtube.com/watch?v=1KyWTySN6vo

მარიამ გოდუაძე

ნშშმ ბავშვები – ნიჭიერები შეზღუდვებით

„კვანტური ოპტიკის საფუძვლების ლექტორმა პირველი ტესტის დაწერის შემდეგ კაბინეტში მიხმო. ფორესტ, სიმართლე მითხარი, ამ განტოლების პასუხები წინასწარ მოგცესო? მე თავი გავაქნიე. მაშინ პროფესორმა ჰუკსმა ფურცელს დახედა და, გაკვირვებულმა, თავის ქნევით წამოიძახა, ღმერთო დიდებულოო! ინგლისურის ლექციაზე კი საქმე სულ სხვაგვარად მიმდიოდა. მკაცრი ლექტორი მყავდა, რომელიც ძალიან ბევრს ლაპარაკობდა. პირველი ლექციის ბოლოს დაგვავალა, ავტობიოგრაფია დამიწერეთო. არ გამჭირვებია, წინასწარ ხო გამაფრთხილეს, ინგლისურის გამოცდაზე რო ჩაიჭრა, მაინც დაგეხმარებითო. ჰოდა, მეც დავჯექი და მთელი ღამე ვწერდი, რაც თავში აზრად მომდიოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ მისტერ ბუნმა შენიშვნებით აჭრელებული ავტობიოგრაფიები დაგვიბრუნა და კარგადაც დაგვცინა. ჩემთან რო მოვიდა, ვიფიქრე, აი, კიდე ერთხელ მომეჭრა თავი-მეთქი, მაგრამ უცებ ჩემი ავტობიოგრაფიის ხმამაღლა კითხვა დაიწყო... ორიგინალურობაც ამას ჰქვია! აი, რას ვითხოვ თქვენგან, – თქვა მან, – მისტერ გამპ, ასეთი რამ როგორ დაწერეთ? ყველა ჩემკენ მოტრიალდა, მე კი ვუპასუხე: – მეფსია!“

უინსტონ გრუმი, „ფორესტ გამპი“

ვინ არიან ნშშმ ბავშვები?

ზოგიერთ ნიჭიერ მოსწავლეს შესაძლოა ჰქონდეს შესაძლებლობის შეზღუდვა – მენტალური დარღვევის ან განვითარების დარღვევის დიაგნოზი ერთ ან რამდენიმე სფეროში. ამ შემთხვევაში ბავშვი ორმაგად განსაკუთრებულია. მაგალითად, მოსწავლის მხედველობის, სმენის ან გადაადგილების/მოტორიკის შეზღუდული უნარი ან თუნდაც სწავლის უნარის დაქვეითება/დასწავლის სირთულეები არ გამორიცხავს განსაკუთრებული ნიჭის არსებობას. თუმცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები წარმოადგენენ რისკჯგუფს, რომ მათი განსაკუთრებული უნარები და ნიჭი შეუმჩნეველი დარჩეს.

ერთ-ერთი მდგომარეობა, რომელშიც ნიჭიერება შესაძლოა შერეული იყოს სხვა ტიპის საჭიროებასთან, არის აუტიზმი. აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების გარკვეულ ნაწილს საკმაოდ მაღალი ინტელექტი და განსაკუთრებული ნიჭი აქვს. ბავშვი შესაძლოა ფლობდეს ენციკლოპედიურ ცოდნას, მაგრამ ჰქონდეს სირთულეები სოციალურ ურთიერთობებში. ასეთ ბავშვებს სჭირდებათ სპეციალური ხელშეწყობა სოციალურ ადაპტაციაში, განურჩევლად იმისა, რამდენად მოწინავეები არიან აკადემიურად. არსებობს მითი, რომ აუტისტი ბავშვები ყოველთვის განსაკუთრებით ნიჭიერები არიან, თუმცა კვლევები ადასტურებს, რომ აუტისტური სპექტრის დარღვევათა მქონე ადამიანების დაახლოებით 70%-ს აქვს შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობები, რაც ნიშნავს, რომ მათი IQ 38/74 70-ზე დაბალია. დანარჩენ 30%-ს აქვს ინტელექტი, რომელიც საშუალოდან ნიჭიერებამდე მერყეობს. აუცილებელია, გვახსოვდეს, რომ აუტიზმი და ინტელექტი ორი განსხვავებული მახასიათებელია. ნებისმიერი დონის ინტელექტის მქონე ადამიანი შეიძლება იყოს აუტისტი, მაგრამ ხშირად, თუ ბავშვი ნიჭიერი და ამავე დროს აუტისტია, ნიჭიერებას აუტიზმს მიაწერენ ხოლმე. თუმცა ნიჭიერებასა და აუტიზმს აქვს მსგავსი თვისებებიც, როგორიცაა, მაგ., ინტელექტუალური აღგზნებადობა და სენსორული თავისებურებები.

ზოგიერთ ნიჭიერ მოსწავლეს შესაძლოა ჰქონდეს შესაძლებლობის შეზღუდვა – მენტალური დარღვევის ან განვითარების დარღვევის დიაგნოზი ერთ ან რამდენიმე სფეროში. ამ შემთხვევაში ბავშვი ორმაგად განსაკუთრებულია.

ნშშმ მოსწავლეების იდენტიფიცირება ხშირად რთულია. შესაძლოა, იმის გამოც, რომ ისინი, როგორც წესი, ვერ ერგებიან ვერც მხოლოდ ნიჭიერი ბავშვის და ვერც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტერეოტიპს. ბევრი ნშშმ ბავშვის განსაკუთრებული ინტელექტუალური ნიჭი რჩება უღიარებელი, ბევრი ოფიციალურად არ არის იდენტიფიცირებული როგორც ნიჭიერი შშმ მოსწავლე.

საინტერესოა, რომ ნიჭიერება და აუტიზმი სხვა მსგავსი თვისებებითაც ხასიათდება. ესენია:

- იდეალიზმი;
- ერთ კონკრეტულ თემაზე ინტენსიური ფოკუსირება;
- სწავლის მაღალი მოტივაცია;
- სენსორული თავისებურებები;
- მდიდარი ფანტაზია;
- მოუსვენრობა;
- ემოციური რეგულაციის დარღვევები;
- ლოგიკური და ზუსტი აზროვნება;
- განსხვავებული/უცნაური აზროვნება.

ზოგიერთ ბავშვს ყველა ზემოთ აღწერილი თვისება აქვს, რადგან ისინი ნიჭიერებიც არიან და აუტისტებიც. შესაძლოა, მოსწავლე არ ლაპარაკობდეს და თავს არიდებდეს თვალით კონტაქტს და შეხებას, მაგრამ შეეძლოს საფორტეპიანო კონცერტის დაკვრა ერთხელ მოსმენის შემდეგ.

აუტიზმისა და ნიჭიერების თანაარსებობაზე საუბარი ადვილია, თუმცა ასეთი განსაკუთრებული ნიჭი იშვიათად გვხვდება. უმეტესად მასწავლებლები და მშობლები აღნიშნავენ, რომ ბავშვს აქვს შთამბეჭდავი, დეტალური ცოდნა საგნებსა და მოვლენებზე, რომლებიც მისი ვიწრო (ფოკუსირებული) ინტერესის ობიექტია. მშობლები, მასწავლებლები და განათლების პოლიტიკის შემქმნელებიც კი ხშირად ფიქრობენ, რომ ყველა განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვი, რომელსაც, სავარაუდოდ, ძალიან გაუმართლა, აუცილებლად წარმატებული იქნება სკოლაში, ისიამოვნებს ურთიერთობებით, ისწავლის ძალისხმევის გარეშე, მიაღწევს აკადემიურ წარმატებას და ემოციურადაც ჰარმონიულად განვითარდება. სამწუხაროდ, ხშირად შეცდომით ვარაუდობენ, რომ მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობები და განსაკუთრებული ნიჭი იცავს ბავშვებს და ისინი არ ეჯახებიან იმ სირთულეებსა და გამოწვევებს, რომლებსაც დანარჩენი, ტიპური განვითარების მქონე ბავშვები[1].

ასევე მცდარია ვარაუდი, რომ ნიჭიერი ბავშვები საბოლოოდ წარმატებულები იქნებიან ცხოვრებაში, განურჩევლად იმისა, რას განიცდიდნენ სკოლაში სწავლის დროს. რეალობა საპირისპიროს ამტკიცებს: სამწუხაროდ, ყველა ნიჭიერი ბავშვი როდია წარმატებული. ბევრი განსაკუთრებით ნიჭიერი ვერ აღწევს მაღალ შეფასებას, ვერ ამართლებს ნიჭიერების სტერეოტიპებს და ხშირად ეწინააღმდეგება კიდეც მათ. ზოგიერთი ძალიან ნიჭიერი ბავშვი ყოველდღიურად ჩუმად ებრძვის ამოუცნობ, არაიდენტიფიცირებულ შეზღუდულ შესაძლებლობას, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს მის სწავლაზე, აკადემიურ წარმატებასა და ზოგად კეთილდღეობაზე. ზოგი ნელა და მტკივნეულად კითხულობს, ვერ გეგმავს და ანაწილებს დროს ან უჭირს აზრების წერილობით გადმოცემა. ინტელექტუალური (გონებრივი) ნიჭიერება ზოგჯერ შეზღუდული ან კომპრომეტირებულია ისეთი მოულოდნელი გამოწვევებით, როგორიცაა, მაგალითად, კითხვის სირთულე, რამაც ტრადიციულ საგანმანათლებლო გარემოში შესაძლოა გამოიწვიოს დისონანსი, შედეგად კი – ბავშვის აკადემიური წარუმატებლობა და ემოციური დისტრესი. შეზღუდული შესაძლებლობისა და ნიჭიერების მრავალი კომბინაცია არსებობს.

მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებს, რომლებსაც, ამასთანავე, აქვთ ერთი ან მეტი შეზღუდული შესაძლებლობა, ნიჭიერი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები (ნშშმ) ან ორმაგად განსაკუთრებული მოსწავლეები ეწოდებათ. ტერმინი **ნშშმ** მოიცავს ერთი ან მეტი ისეთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ნიჭიერ ბავშვებს, რომლებსაც შეუძლია, გავლენა მოახდინოს სწავლასა და აკადემიურ მოსწრებაზე. ასეთია:

- სპეციფიკური სწავლის დარღვევა – კითხვის დარღვევა (დისლექსია), წერილობით აზრის გადმოცემის დარღვევა (ზოგჯერ შეცდომით უწოდებენ დისგრაფიას), მათემატიკური უნარის დარღვევა (დისკალკულია);
- კომუნიკაციის დარღვევები;
- ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი (ADHD), განსაკუთრებით – მისი უპირატესად უყურადღებო პრეზენტაცია (PIP) ჰიპერაქტიურობის, იმპულსურობის, დაუმორჩილებლობის ან დარღვევის ხილული სიმპტომების გარეშე;
- აუტიზმი, განსაკუთრებით – ეგრეთ წოდებული მაღალი ფუნქციობის აუტიზმი;

- მოტორული დარღვევები – კოორდინაციის უნარის დარღვევა, რაც თავისთავად გავლენას ახდენს წერის უნარზე;
- სენსორული (სმენის, მხედველობის) დარღვევები;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობები, როგორიცაა დეპრესია და შფოთვითი აშლილობა.

ზემოთ ნახსენები არცერთი მდგომარეობა არ არის დაკავშირებული ინტელექტთან. როგორც უკვე ითქვა, ნიჭიერება არ გამორიცხავს შეზღუდული შესაძლებლობების არსებობას და პირიქით. მაღალი ინტელექტის კოეფიციენტი არაფრისგან აზღვევს ბავშვებს. ინტელექტის დაბალი მაჩვენებელი ერთადერთი შეზღუდული შესაძლებლობაა, რომელიც ლოგიკურად შეუძლებელია თან ახლდეს ინტელექტუალურ ნიჭიერებას, თუმცა მხოლოდ ინტელექტუალური ნიჭიერება ვერ იცავს ბავშვს ნებისმიერი სხვა შეზღუდული შესაძლებლობისგან, რომელიც ინტელექტუალურ შესაძლებლობებს არ გულისხმობს. ამრიგად, ნშშმ მოსწავლეებთან გვხვდება მაღალი კოგნიტიური უნარები და თანდაყოლილი შეზღუდული შესაძლებლობის ფორმები. შესაბამისად, ნშშმ მოსწავლე არის ის, ვინც ინტელექტუალურად დაჯილდოებულია და, იმავდროულად, მის თავს „რაღაც ისეთი ხდება“, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მის აკადემიურ მიღწევებს და/ან სოციალურ-ემოციურ კეთილდღეობას.

ნიჭიერი ბავშვების შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობების ნუსხა მრავალფეროვანია. ეს შესაძლებლობები შესაძლოა იყოს როგორც თვალსაჩინო/ხილული, ისე არათვალსაჩინო/უხილავი. ზოგჯერ ნშშმ ბავშვს აღწერენ როგორც ნიჭიერს სწავლის უნარის დარღვევით, თუმცა ზოგიერთ ნშშმ ბავშვს საერთოდ არ აქვს „სწავლის უნარის დარღვევა“ და მხოლოდ გამოხატვის/გადმოცემის სირთულეს განიცდის. ერთმა ასეთმა მოსწავლემ მულტიდისციპლინური გუნდის წევრს უთხრა: „არა, ვერ ვიტყვი, რომ სწავლის უნარი არ მაქვს. არ მიჭირს ახლის პირველად დასწავლა. არ მიჭირს იმის გახსენება, რაც ვისწავლე. რაც მე მახასიათებს, ის არის, რომ გამოცდაზე, ხშირად გაკვეთილზეც, მიჭირს იმის დამტკიცება, რომ ეს ნამდვილად ვისწავლე“.

რა ახასიათებთ ნიჭიერ შშმ მოსწავლეებს?

- ნიჭიერ შშმ მოსწავლეებს შეუძლიათ კომპლექსური

ურთიერმიმართებების იდენტიფიცირება და გაგება, პრობლემის გადაჭრის დახვეწილი სტრატეგიების გამოყენება, ახალი იდეების გენერირება და ანალიზი.

- მათ შესაძლოა ჰქონდეთ სრულიად განსაკუთრებული ვერბალური გამოხატვის უნარი, მოულოდნელად დახვეწილი ლექსიკა (რამაც შესაძლოა შთაბეჭდილება მოახდინოს მასწავლებლებზე, მაგრამ უარყოფითად იმოქმედოს ამავე ასაკის ტიპურ თანატოლებთან კომუნიკაციაზე).
- მათ ასევე შეუძლიათ ერთი შეხედვით მარტივი მოვლენის პოტენციური შედეგების საფუძვლიანი და მასშტაბური გააზრება.
- ნიჭიერების სხვა ტიპური მახასიათებლები შეიძლება მოიცავდეს: აქტიურ წარმოსახვას, საოცრად მოწიფულ ინტერესებს ან მოსაზრებებს, ფართო ზოგად ცოდნას და აღფრთოვანებას რთულ, აბსტრაქტულ პრობლემებთან შეხებისას.
- ნიჭიერი შშმ ბავშვები, წესისამებრ, ერთი მხრივ, უსწრებენ ასაკობრივ განვითარებას, მეორე მხრივ კი ჩამორჩებიან მას. შესაბამისად, ნშშმ ბავშვებს შესაძლოა ჰქონდეთ გასაოცარი ინტელექტუალური შესაძლებლობები, მაგრამ ძალიან უჭირდეთ კითხვა, მართლწერა, აზრის წერილობით გადმოცემა, კალმის ჭერა, სიტყვის დამახსოვრება, საბაზისო გამოთვლა და სხვა ერთი შეხედვით მარტივი და ძირითადი აკადემიური ამოცანების (განსაკუთრებით ტესტების) შესრულება. იგივე ხდება ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. მაგალითად, ფეხსაცმლის თასმების შეკვრა შესაძლოა ზედმეტად რთული ამოცანა აღმოჩნდეს ნშშმ ბავშვისთვის. ნიჭიერ შშმ ბავშვებს ხშირად აქვთ დროის მართვის, თანმიმდევრული ყურადღებისა და ორგანიზებულობის პრობლემები. ისინი შესაძლოა ცუდად მუშაობდნენ ზეწოლის ქვეშ ან ბუნდოვან, „აბდაუბდა“ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. მათ შესაძლოა გაუჭირდეთ მარტივი, ნაბიჯ-ნაბიჯ ინსტრუქციების შესრულება ან ჰქონდეთ მუდმივი პრობლემები სოციალურ კომუნიკაციასა და თანატოლებთან ურთიერთობაში. ნშშმ ბავშვებმა შესაძლოა საოცრად მაღალ შედეგებს მიაღწიონ აკადემიურ შეჯიბრებებში სკოლის გარეთ, მაგ., ოლიმპიადებზე, მაგრამ იღებდნენ საშუალო შეფასებას სკოლაში. ასევე, ნშშმ მოსწავლეები შესაძლოა

გამოირჩეოდნენ ტესტებში, მაგრამ უჭირდეთ პასუხების წერა ცარიელ გვერდზე ან პირიქით. მათი უნიკალური შესაძლებლობები ზოგჯერ შეუმჩნეველი რჩება, რადგან აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები, რომლებიც არაიდენტიფიცირებულია. ნშშმ მოსწავლეების აკადემიური მოსწრება და ნიშნები, წესისამებრ, არ ასახავს მათ განსაკუთრებულ ინტელექტუალურ ნიჭს და ამ შეუსაბამობამ შესაძლოა გრძელვადიანი გავლენა მოახდინოს მათ თვითშეფასებასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

როგორ ამოვიცნოთ ნშშმ მოსწავლეები

ნშშმ მოსწავლეების იდენტიფიცირება ხშირად რთულია. შესაძლოა, იმის გამოც, რომ ისინი, როგორც წესი, ვერ ერგებიან ვერც მხოლოდ ნიჭიერი ბავშვის და ვერც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტერეოტიპს. ბევრი ნშშმ ბავშვის განსაკუთრებული ინტელექტუალური ნიჭი რჩება უღიარებელი, ბევრი ოფიციალურად არ არის იდენტიფიცირებული როგორც ნიჭიერი შშმ მოსწავლე. თუმცა ნიჭიერი შშმ მოსწავლეები ხშირად საგრძნობლად განსხვავდებიან თავიანთი ტიპური თანატოლებისგან როგორც ნიჭით (ინტელექტის მაღალი კოეფიციენტით), ისე თანმხლები შეზღუდული შესაძლებლობებით და ნამდვილად „ორმაგად განსაკუთრებულები" არიან. ნშშმ ბავშვის ყველაზე გავრცელებული და მნიშვნელოვანი მახასიათებელია არათანაბარი ან არათანმიმდევრული აკადემიური მოსწრება, რომელიც აუხსნელი და არაპროგნოზირებადია. ამიტომ უკიდურესად მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ყურადღება მიაქციოს მოსწავლის მუდმივ არათანაბარ და უჩვეულო აკადემიურ საქმიანობას, როგორიცაა, მაგალითად, აკადემიური მოსწრების შეუსაბამობა სხვადასხვა დისციპლინაში, ზეპირად ახსნის შესანიშნავი უნარი ან საგნის არაჩვეულებრივი ცოდნა, რასაც თან ახლავს უხალისობა კითხვისას ან წერილობითი დავალების შესრულებისას. მოსწავლის მხრივ მსგავსი ქცევის დემონსტრირებისას აუცილებელია ბავშვის ზეპირი კითხვის, დეკოდირების, წაკითხულის გააზრებისა და მართლწერის უნარების შეფასება მისი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებისთვის. ასეთი შეუსაბამობა შესაძლოა მათემატიკაშიც შეგვხვდეს. მაგალითად, ბავშვმა შესაძლოა გადაჭრას რთული აბსტრაქტული რაოდენობრივი ამოცანები, მაგრამ გაუჭირდეს ძირითადი რიცხვების ფაქტების/მათემატიკური ცხრილების დამახსოვრება.

ნშშმ მოსწავლის ადრეულ ეტაპზე იდენტიფიკაციის სირთულე, წესისამებრ, იმის ბრალია, რომ მისი ძლიერი შემეცნებითი უნარი ჩრდილავს ან აკომპენსირებს შეზღუდულ შესაძლებლობას, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობა, თავის მხრივ, ნიღბავს ან გადაფარავს მაღალ ინტელექტს. შესაბამისად, მოსწავლის ერთი ან რამდენიმე მახასიათებელი შენიღბული, დაჩრდილული ან გაზვიადებულია მეორის მიერ, ამიტომ მოსწავლე ვერც რეგულარულ მაღალ აკადემიურ მოსწრებას აჩვენებს და ვერც მისი შეზღუდული შესაძლებლობის იდენტიფიცირება ხერხდება. ამ შემთხვევაში ნშშმ მოსწავლე შეუმჩნეველი რჩება და მისი სასკოლო მიღწევები შესაძლოა საგრძნობლად ჩამორჩებოდეს იმას, რასაც ნიჭიერი ბავშვისგან უნდა ველოდეთ. ნშშმ მოსწავლეებს სკოლაში შესაძლოა „საშუალო" მოსწრება ჰქონდეთ და ვინაიდან „საშუალო", საზოგადოდ, მიჩნეულია ნორმად, ასეთი ბავშვები ნაკლებად იქცევენ ყურადღებას. ცოტას თუ შეუმჩნევია გარეგნულად საშუალო, სინამდვილეში კი განსაკუთრებულად ნიჭიერი მოსწავლე. ხშირად ნშშმ მოსწავლე პირველად რთული ქცევის გამო ექცევა ყურადღების ცენტრში. ასეთი ქცევა, როგორც წესი, იმედგაცრუების და/ან უხერხულობის შედეგია, როდესაც ბავშვი ადვილად აღწევს წარმატებას რთული და კომპლექსური დავალებების შესრულებისას, მაგრამ მოულოდნელად ვერ ასრულებს მარტივ სასკოლო დავალებებს, რომლებიც სხვებს ძალიან ეადვილებათ[2].

სპეციალური მასწავლებლობის ცხრაწლიანი კარიერის განმავლობაში მე ვასწავლიდი შეზღუდვების მქონე რამდენიმე ნიჭიერს. ისინი ყოველდღე მაოცებდნენ და ძალიან მინდოდა, მათ მშობლებს, მასწავლებლებს და განათლებაში ჩართულ სხვა ადამიანებს ისევე დაეჯერებინათ მათი ნიჭის, როგორც თავად მათ სჯეროდათ. ამქვეყნად ალბათ ბევრი თემო, ანდრია, სოლომონი ან ილიაა, რომლებიც ელიან ჩვენგან ბიძგს, მინიშნებას და დახმარებას, ჩვენ კი ისინი აუცილებლად უნდა გავაძლიეროთ. ამით თავადაც გავძლიერდებით.

შენიშვნები

1 Handbook of Autism and Pervasive Developmental Disorders, by Fred R. Volkmar, 3rd edition (April 29, 2005)

2 http://inclusion.ge/res/docs/2023050216240092828.pdf

გიორგი ჭაუჭიძე

პირველი დღე პირველ კლასში

მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ ამა თუ იმ ქმედების შესასრულებლად გარკვეული ძალისხმევის გაღება მოუწევს და ეს მისი მოვალეობაა. პასუხისმგებლობა მოსწავლემ უნდა იგრძნოს არა მხოლოდ სწავლის, არამედ თანაკლასელებისა და მასწავლებლის მიმართაც.

კარგი იქნება, თუ მასწავლებლები გავითვალისწინებთ შემდეგ შეგონებას: პირველი დღე სკოლაში ისეთივე უნდა იყოს, როგორიც იქნება ოცდამეთექვსმეტე. ამ მოსაზრებას თუ დავეთანხმებით, რამდენიმე დასკვნას გამოვიტანთ:

- ბავშვებს ოცდამეთექვსმეტე დღესაც ისეთივე სითბოთი და რუდუნებით უნდა მოვეპყროთ, როგორითაც პირველ დღეს;
- პირველ დღეს თავი უნდა შევიკავოთ ისეთი მოსართავებისა და პომპეზურობისგან, როგორიც არ გვექნება ოცდამეთექვსმეტე დღეს.

მეორე დასკვნის მიხედვით, გამოდის, რომ პირველ დღეს ბავშვებს ბუშტები, გასაბერი მედუზები და ყვავილების გირლანდები არ უნდა დავახვედროთ. დიახ, არ არის საჭირო. მათთვის საკლასო ოთახი ისედაც სიახლეა. ზედმეტი მოკაზმულობა მათ, ერთი მხრივ, აბნევს და ყურადღებას უფანტავს, მეორე მხრივ კი იმედს უცრუებს სამომავლოდ – ყოველდღე ხომ არ მოვურთავთ ოთახს ბუშტებით?! ჩვენ გვგონია, რომ თუ სხვა მასწავლებლები ბერავენ ბუშტებსა და მედუზებს (დათუნიებს, ბაჭიებს...), უხერხული იქნება, ჩვენც არ გავბეროთ – მშობლები ხომ მაშინვე დაასკვნიან, რომ ჩვენ საკმარისად არ ვინდომებთ, რომ მათი შვილი უგერგილო მასწავლებელთან მოხვდა და ჩვენი კლასიდან ბავშვის გადაყვანას შეეცდებიან. ამიტომ კარგი იქნება, თუ ზედმეტი პომპეზურობისგან თავის შეკავებას სასკოლო კულტურად დავამკვიდრებთ – თუ არცერთი მასწავლებელი არ შეიწუხებს თავს ამისთვის ენერგიისა და სახსრების ხარჯვით.

პირველი გაკვეთილი

პირველი გაკვეთილი, როგორც წესი, გაცნობას ეთმობა, აქცენტით სახელებზე – სწავლება ხომ სახელების დარქმევით იწყება. რასაკვირველია, ჩვენ წინასწარ უნდა გვქონდეს ამობეჭდილი მოსწავლეთა სახელები გასაფერადებელი ასოებით (A4 ფორმატის ფურცელზე სამი სახელი დაეტევა) და ვიცოდეთ.

– გამარჯობა, ბავშვებო! მე ვარ გიორგი და გასწავლით ქართულს. ახლა მინდა, ყველამ მითხრათ თქვენ-თქვენი სახელი. შენ რა გქვია?
– მანანა.
– ძალიან კარგი! შენ რა გქვია?
– მაჰირი, – და ა. შ.

ანუ ასე ზედაპირულად და უბრალოდ დავიწყოთ ბავშვებთან საგანმანათლებლო გზა? რა ვუყოთ სიტყვას, რომელზეც რამდენიმე დღე ვმუშაობდით და წუხელ მისი საბოლოო ვარიანტიც ამოვბეჭდეთ?! მოდი, ჯერ ეს სიტყვა ვნახოთ და ამ კითხვას მერე ვუპასუხოთ:

– *ჩემო საყვარელო ბავშვებო, ღმერთმა მარგუნა, თქვენი მეგზური ვიყო იმ უდიდესი გზის დასაწყისში, რომელსაც სწავლა-განათლება ჰქვია. დღეს თქვენ შემოაღეთ ამ საკლასო ოთახის კარი და ამ კარის გავლით შეგიძლიათ გახვიდეთ როგორც წარმატებისა და ბედნიერების ფართო შარაგზაზე, ისე წვალებისა და დამარცხებების რთულ ბილი-*

კებზეც. ეს თქვენზეა დამოკიდებული და მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ დაგეხმაროთ ბედნიერებისა და წარმატების მიღწევაში...

ჰოდა, ამ სიტყვით ბავშვებს ნუ მივმართავთ – მათთვის ხომ სრულიად გაუგებარი იქნება მისი შინაარსი. მოსმენით კი მოგვისმენენ – ისედაც დამფრთხალები არიან, მაგრამ უარესად დაიბნევიან, დაითრგუნებიან, პირველ სასკოლო ნაბიჯებს სიყალბესთან, გაუგებრობასა და პათეტიკურობასთან დააკავშირებენ.

ნაშრომი წყალში რომ არ ჩაგვეყაროს და წყობილსიტყვაობითაც მოვიწონოთ თავი, შეგვიძლია, ზემოთ მოყვანილი სიტყვის მსგავსი ტექსტი ელექტრონული ფოსტით გავუგზავნოთ მშობლებს ან სულაც სოციალურ ქსელში გავაზიაროთ ჩვენი ფოტოს დანართად. ფოტოსი, რომელზეც, სადღესასწაულოდ გამოწყობილი, სამუშაო მაგიდას ვუზიგართ (ცხადია, იქვე სათანადო ადგილი დაეთმობა თაიგულებსა და დაფის კუთხეს, რომელზეც ცარცით საპირველკლასელო ნახატი იქნება შესრულებული).

დავუბრუნდეთ მოსწავლეებს, რომლებიც მაშინ მივატოვეთ, როდესაც თავიანთ სახელებს გვეუბნებოდნენ. ამის შემდეგ შეიძლება, გამართულად დავსხათ ისინი და ამოვიკითხოთ მათი სია სახელებისა და გვარების მკაფიოდ წარმოთქმით (ამ დროს უკვე ამობეჭდილი სახელის აწევაც კარგი იქნება - მართალია, კითხვა არ იციან, მაგრამ იმას ნამდვილად ყველა ბავშვი მიხვდება, რომ ამ აწეულ ფურცელზე მისი სახელი წერია), რის შემდეგაც მოსწავლე ადგება და იტყვის:

– აქ ვარ, მასწავლებელო!

აქვე დაგვჭირდება იმის ჩვენება-სწავლება, რას ნიშნავს „გამართული ჯდომა“. უნდა შევთანხმდეთ, რომ **თავისუფლება** და **კომფორტი** თავისუფლება და კომფორტია და ორივე ძალიან მნიშვნელოვანია სკოლაში, მაგრამ ასეთივე მნიშვნელობისაა **დისციპლინა** და **პასუხისმგებლობაც**. პირველი ორი კომპონენტი ბავშვებს უნდა ვაგრძნობინოთ, ხოლო მესამესა და მეოთხეს მივაჩვიოთ.

და მივაჩვიოთ პირველივე გაკვეთილიდან. მეტიც: შეიძლება ითქვას, რომ თუ პირველივე გაკვეთილზე მოსწავლეებს ***კომფორტულად*** ვერ გამოვუმუშავეთ ***პასუხისმგებლობის*** ჩვევა და ***თავისუფლად*** არ მივაჩვიეთ ***დისციპლინას***, მერე და მერე დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება ამ მიზნების მისაღწევად და ვერც შედეგით აღვფრთოვანდებით.

არ უნდა დავიწყოთ სიის ამოკითხვა, სანამ ბავშვები ზუსტად ისე არ დასხდებიან, როგორც ჩვენ ვაჩვენეთ. ამისთვის შეიძლება გარკვეული დრო დავკარგოთ, მაგრამ ჯობია, თავში გავწიოთ მეტი ძალისხმევა, ვიდრე მერე დაგვჭირდეს გამუდმებული ჩიჩინი ამა თუ იმ რუტინის ეფექტიანად შესრულებისთვის. კარგი იქნება, თუ თავს შევიკავებთ პირველივე დღეს (მით უფრო – გაკვეთილზე) ისეთი აქტივობების შეთავაზებისგან, როგორიცაა: დაწყვილება, ჯგუფებად განაწილება, ერთმანეთის პირისპირ რიგში დასხდომა და ა. შ. რატომ? – ბავშვები ისედაც სრულიად უცხო გარემოში არიან, მთელი სამყარო აღიარებს ამ დღეს მათი ცხოვრების საეტაპო ნაწილის დასაწყისად და სავსებით საკმარისი იქნება, თუ პირველ დღეს მათ კომფორტულ მოწესრიგებულობაში გავატარებინებთ, დამატებითი რუტინების დასწავლით არ გადავტვირთავთ.

სანამ პირველკლასელებთან აქტივობებს გავაგრძელებთ (შეგახსენებთ, სიის ამოკითხვაზე შევჩერდით), მოკლედ მიმოვიხილოთ ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული სწავლების ოთხი საყრდენი ფაქტორი (ზოგიერთი ამ ოთხეულს ამატებს მეხუთესაც – თანამშრომლობას):

1. **თავისუფლება;**
2. **კომფორტი;**
3. **დისციპლინა;**
4. **პასუხისმგებლობა.**

1. თავისუფლება	2. კომფორტი
3. დისციპლინა	4. პასუხისმგებლობა

1. თავისუფლება

მოსწავლეები გაკვეთილებზე თავისუფლად უნდა გრძნობდნენ თავს. პირველ დღეებში ისინი განსაკუთრებით ღელავენ – ისინი ხომ თავისუფალი სამყაროდან წესებისა და რეგულაციების სამყაროში გადმობარგდნენ. ამას ემატება უცხო გარემოს მიჩვევის სტრესიც. ამიტომ მნიშვნელოვანია, ბავშვებს თავისუფალი საკლასო სივრცე მოვუწყოთ.

დისციპლინის გამომუშავებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს გაკვეთილის პროგნოზირებადობა – როდესაც მოსწავლეებმა იციან, რა რუტინას რა მოსდევს. ცხადია, სიურპრიზებსა და განსხვავებულობას თავისი როლი აკისრია ინტერესის გაღვივებაში, მაგრამ მტკიცე რუტინა გაკვეთილს მოწესრიგებულ პროცესად აქცევს.

თავისუფალ სივრცეში უნდა ვიგულისხმოთ როგორც ფიზიკური, ისე ემოციური კომპონენტები. ბავშვები უნდა ისხდნენ თავისუფლად, გადაადგილდებოდნენ თავისუფლად, საუბრობდნენ თავისუფლად... აქ მთავარია, მათ გამოვუმუშაოთ ერთმანეთის თავისუფლების პატივისცემის უნარი, რაც, სამწუხაროდ, მოზრდილებისთვისაც კი რთული მისაღწევია.

2. კომფორტი

როცა ბავშვი კომფორტულად ვერ გრძნობს თავს, სწავლის მიმართ უსიამოვნო დამოკიდებულება უყალიბდება. შესაძლოა, შესძულდეს კიდეც. კომფორტი მაინცდამაინც პუფებში განრთხმას არ გულისხმობს, რასაკვირველია, თუმცა შესაძლოა, ესეც მოხერხდეს საკლასო ოთახში რამდენიმე პუფის განთავსებით.

მთავარია, ბავშვი ემოციურ კომფორტს გრძნობდეს. ეს დიდწილად მასწავლებლის დამოკიდებულებაზე, ქცევაზე, გამომეტყველებაზეა დამოკიდებული. ერთადერთი, რაც ამ მიმართულებით უნდა გავითვალისწინოთ, ზომიერების გრძნობაა - არც გოროზობა გვმართებს და არც გადამეტებული უწი-პუწი. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ამ ბავშვების მასწავლებლები ვართ და არა მშობლები, ძიძები, დეიდები და ბიცოლები.

3. დისციპლინა

ნათქვამია, სამხედრო საქმეს დისციპლინა უყვარსო. სკოლასაც. როგორ ჩავატარებთ პირველ გაკვეთილს, უდიდესწილად ამაზეა დამოკიდებული მოსწავლეებთან ჩვენი მომავალი ურთიერთობა. კეთილგანწყობა და უსაფრთხო-სახალისო გარემო გაკვეთილებზე უწესრიგობას არ ნიშნავს, მაგრამ დისციპლინაზე აქცენტმა სხვა სიკეთეები (მოსწავლეთა თავისუფლება, ხალისი, შემოქმედებითობა, მოტივაცია, ინტერესი...) არ უნდა შეჭამოს. როგორც ილია იტყოდა, არც უდისციპლინობა ვარგა და არც მხოლოდ დისციპლინიდამ გამოხედვა.

როგორ გადავაქციოთ დისციპლინური უნარ-ჩვევების გამომუშავება სახლისო აქტივობად, თამაშად და მღერად? დისციპლინის გამომუშავებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს გაკვეთილის პროგნოზირებადობა – როდესაც მოსწავლეებმა იციან, რა რუტინას რა მოსდევს. ცხადია, სიურპრიზებსა და განსხვავებულობას თავისი როლი აკისრია ინტერესის გაღვივებაში, მაგრამ მტკიცე რუტინა გაკვეთილს მოწესრიგებულ პროცესად აქცევს.

გამოცდილ მასწავლებლებს თუ დავუჯერებთ, პირველკლასელების დისციპლინირებას არაფერი უნდა – შევიკრავთ კოპებს და ხმის აწევაც კი არ დაგვჭირდება, ასე კოპებშეკრულები გავაგრძელებთ გასუსულ მოსწავლეებთან მუშაობას მთელი ოთხი წელი. მაგრამ რა გემო უნდა ჩაატანონ ბავშვებმა ასეთ გაკვეთილებს?! ამიტომ ჩვენი მიზანი უნდა იყოს ლაღი დისციპლინის უზრუნველყოფა, რაც რთული მისაღწევია, მაგრამ არა შეუძლებელი. მნიშვნელოვანია, მსგავსი მიდგომა გვქონდეს ყველა მასწავლებელს – ამ მიმართულებით თანამშრომლობის ნაკლებობა იწვევს ასიმეტრიულ ქცევას სხვადასხვა გაკვეთილზე.

საკლასო დისციპლინის საწყისების ჩამოსაყალიბებლად შეიძლება გაგვახსენდეს რამდენიმე მარტივი აქტივობა:

დაუბრუნდი ადგილს

პირველ გაკვეთილზე ერთ-ერთი მთავარი მიზანი იქნება, ბავშვები მივაჩვიოთ, შევაგუოთ საკუთარ ადგილს. ამისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ რომელიმე სახალისო და ნაცნობი მუსიკა, სიმღერა, რომლის ჩართვის დროს მოსწავლეები დაიწყებენ ოთახში სიარულს, ხოლო გამორთვისას მეყსეულად დაუბრუნდებიან ადგილებს და გამართულად დასხდებიან.

შეწყვიტე ხმაური

შეიძლება, ბავშვებს მივცეთ თავისუფალი ხმაურის წამები, იმ პირობით, რომ ჩვენს ნიშანზე ყველა შეწყვეტს საუბარს, გასწორდება და სმენად იქცევა. ეს ნიშანი შეიძლება იყოს ტაში, ზანზალაკის დაწკარუნება, ხელის შემართვა და ა. შ.

4. პასუხისმგებლობა

პასუხისმგებლობის გამომუშავება გამართავს სასწავლო პროცესს მთელი სასკოლო პერიოდის განმავლობაში. მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ

ამა თუ იმ ქმედების შესასრულებლად გარკვეული ძალისხმევის გაღება მოუწევს და ეს მისი მოვალეობაა. პასუხისმგებლობა მოსწავლემ უნდა იგრძნოს არა მხოლოდ სწავლის, არამედ თანაკლასელებისა და მასწავლებლის მიმართაც.

ერთიც აღვნიშნოთ: საკლასო შედეგების ეს ოთხი ბურჯი აუცილებელია ნებისმიერი საკლასო ოთახისთვის, სამთავრობო რეგულაციების თანახმად არის ის მოწყობილი, მშობელთა დაკვეთით თუ მასწავლებლის გემოვნებით. ახლა კი გავაგრძელოთ ჩვენი გაკვეთილი (გავითვალისწინოთ, რომ სავსებით შესაძლებელია, ამ მომენტამდე ზოგიერთ საკლასო ოთახში უკვე მეორე გაკვეთილიც კი დაიწყოს, ანუ ჩვენ მიერ გამოყენებული ცნება „გაკვეთილი“ პირობითია).

დავუბრუნდეთ გაკვეთილს და დავიწყოთ მაყვალა მრევლიშვილის გენიალური ლექსის „დილა მშვიდობისა!“ დამუშავება. ეს ლექსი, როგორც წესი, სკოლამდელ ასაკშივე იციან ქართველმა ბავშვებმა.

მასწავლებელი: – ყურადღება, ყურადღება! გავაგრძელოთ ჩვენი გაკვეთილი და ახლა დავაკვირდეთ ამ ილუსტრაციას (გამოყენებულია არჩილ კუხიანიძის ნახატი, – გ. ჭ.):

მასწავლებელი: – რას ვხედავთ ილუსტრაციაზე?

მოსწავლეები: – ბავშვს, კარადას, ყვავილს, მზეს, საათს, ჩიტს, წიგნებს, საწოლს, საბანს, ფანჯარას...

მასწავლებელი: – რას აკეთებს ბავშვი?

მოსწავლეები: – საწოლზე ზის.

მასწავლებელი: – ჩიტი რას შვრება?

მოსწავლეები: – ტოტზე ზის.

მასწავლებელი: – ჩიტი კიდევ რას შვრება ხოლმე?

მოსწავლეები: – დაფრინავს... ჭიკჭიკებს...

მასწავლებელი: – მართალია. ჩიტი ჭიკჭიკებს. კიდევ როგორ შეგვიძლია ამ სიტყვის თქმა?

მოსწავლეები: – ...

მასწავლებელი: – ჩიტის ჭიკჭიკს ზოგჯერ გალობას ვუწოდებთ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩიტი გალობს. ვის უგალობს ეს ჩიტი?

მოსწავლეები: – ბავშვს... მზეს... ყვავილს...

მასწავლებელი: – ბავშვებო, ეს ილუსტრაცია დახატულია ერთი ლექსის მიხედვით. ჩემი აზრით, თქვენ კარგად უნდა იცოდეთ ეს ლექსი. აბა, თუ გაიხსენებთ?

მოსწავლეები: – „ჩიტო, ჩიტო, ნაცარა!..“

მასწავლებელი: – სწორია!.. ეს არის მაყვალა მრველიშვილის ცნობილი ლექსის „დილა მშვიდობისა!“ ილუსტრაცია. მოდი, ერთად გავიხსენოთ ეს ლექსი:

– ჩიტო, ჩიტო, ნაცარა,
ვის უგალობ, ვისა?!
– შენ გიგალობ,
პატარავ,
დილა მშვიდობისა!

– პაწაწინა ყვავილო,
რად გაშალე კვირტი?
– შენთვის მინდა,
პატარავ,
აბა, დამაკვირდი!..

– მზეო, მზეო,
ცხრათვალავ,
ვის უცინი, ვისა?!
– გაიღვიძე, პატარავ,
დილა მშვიდობისა!

– მეც ახლავე ავდგები,
მეც დავიბან პირსა,
ყველას
მოგესალმებით:
დილა მშვიდობისა!

მასწავლებელი ჯერ თვითონ წაიკითხავს ზეპირად ამ ლექსს (შეიძლება, დიდ ფურცელზეც ჰქონდეს დაწერილი და დაფაზე გაკრული ილუსტრაციასთან ერთად), მერე მოსწავლეებთან ერთადაც გაიმეორებს, ბოლოს კიდევ ერთხელ მიუბრუნდებიან ილუსტრაციას და ლექსის დეტალებს ილუსტრაციის დეტალებთან დააკავშირებენ.

ამ ლექსის მიხედვით უამრავი აქტივობის მოფიქრება შეიძლება. მაგალითად, არასწორადწაკითხულ ლექსში შეცდომების დაჭერა. ეს აქტივობა მრავალმხრივ სასარგებლოა – ხელს უწყობს მოსწავლეთა ყურადღების მობილიზებას, ახალისებს ბავშვებს, მუშაობს ფონოლოგიური კომპეტენციის გაწაფვაზე, ავარჯიშებს მეხსიერებას...

– ბავშვებო, ახლა მე კიდევ ერთხელ წავიკითხავ ლექსს, ოღონდ შეცდომებით, თქვენ კი ტაში დაუკარით იმ ადგილას, სადაც შემეშლება. აბა, ყურადღებით!

– ჩიტო, ჩიტო, ნაცარა,
ვის უგალობ, ვისა?!
– შენ გიგალობ, ყმაწვილო,
დილა მშვიდობისა!

– პაწაწინა ყვავილო,
რად გაშალე კვირტი?
– შენთვის მინდა, პატარავ,
აბა, წაიკითხე!..

– მზეო, მზეო, ცხრათვალავ,
ვის უცინი, ვისა?!
– გაიღვიძე, პატარავ,
საღამო მშვიდობისა!

– მეც ახლავე ავდგები,
მეც დავიბან ხელსა,
ყველას მოგესალმებით:
დილა მშვიდობისა!

ამის შემდეგ შეიძლება, ლექსი როლებში გავათამაშებინოთ ბავშვებს. ერთ ჯერზე ოთხი მოსწავლე დაგვჭირდება: „ბავშვი“, „ჩიტი“, „მზე“, „ყვავილი“.

კარგი იქნება ლექსში მოცემული ლექსიკური ერთეულების გამოყენებით ფონოლოგიური აქტივობების წარმართვაც. ამასთან, აქ გამოყენებულია ერთმარცვლიანი (მზე), ორმარცვლიანი (ჩიტი), სამმარცვლიანი (ყვავილი) სიტყვები. ცხადია, ეს ყველაფერი პირველი დღის გაკვეთილებზე ვერ მოესწრება და მომდევნო დღეებში გაგრძელება იქნება საჭირო.



ძალიან სასარგებლო იქნება ნახატიანი ბარათების გამოყენებაც, რომლებსაც, ერთი მხრივ, ბგერების კედელზე განვათავსებთ, მეორე მხრივ, ოთხხაზიან სიბრტყეზე მიმაგრებაში ვივარჯიშებთ ქვემოთ შემოთავაზებული ილუსტრაციის მიხედვით. ვფიქრობ, ადვილი გამოსაცნობია, რომ ასეთ სივრცეში საგნების განლაგება მომავალში ბავშვებს ქართული ანბანის ასოების სწორად განლაგებაში დაეხმარება.

ბავშვებს დავურიგებთ სხვადასხვა ზომაზე დაჭრილ ილუსტრაციებს და ვთხოვთ, მიაკრან დაფაზე ისე, რომ ოთხ ხაზში ჩაატიონ. მოდელირებისთვის თავდაპირველად ჩვენ თვითონ ვაჩვენებთ, სად რომელი სურათის მიმაგრებაა შესაძლებელი. ამ დროს ძალიან კარგია ხმამაღლა საუბარი:

– ეს მზე შეიძლება მივამაგროთ ან ზევით, ან ქვევით... ეს ყვავილი უნდა მივამაგროთ მთელ სიმაღლეზე... ეს ჩიტი შეიძლება მივამაგროთ ზევითაც, ქვევითაც და შუაშიც...

მომავალში მსგავს სავარჯიშოებზე მუშაობა შეიძლება სამუშაო რვეულებშიც. ასეთი დავალება ადრეც შემოგთავაზეთ სარეცხის თოკებისა და ტანსაცმლის გამოყენებით.

კლასის მართვა: გარემო და რესურსები

ქრისტინე სურგულაძე

დიდხანს მეგონა, რომ კლასის მართვა (რომელიც აგრეთვე ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევად მიმაჩნდა სწავლებისას) მხოლოდ მოსწავლეთა ცუდი ქცევის მიზეზებსა და მათთან გამკლავების გზებს უკავშირდებოდა. თანდათან ნათელი გახდა, რომ ასე არ ყოფილა. რასაკვირველია, ქცევის კონტროლი კლასის მართვის მნიშვნელოვანი ნაწილია, მაგრამ ბევრი სხვა რამეც გასათვალისწინებელია, მათ შორის - გარემო და რესურსები.

თუ გაკვეთილის დაგეგმვისას გარემოსა და რესურსებს სწორად გამოვიყენებთ, კლასის მართვის ის ნაწილი, რომელიც მოსწავლეთა ქცევის კონტროლს უკავშირდება, საგრძნობლად გამარტივდება.

კლასის მართვის დროს მასწავლებელი დარწმუნებულია, რომ გაკვეთილი კარგად ჩაივლის. როდესაც გარემოს მართვაზე მიდგება საქმე, უმთავრესად სამ რამეზე კონცენტრირებაა საჭირო: ფიზიკურ რესურსებზე, კლასში მოსწავლეების განაწილებასა და თავად კლასზე.

1. ფიზიკური რესურსების მართვა

ფიზიკური რესურსები გულისხმობს ნებისმიერ რამეს, რაც შეიძლება მოსწავლეებმა ან მასწავლებელმა გაკვეთილზე გამოიყენონ: წიგნებს, რვეულებს, სურათებს, წებოს, მაკრატელს, ფანქრებს... გაკვეთილის დაგეგმვისას ყველა მასწავლებელი წინასწარ ფიქრობს იმაზე, რა და რამდენი დასჭირდება, რამდენად უსაფრთხოა ან რამდენად დაეხმარება ესა თუ ის რესურსი გაკვეთილის მიზნების მიღწევაში. მოსაფიქრებელია ისიც, როგორ იმუშავებენ მოსწავლეები ამ რესურსებზე – დამოუკიდებლად, წყვილებად თუ ჯგუფებად, როგორ და რა პრინციპით განაწილდება რესურსები და ა.შ. ყოველივე ამის წინასწარ გათვლა და დაგეგმვა საგაკვეთილო პროცესის წარმატებით წარმართვის აუცილებელი პირობაა.

არ დაგავიწყდეთ: არასდროს დაარიგოთ რესურსები, სანამ ბავშვებს მათზე მუშაობის წესებს არ აუხსნით. მაგალითად, თუ მასწავლებელმა სამუშაო ფურცლები ინსტრუქციის გაცემამდე ან გაცემის პროცესში დაარიგა, ათიდან ცხრა ბავშვი ამ ფურცლებში დაიწყებს ყურებას და ინსტრუქციას აღარ მოისმენს. კლასიკური შეკითხვის: „მასწ, რა უნდა გავაკეთოთ?“ – მოსმენაც ყველასგან ცალ-ცალკე მოგიწევთ, სათითაოდ პასუხის გაცემაში კი დრო და ენერგია ფუჭად დაგეხარჯებათ.

2. მოსწავლეების განაწილება

როდესაც გაკვეთილს ვგეგმავთ, ყოველთვის ის კლასი გვიდგას თვალწინ, რომლისთვისაც ვირჯებით: რამდენი ბავშვია კლასში, როგორ დგას მერხები, ვინ ვის გვერდით ზის, როგორი ურთიერთობა აქვთ ახლოს მჯდომ მოსწავლეებს – როგორ ურთიერთქმედებენ ისინი ერთმანეთთან, როგორ თანამშრომლობენ და ა.შ.

გაკვეთილის დაგეგმვისას ასეთი დეტალების გათვალისწინება აუცილებელია, რათა წინასწარ მოვიფიქროთ, ვინ სად გადავსვათ, ინტერაქციის რომელი მეთოდის გამოყენება ჯობია და ა.შ.

ზოგიერთი კლასი უფრო მეტხანს ახერხებს მასწავლებლის მოსმენისას კონცენტრაციის შენარჩუნებას (უმთავრესად – უფროსი კლასები). ასეთ დროს უმჯობესია, მოსწავლეები ოვალურად ისხდნენ, რათა ცენტრში მდგომ მასწავლებელს და დაფას/ეკრანს ყველა ერთნაირად ხედავდეს.

თუ გაკვეთილის დაგეგმვისას გარემოსა და რესურსებს სწორად გამოვიყენებთ, კლასის მართვის ის ნაწილი, რომელიც მოსწავლეთა ქცევის კონტროლს უკავშირდება, საგრძნობლად გამარტივდება.

თუ ყველა ამ კითხვას გაკვეთილის დაგეგმვისას დავუსვამთ საკუთარ თავს და პასუხებსაც ვიპოვით, გაკვეთილის მიმდინარეობისას გაცილებით ნაკლები ენერგიის დახარჯვა მოგვიწევს, რადგან კარგი გეგმა, უწინარესად, ჩვენთვისვეა შვებაა.

ზოგიერთი აქტივობა წყვილებად ან ჯგუფებად მუშაობას მოითხოვს. ამ შემთხვევაში მასწავლებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს, როგორ გადაადგილდებიან მოსწავლეები, ვინ ვისთან დაჯდება და რისთვის, როდის გადაჯდება - აქტივობის დაწყებამდე თუ სულაც გაკვეთილის დაწყებამდე – და ა.შ. ამ დეტალების წინასწარ და ზედმიწევნით ცოდნა კლასის წარმატებით მართვის საწინდარია.

3. საკლასო ოთახი

იმისთვის, რომ გაკვეთილმა კარგად ჩაიაროს, უპირველეს ყოვლისა, უსაფრთხო და ჩვენს აქტივობებს მორგებული საკლასო ოთახია საჭირო, მაგრამ რაკი ოთახი, როგორც წესი, ერთნაირია, მასწავლებლემა უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ აქტივობების დაგეგმვისას მისი ზომა და სივრცე მაქსიმალურად გავითვალისწინოთ და შეძლებისდაგვარად ავითვისოთ.

უმცროს კლასებთან აქტივობები ხშირად სირბილს, ხტუნვას, ცეკვას ან სიმღერას გულისხმობს, ამიტომ მნიშვნელოვანია, წინასწარ დავგეგმოთ ყოველი მოძრაობა, რომ საფრთხე თავიდან ავირიდოთ. თუ აქტივობა ძალიან დიდ სარბენ სივრცეს მოითხოვს, უნდა დავრწმუნდეთ, რომ მსგავსი სივრცე ნამდვილად გვაქვს. ცხადია, სივრცის გათავისუფლება მერხების მიწევით შეიძლება, მაგრამ ვინ დაგვეხმარება მერხების მიწევაში? როდის გავაკეთებთ ამას – აქტივობის თუ გაკვეთილის დაწყებამდე? სწორედ ესენია ის საკითხები, რომლებიც საკლასო ოთახის მოწესრიგებას ეხება და კლასის მართვის ასევე უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

თუ ყველა ამ კითხვას გაკვეთილის დაგეგმვისას დავუსვამთ საკუთარ თავს და პასუხებსაც ვიპოვით, გაკვეთილის მიმდინარეობისას გაცილებით ნაკლები ენერგიის დახარჯვა მოგვიწევს, რადგან კარგი გეგმა, უწინარესად, ჩვენთვისვეა შვებაა.

მეორე მხრივ, როცა მოსწავლეთა ყოველი ნაბიჯი წინასწარ არის გათვლილი, მათ ნაკლები დრო რჩებათ ცელქობისთვის, რაც გარკვეულწილად ქცევის კონტროლშიც გვეხმარება. თუმცა ქცევაზე, მისი დარღვევის მიზეზებსა და ამ დარღვევებთან გამკლავების გზებზე მომდევნო სტატიაში გიამბობთ.



მაია იანტბელიძე

ევროპის რენესანსის ფილოსოფიის საწყისები: იოანე პეტრიწი როგორც „არეოპაგიტიკის“ ინტერპრეტატორი

შუა საუკუნეების კულტურამ ბერძნული ფილოსოფია ძირითადად ნეოპლატონიზმის სახით მიიღო. ეს იყო ბერძნული ფილოსოფიის ხსნის უკანასკნელი მცდელობა. ნეოპლატონიზმი როგორც ბაზისი, საფუძველი, ყველაზე მოხერხებული აღმოჩნდა ახალი მსოფლმხედველობის განვითარებისთვის, თუმცა ეს მეტამორფოზა, ტრანსფორმაცია, უმტკივნეულო არ ყოფილა და შემოქმედებით მიდგომასაც გულისხმობდა. ნეოპლატონიზმი ხელახლა აითვისეს განვითარებული ქრისტიანული კულტურის საფუძველზე და ეს, ნეოპლატონიზმის თვალით დანახულ-ათვისებული ბერძნული მსოფლმხედველობა, რენესანსული აზროვნების ფილოსოფიურ საფუძვლად იქცა.

ძველი ქართული ფილოსოფიის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი, ფილოსოფოსი, პოეტი და მთარგმნელი იოანე პეტრიწი, შუა საუკუნეების ფილოსოფიის იმ ხაზს აგრძელებს, რომელიც ქრისტიანულ კულტურაში კაბადოკიელ მოაზროვნეთაგან (გრიგოლ ნოსელი, ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი) მოდის და მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში მიქაელ ფსელოსის ნააზრევში პროკლეს ნეოპლატონიზმს ერთვის.

ტრადიცია პეტრიწს ბიზანტიურ ფილოსოფიას უკავშირებს. ფიქრობენ, რომ იგი კონსტანტინოპოლში განისწავლა, შემდგომ კი ბულგარეთში, პეტრიწონის (ახლანდელი ბაჩკოვო) მონასტერში მოღვაწეობდა. ეს მონასტერი ასევე ჩვენი თანამემამულის, დასავლეთის დიდი დომესტიკოსის გრიგოლ ბაკურიანის ძის დაარსებული იყო. მოგვიანებით პეტრიწი დავით აღმაშენებელმა თავის დაარსებულ გელათის აკადემიაში, მონასტერში მიიწვია.

პეტრიწის მიერ ნეოპლატონური ფილოსოფია, იმ სახით, რომელიც მან ათენის სკოლაში, პროკლე დიადოხოსთან მიიღო, ქართული სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა.

იოანე პეტრიწი დროის შესახებ

აბსოლუტური ერთისა და მატერიის ურთიერთმიმართება ყოველივეში იგივეობასა და განსხვავებას შორის მიმართებაა. ე რ თ ი შეუცნობადი წმინდა იგივეობაა, მატერია (ნივთი) – წმინდა სხვაობა. მათ შორის არსებული ყოველი ვითარება, განურჩევლად იმისა, გრძნობადია ის თუ იდეალური, წარმოადგენს დაპირისპირებულთა ერთიანობას. საქმე გვაქვს დაპირისპირებულთა ერთიანობასა და არა იგივეობასთან; ეს უკანასკნელი მხოლოდ აბსოლუტის მახასიათებელია და შეუცნობელია ჩვენი გონებისთვის. ეს ნიშნავს, რომ ყოველგვარი დაპირისპირებულობისგან თავისუფალი მხოლოდ ღმერთია.

აქ გვაქვს ორმაგი მარტივის გაგება: ერთია, როგორც ყოველივეს უმიზეზო მიზეზი, მეორე – ნივთი, უფორმო მატერია, რომელიც მარტივია, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. რაც მეტია მასში წინააღმდეგობა, მით უფრო დაშორებულია ის უმაღლეს ერთს; ანუ „მარტივი“ და გენიალური – ღმერთი და მარტივი როგორც წინააღმდეგობრივი მატერია.

პეტრიწს იდეალური სფეროს საზომი აინტერესებს. ეს ის სფეროა, რომელშიც არც მოძრაობაა, არც ჟამი და არც სხეულებრივი არსებობა, რადგან იდეალურს არ აქვს ნაწილები. მაგრამ რადგან შინაგანად დიფერენცირებული ფუნქციების მქონე არსებულია (იდეათა სფერო), არსებობის გარკვეული საზომი მასაც უნდა ჰქონდეს.

შუა საუკუნეების კულტურამ ბერძნული ფილოსოფია ძირითადად ნეოპლატონიზმის სახით მიიღო. ეს იყო ბერძნული ფილოსოფიის ხსნის უკანასკნელი მცდელობა. ნეოპლატონიზმი როგორც ბაზისი, საფუძველი, ყველაზე მოხერხებული აღმოჩნდა ახალი მსოფლმხედველობის განვითარებისთვის, თუმცა ეს მეტამორფოზა, ტრანსფორმაცია, უმტკივნეულო არ ყოფილა და შემოქმედებით მიდგომასაც გულისხმობდა.

ტერმინი „განშორება“ პეტრიწთან ორ ცნებას უკავშირდება. პირველი ქვემოდან ზემოთ ზიარების მიმართებას ასახავს და მიგვითითებს სხეულებრივზე, რომელიც სივრცეში დისტანციის მქონეა თავის მიზეზთან. იდეალურში, როგორიცაა ცის სფეროთა მაღლა მდებარე იდეათა სამყარო („ნამდვილ მყოფი“), რადგან სამგანზომილებიანი სივრცე არ არსებობს, ზიარების პროცესი წარმოგვიდგენია როგორც განუშორებელი. „ცას“ როგორც სხეულებრივს, მაგრამ უკვდავს აქაც საშუალო ადგილი უჭირავს – ორი სახის მიზეზს შორისაა. აქ სიძნელეა – პეტრიწი სხეულებრივს ვერ მიაწერს დამოუკიდებელი აქტიურობის უნარს, თუნდაც იმიტომ, რომ განსხეულება მხოლოდ ღვთაებრივი ძალის შედეგია. სხეული, საერთოდ, მხოლოდ იმიტომ არის აქტიური, რომ მასში სული არსებობს. სული შეიძლება განშორებადიც იყოს და განუშორებელიც სხეულისგან (სულის არსებობას ნეოპლატონიკოსები მცენარეებსა და ქვებშიც უშვებენ). სხეულის უბრალო მოძრაობაც კი სულის აქტივობის გამოვლინებაა.

სული პეტრიწთან სხეულის შიგნით კი არ არის, არამედ მოიცავს სხეულს, „ზესთა ძეს და შორის სხეულთაგან“. ანუ სხეული არ არის სულის „საფლავი“.

დემიურგი (აბსოლუტური ძალა) იდეათა სამყაროა, მატერია – ეს სამკუთხედია. დემიურგი პიროვნულობასა და მიზანს მოკლებულია, მას მხოლოდ სიკეთე უნარჩუნდება.

პეტრიწის ონტოლოგიაში საჭიროა დროის პრობლემის, ადგილისა და ანალიზის გაგება; სივრცის პრობლემა მას იმდენად არ აწუხებს. თა-



ვად ტერმინი „სივრცე“ პეტრიწთან ერთია სამი განზომილებიდან („განსაზიდიდან“). ის სიფართეა, სიგრძისა და სიღრმის გვერდით. ის, რასაც დღეს სივრცე ეწოდება, აღინიშნება ტერმინით „ადგილი“. „ადგილი-შორისობა“ სხეულებრივი სპეციფიკაა. ხოლო როცა გვართა და იდეათა ადგილზეა მსჯელობა, ანალოგიის წესით უნდა გაკეთდეს, რადგან იდეალურს არ აქვს მოცულობა, რომელიც ყოველ ვრცეულს ახასიათებს. ასე რომ, სივრცე დამახასიათებელია სხეულთათვის. ყველაფერი, რაც მასშია მოქცეული, შედგენილია და მიზნობრივ მოძრაობას ემორჩილება. მას თავშივე აქვს თავისი მოძრაობის მისკენ მისწრაფება. სულ სხვა სტრუქტურისაა დრო. ის, ტრადიციულად, თავსატეხს წარმოადგენდა და არც პეტრიწთანაა ამ მხრივ სიმარტივე.

პეტრიწის კომენტარებში მთელი სისრულითაა მოცემული არისტოტელეს მოძღვრება დროის შესახებ. მრავალი მოაზროვნე მიიჩნევდა, რომ არისტოტელეს, მიუხედავად მის მიერ გაკეთებული სპეციფიკური ანალიზისა, დროის პრობლემის გადაჭრის საქმეში პლატონზე წინ არ წაუწევია. პლატონი აკრიტიკებდა კიდეც არისტოტელეს ამ პოზიციიდან. პეტრიწიც ამ ტრადიციას მისდევს, ცდილობს, აჩვენოს, რომ ძირითადი და არსებითი დროის პრობლემაში პლატონისგან მოდის.

გასაოცარია ის გარემოება, რომ მთელ ამ კვლევაში სიტყვა „დრო“ არსადაა. მისი შესატყვისი იმდროინდელ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში არის „ჟამი“. დრო იხმარება „ვადის“ ან ხვედრის გაგებით. „ვადას“ ნიშნავს ის რუსთველთანაც. ეს ჩვენი ეროვნულობის უკეთ გასაგებად გამოგვადგება – დროის მიჩნევა „ვადად“, რომელიც მიცემული აქვს ადამიანს და, საერთოდ, ყოველ კონკრეტულ არსებას, იმაზე მიუთითებს, რომ დრო ქართულ ენით ცნობიერებაში ძალზე მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის ცხოვრების საზრისთან, მის ამქვეყნიურ მოვალეობასთან. ეს კავშირი პეტრიწთანაც მკაფიოდ ჩანს, მაგრამ ტერმინი „დრო“ მას ძალიან სუბიექტურად მიაჩნია.

პეტრიწი ტერმინებს აზუსტებს. მისი აზრით, ქართული სიტყვა „ჟამი“ ბერძნული „ქრონოსის“ შესატყვისად არ გამოდგება, ამიტომ პეტრიწი ქრონოსს ქართული ტრანსკრიფციით ხმარობს. ეს საჭიროა დროის პლატონური კონცეფციის, კერძოდ, გრძნობადი და ზეგრძნობადი სამყაროების დროების განსხვავებულობის დებულების დასაბუთებლად. არისტოტელე ამტკიცებდა, რომ „დრო მოძრაობის ზომაა“. ეს ნიშნავს, რომ დრო ვრცელდება მხოლოდ იმაზე, რაც მოძრაობს, ანუ მხოლოდ იმაზე, რაც კოსმოსშია, პირველი მამოძრავებელი კი მის მიღმაა. რამდენადაც მხოლოდ სხეულები არ არსებობენ, პეტრიწს სურს, დაასაბუთოს, რომ ყოველივე არსებულს აქვს თავისი შესაბამისი, ზემოხსენებულისგან განსხვავებული დრო. არისტოტელე წინააღმდეგობად მიიჩნევდა რამდენიმე დროის დაშვებას. პეტრიწი ცდილობს, დაასაბუთოს, რომ კოსმოსის სხვადასხვა სფეროში სხვადასხვა მოძრაობაა, ამიტომ დროც ამ სფეროებში სხვადასხვაგვარია, თუმცა ზედროულის შესაბამისი „დრო“ მასთან მაინც პრინციპულად განსხვავებულია... კოსმოსის შვიდი სფერო არსებობს საყოველთაო დროში („საყოველთაოსა ჟამსა შორისად“), ხოლო გრძნობადი – „ნაწილებისა ჟამსა შორისად“. ამ უკანასკნელში მეტია დაპირისპირება ფორმასა (გუარსა) და მატერიას, მიზნობრიობასა და აუცილებლობას შორის. ამიტომ აქ, ამ წარმავალ, გრძნობად არსებათა სფეროში, მოქმედებს ბედისწერა როგორც განგებისგან განსხვავებული. განგების (წინასწარჭვრეტის) და ბედისწერის განსხვავებულობის საკითხის განხილვისას პეტრიწი ასკვნის: ბედისწერა (ბედი, ხვედრი) შემთხვევითობაში მიიკვლევს გზას. განგება მხოლოდ კეთილის მიზეზად ცხადდება, ბედი კი ნივთთა კავშირებისა, რომელიც საყოველთაო არ არის და მხოლოდ საბოლოო ჯამში, ანგარიშში, ემორჩილება განგებას.

ჟამის მარადიულ ცვალებადობაში მაინც არის რაღაც ისეთი, რაც ჟამს არ ემორჩილება, ე.ი. უსხეულოა. იგი უმაღლესი საწყისის თავისებურ თანაობას (პეტრიწის ტერმინია, თანამყოფს ნიშნავს) გამოხატავს ცვალებადში. იგია საგნის არსება, როგორც მისი ბუნება. წარმავალ საგანთა არსი, არსება წარუვალი და უკვდავია. კვდება ესა თუ ის ადამიანი, მაგრამ არა ადამიანობა.

დროის პრობლემისადმი მსგავსი მიდგომაა სამასი წლის შემდეგ აღორძინების საწყისებთან მდგარ მოაზროვნის – პროკლეს მოწაფე ნიკოლოზ კუზანელის ნაშრომში „ნადირობა სიბრძნეზე“. იგი თითქოს იმეორებს მისთვის უცნობი ქართველი მოაზროვნის დებულებას და ამბობს, რომ მოძრაობის საზომი დროა. პლატონი ღრმად ხედავდა პრობლემის არსს, როცა ამტკიცებდა, რომ დრო, თავის მხრივ, „მარადიულის ხატია“. თუმცა მათი პოზიციები განსხვავდება ერთმანე-

თისგან. მაგალითად, პეტრიწისგან განსხვავებით, რომის ეკლესიის კარდინალი ამტკიცებდა, რომ სამყაროს ჰქონდა დასაწყისი და ექნება დასასრულიც.

დრო როგორც მარადიულის ხატი და სახე, პეტრიწის აზრით, ჰგავს კიდეც თავის იდეალურ ნიმუშს და განსხვავდება კიდეც მისგან. ნეოპლატონიკოსებისთვის შედეგს არ შეუძლია, თავისი მიზეზის მთელი სიმდიდრე და სიდიადე აითვისოს. ამიტომ მარადიულში უძრავად, დროის გარეშე არსებული გრძნობადსა და სხეულებრივში დროითა და მოძრაობითაა წარმოდგენილი სასრულის მოძრაობაში (ცვალებადობაში, წრებრუნვაში, მემკვიდრეობაში), ნარჩუნდება მისი არსება როგორც უძრავი ანუ ზედროული. მარადიულში კი არსებობა და არსება ერთი და იგივეა. მას არც მოძრაობა ახასიათებს, არც აწმყო, წარსული თუ მომავალი. ეს მიღმური, უძრავი მარადისობაა. დროში (წუთისოფელი) კი ყველაფერი სამგანზომილებიანი დროის საშუალებით იზომება.

დროში მოძრაობის სახით არსებობს მარადიულიც (ცის მოძრაობა, საყოველთაო სული) და გრძნობად-წარმავალიც. შესაბამისად, სხვაა საყოველთაო ჟამი, რომელიც მოიცავს საყოველთაო სხეულს, სახელდობრ, ცასა და ნაწილებით ჟამს, ოთხი ელემენტისგან შემდგარს, წარმავლის მომცველსა და განმსაზღვრელს. ცა, მართალია, სხეულებრივია, მაგრამ შედგება არა ოთხი ელემენტისგან, არამედ მეხუთისგან. ცისა და ციურ სხეულთა შემადგენელ ამ ელემენტს შერჩა ლათინური სახელი – **კვინტესენცია**, რომელიც იოანე პეტრიწისთვის უცნობი იყო.

პეტრიწს იდეალური სფეროს საზომი აინტერესებს. ეს ის სფეროა, რომელშიც არც მოძრაობაა, არც ჟამი და არც სხეულებრივი არსებობა, რადგან იდეალურს არ აქვს ნაწილები. მაგრამ რადგან შინაგანად დიფერენცირებული ფუნქციების მქონე არსებულია (იდეათა სფერო), არსებობის გარკვეული საზომი მასაც უნდა ჰქონდეს. ნეოპლატონიკოსები მას გარკვეული ტერმინით მოიხსენებდნენ, რომლის ქართული შესატყვისიც იპოვა პეტრიწმა – „საუკუნო“, როგორც მარადიულობის აღმნიშვნელი. ამ ტერმინს ექვთიმე ათონელიც იყენებს ბასილი კესარიელის „სწავლანის“ თარგმანში და ეფრემ მცირეც „არეოპაგეტიკის“ თარგმანში.

ლევან ალფაიძე

XX საუკუნის 60-იანი წლების სტუდენტური საპროტესტო მოძრაობები

„მე სამოციანებში გავიზარდე ბი-ბი კინგისა და ტიტო პუენტეს, მაილს დევისისა და კოლტრეინის, მარვინ გაისა და ჯიმი ჰენდრიქსის ჰანგების ფონზე. ამავე დროს, მარცხენა თვალით ვუყურებდი დოლორეს უერტას, სესარ ჩავესს, მარტინ ლუთერ კინგს, მალკოლმ ექსს და დედა ტერეზას“.

კარლოს სანტანა,

მექსიკელი როკმუსიკოსი, ვირტუოზი სოლო-გიტარისტი, პრემია „გრემის“ მრავალგზის ლაურეატი, ვუდსტოკის ლეგენდარული კონცერტის მონაწილე

ალბათ გაგიგონიათ გასული საუკუნის 60-იანი წლების სტუდენტური პროტესტების შესახებ აშშ-ში, საფრანგეთში, გერმანიაში და ევროპისა თუ აზიის სხვა ქვეყნებში. რა მოხდა მე-20 საუკუნის სამოციან წლებში? რამ გამოიყვანა წონასწორობიდან მეტ-ნაკლებად მდიდარი და კეთილმოწყობილი ქვეყნების მილიონობით ახალგაზრდა? რას აპროტესტებდნენ დღევანდელი სტუდენტების ბებიები და ბაბუები? რა შედეგებით დასრულდა სამოციანელი ახალგაზრდების რადიკალური წინააღმდეგობა დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში?

საქართველოს დღევანდელი მდგომარეობისა და მიმდინარე საპროტესტო გამოსვლების ფონზე საინტერესოდ გვეჩვენება გასული საუკუნის ახალგაზრდების პროტესტის, საპროტესტო თემებისა და მიზეზების გააზრება და მათი შედარება დღევანდელობასთან, რომელიც, ცხადია, მნიშვნელოვნად განსხვავდება გასული საუკუნის სამოციანი წლების რეალობისგან.

სტუდენტთა საპროტესტო მოძრაობის ძირითადი მიზეზები ალბათ მეორე მსოფლიოს ომის შემდეგ მსოფლიოში გაბატონებულ განწყობებში უნდა ვეძებოთ. ფაშიზმის, ნაცისტების საკონცენტრაციო ჯოჯოხეთის, ჰოლოკოსტის, სისხლისმღვრელი ბრძოლებისა და, დასასრულ, ჰიროსიმა-ნაგასაკის აპოკალიფსური ბირთვული ეპიზოდის შემდეგ ადამიანებს ომის, ძალადობისა და სისხლიანი დაპირისპირებების გაგონებაც კი აღარ უნდოდათ. ყველა ომის წინააღმდეგი იყო. ომის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა ახალგაზრდობამაც. ზოგიერთი მოსაზრებით, სტუდენტების საპროტესტო გამოსვლებისთვის მსოფლიოს მასშტაბით ნაპერწკლის როლი აშშ-ის მიერ ვიეტნამში დაწყებულმა ომმა შეასრულა (ვიეტნამის ომი, 1945-1974 წ.წ. – ყველაზე სისხლიანი სამხედრო კონფლიქტი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ). 1946 წელს ინდოჩინეთში (რომლის ნაწილსაც წარმოადგენდა ვიეტნამი) საფრანგეთის კოლონიური მმართველობის წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო. რვაწლიანი ბრძოლის შემდეგ საფრანგეთთან დადებული „სამშვიდობო“ შეთანხმების შედეგად ვიეტნამი ჩრდილოეთ განედის მე-17 პარალელზე ორ ნაწილად – ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამად გაიყო.

ეს ე.წ. „შეთანხმება“ დროებით დოკუმენტს წარმოადგენდა და მისი მოქმედება უნდა გაგრძელებულიყო ქვეყანაში საყოველთაო არჩევნების ჩატარებამდე, რომლის შემდეგაც ვიეტნამი უნდა გაერთიანებულიყო. მოვლენები კი ისე განვითარდა, რომ ქვეყნის ჩრდილოეთი – კომუნისტური, ხოლო სამხრეთი ანტიკომუნისტური გავლენების ქვეშ მოექცა. ასეთივე ვითარება იყო კორეის ნახევარკუნძულზეც, სადაც დიდი სახელმწიფოები: სსრკ, ჩინეთი, აშშ, იაპონია და დიდი ბრიტანეთი, – აქტიურად ერეოდნენ შიდა კონფლიქტებით გატანჯული ქვეყნების საქმეებში.

ეს პერიოდი ცივი ომის (კაპიტალისტური დასავლეთისა და სოციალისტური აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის მიმდინარე პოლიტიკური დაპირისპირება) აქტიური ფაზის დასაწყისი გახლდათ. მალე ცივი ომის რიტორიკამ და აშშ-ისა და სსრკ-ის აგრესიულმა პოლიტიკურმა

1965 წლის მაისში სტუდენტთა საპროტესტო აქციამ, ე.წ. თიჩ-ინმა, ბერკლის უნივერსიტეტში ოცი ათასზე მეტ სტუდენტსა და მასწავლებელს მოუყარა თავი და სათავე დაუდო აშშ-ში სტუდენტების მასობრივ გამოსვლებს ომის წინააღმდეგ, რომლებიც 70-იან წლებშიც გაგრძელდა. სტუდენტებისა და ახალგაზრდების შეუპოვრობის დასტური გახდა ახალწვეულთა მიერ სამხედრო სამსახურის უწყების ქაღალდების მასობრივი დაწვა-განადგურება.

ნაბიჯებმა ვიეტნამში მდგომარეობა ღია შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მიიყვანა. თავდაპირველად აშშ სამხრეთ ვიეტნამს მხოლოდ იარაღით ეხმარებოდა, მაგრამ ამერიკისადმი ლოიალური რეჟიმის (საიგონის მთავრობა, პრეზიდენტი ნგო-დიემი) სამხედრო წარუმატებლობის შემდეგ პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა ვიეტნამში ამერიკელი ჯარისკაცები გაგზავნა. სამოციანი წლების ბოლოს ვიეტნამში ამერიკული სამხედრო კონტინგენტის რიცხოვნობამ 500 000-ს მიაღწია. მალე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გაჩაღებულმა ომმა და ინტერვენციამ (რომელიც აშშ-ში ძირითადად კომუნიზმის და „წითელი საფრთხის“ შეჩერების ლოზუნგებით მიმდინარეობდა) ლოგიკური შედეგი გამოიღო, ვიეტნამის ომი და იქ ამერიკელი ახალგაზრდების სიკვდილი მოურჩენელ, ჩირქმდინარე ჭრილობად გადაიქცა.

1965 წლის მაისში სტუდენტთა საპროტესტო აქციამ, ე.წ. თიჩინმა, ბერკლის უნივერსიტეტში ოცი ათასზე მეტ სტუდენტსა და მასწავლებელს მოუყარა თავი და სათავე დაუდო აშშ-ში სტუდენტების მასობრივ გამოსვლებს ომის წინააღმდეგ, რომლებიც 70-იან წლებშიც გაგრძელდა. სტუდენტებისა და ახალგაზრდების შეუპოვრობის დასტური გახდა ახალწვეულთა მიერ სამხედრო სამსახურის უწყების ქაღალდების მასობრივი დაწვა-განადგურება.

მე-20 საუკუნის 60-იანი წლების სტუდენტური მოძრაობა აშშ-ის ისტორიაში ახალგაზრდების აქტივიზმის მნიშვნელოვან პერიოდად იქცა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ში მწვავედ დადგა რასიზმისა და უსამართლობის, ეკონომიკური უთანასწორობისა და უცხოეთის ქვეყნებთან გართულებული ურთიერთობების საკითხი. ახალგაზრდები პოლიტიკური პრობლემების შესახებ დისკუსიების ცენტრში აღმოჩნდნენ და ახალგაზრდული შემართებით იცავდნენ იმას, რაც, მათი აზრით, სწორი და სამართლიანი იყო.

ძალიან მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ, ანტისაომარი აქტივიზმის გვერდით, გაცილებით მწვავედ დადგა სამოქალაქო უფლებებისა და რასიზმის, ქალთა უფლებების, ჰომოსექსუალთა უფლებებისა და გარემოსდაცვითი საკითხები. სოციალური პრობლემებთან დაკავშირებული ყოველი აქტივობა სხვადასხვა ინტენსივობით ცვლიდა მთავრობის დამოკიდებულებასა და პოლიტიკას.



ეს საკითხები, რომლებიც სამოციან წლებში მწვავედ იდგა, დღეს აბსურდულად გამოიყურება: „რატომ სწავლობენ თეთრკანიანი და შავკანიანი ბავშვები სხვადასხვა სკოლაში“; „რატომ არ შეუძლიათ ქალებს, დაიკავონ ზოგიერთი თანამდებობა?“; „რატომ შეიძლება ადამიანის ჯარში გაწვევა 18 წლის ასაკში, მაგრამ არავის აქვს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება 21 წლამდე?“ – ეს ის კითხვები გახლდათ, რომლებიც ადამიანებს გაერთიანებისა და ერთობლივი პროტესტისკენ უბიძგებდა – უსამართლობის, უკანონობისა და უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლა საყოველთაო ბრძოლად გადაიქცა.

საბოლოოდ სამოციანი წლების სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლის კამპანიამ სამუდამოდ შეცვალა აშშ-ის პოლიტიკური ლანდშაფტი და მომავალი თაობების ცხოვრება.

საპროტესტო მოძრაობათა აქტივისტები ხმამაღლა სვამდნენ კითხვებს ტრადიციულ პრაქტიკაზე, წესებზე, კანონებზე, ადამიანების მიმართ მთავრობის დამოკიდებულებასა და იმ უფლებებზე, რომლებიც გარანტირებული უნდა ყოფილიყო ყოველი ამერიკელისთვის, განურჩევლად რასისა, წარმოშობისა, რელიგიური მრწამსისა, ქონებრივი მდგომარეობისა თუ სექსუალური ორიენტაციისა. ეს საკითხები, რომლებიც სამოციან წლებში მწვავედ იდგა, დღეს აბსურდულად გამოიყურება: „რატომ სწავლობენ თეთრკანიანი და შავკანიანი ბავშვები სხვადასხვა სკოლაში“; „რატომ არ შეუძლიათ ქალებს, დაიკავონ ზოგიერთი თანამდებობა?“; „რატომ შეიძლება ადამიანის ჯარში გაწვევა 18 წლის ასაკში, მაგრამ არავის აქვს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება 21 წლამდე?“ – ეს ის კითხვები გახლდათ, რომლებიც ადამიანებს გაერთიანებისა და ერთობლივი პროტესტისკენ უბიძგებდა – უსამართლობის, უკანონობისა და უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლა საყოველთაო ბრძოლად გადაიქცა.

აქვე უნდა ვისაუბროთ იმაზეც, რომ სამოციანი წლების წინააღმდეგობის მოძრაობამ პროტესტის არატრადიციული ფორმების გამოყენება დაიწყო: ნაცვლად პოლიტიკური პარტიის კანდიდატებისთვის ხმის მიცემისა და ლოდინისა, როდის შეცვლიდნენ ისინი პოლიტიკას, სამოციანების გამომსვლელები „პირდაპირი დემოკრატიის“ წესებს ანიჭებდნენ უპირატესობას – მართავდნენ საჯარო მსვლელობებს, პიკეტებს, მჯდომარე საპროტესტო აქციებს, საუნივერსიტეტო საჯარო დისკუსიებს – ე.წ. თიჩ-ინებს – და აგროვებდნენ პეტიციებზე ხელმოწერებს. მიზანი ახალი პროტესტანტების მოზიდვა და სამოქალაქო ზეწოლით ადგილობრივი, შტატისა თუ ფედერალური კანონმდებლობის შეცვლა იყო. ახალგაზრდები ხარჯავდნენ დროს, ენერგიასა და ემოციას უკეთესის მიღწევის იმედით, უფრო სამართლიანი საზოგადოების შექმნის მიზნით.

სამოციანი წლების საპროტესტო მოძრაობათა წარმოშობის მიზეზები

სოციალური ცვლილებებისთვის საპროტესტო მოძრაობებმა პიკს სამოციან წლებში მიაღწია და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამას რამდენიმე მიზეზი ასაზრდოებდა.

პირველი გახლდათ ის, რომ, 30-იანი წლებიდან მოყოლებული, აშშ-ის ფედერალური მთავრობა ძალიან მნიშვნელოვანი გახდა ყოველი მოქალაქისთვის. სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად მიმართავდნენ უშუალოდ მთავრობას (ამერიკის 20-იანი წლების ეკონომიკურმა კრიზისმა ფედერალური მთავრობა იძულებული გახადა, ფედერალური სამთავრობო პროგრამების ამოქმედებით გადაელახა დიდი დეპრესიის სავალალო შედეგები, მოსახლეობის მასობრივი გაღარიბება, საყოველთაო უმუშევრობა და საბიუჯეტო ფულით დაესაქმებინა მოქალაქეები.

მეორე ფაქტორი გახლდათ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის პაექრობა მსოფლიო პოლიტიკასა და ეკონომიკაზე ბატონობისთვის. ეს დაპირისპირება, როგორც ვთქვით, ატარებდა როგორც პოლიტიკურ, ისე მორალურ ხასიათს: ორივე ქვეყანა ცდილობდა მსოფლიოს სხვა ქვეყნების დარწმუნებას თავისი მმართველობის სისტემის უპირატესობაში.

მესამე ფაქტორი, რამაც მძლავრი საზოგადოებრივი პროტესტი გამოიწვია, გახლდათ 50-60-იანი წლების ეკონომიკური აღმავლობა აშშ-ში, რაც კიდევ უფრო ააშკარავებდა ქვეყანაში გაბატონებულ უთანასწორობასა და ეკონომიკურ უფსკრულს თეთრკანიან და ფერადკანიან ამერიკელებს შორის.

მეოთხე ფაქტორს აშკარად გამოხატული კულტურული ხასიათი ჰქონდა: აშშ-ში ეროვნული კულტურის გაჩენამ და ჩამოყალიბებამ უფრო მეტად დააახლოვა ომის შემდგომი თაობის ადამიანები; ტელევიზია ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა და მოქალაქეებს უკვე თავისუფლად შეეძლოთ ქვეყნისა თუ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმდინარე პროცესებისთვის თვალ-ყურის დევნება.

მეხუთე ფაქტორი გახლდათ ომის შემდგომ პერიოდში უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში სტუდენტების რაოდენობის მნიშვნელოვანი მატება. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობდა განათლებული, გულანთებული და დაინტერესებული აქტივისტების კონცენტრაციის ზრდას საუნივერსიტეტო ქალაქებში მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ირენა მახარაძე

განსხვავებული მასალების ხიბლი

როცა გაკვეთილს განსხვავებული მასალებით ვგეგმავ, ზუსტად ვიცი, რომ ყველაზე მოუსვენარი ბავშვებიც დავალებას ყურადღებით შეასრულებენ.

ხელოვნების გაკვეთილებზე სისტემატური სამუშაო მასალები გვაქვს: სახატავი რვეული, ფანქრები, აკვარელი თუ გუაშის საღებავები, პასტელები, მარკერები, ფერადი ქაღალდები, პლასტილინი და ჰაერზე შრობადი თიხა. მაგრამ, როგორც ვაკვირდები, ჩვენი ცნობისმოყვარე მოსწავლეები სიახლით, რაღაც განსხვავებულით, ყოველთვის უფრო მეტად იხიბლებიან და აქტიურდებიან.

როცა გაკვეთილს განსხვავებული მასალებით ვგეგმავ, ზუსტად ვიცი, რომ ყველაზე მოუსვენარი ბავშვებიც დავალებას ყურადღებით შეასრულებენ. აქ მნიშვნელოვანია წინასწარ რესურსების მომარაგება და პრაქტიკული სამუშაოსთვის განკუთვნილი დროის სწორად განსაზღვრა, რომელიც ყოველთვის ახლავს რაიმე თემას. თეორიული ნაწილის განხილვის შემდეგ კი მოსწავლეები იწყებენ მუშაობას ხან ფუმფულა თიხის, ხან ფერადი მავთულების*, ხან მუყაოს, ერთჯერადი თეფშების თუ ჭიქების, თოკების გამოყენებით.

მოდით დავიწყოთ ფერადი ფუმფულა თიხით („ფუმფულა“ ჩვენ დავარქვით, ისე Foam Air dry clay – „ქაფის ჰაერზე შრობადი თიხა“– ჰქვია). (სურათი 1)

როგორც წესი, თავიდან ბავშვები ამ მასალას პირდაპირ საძერწად ვერ აღიქვამენ, ზოგს მხოლოდ ანტისტრესული სათამაშო ჰგონია. არადა, ეს ფერადი ჰაერზე შრობადი თიხაა, ადვილად დასამუშავებელი, არც ხელებს სვრის, არც მაგიდას, არც იარაღებს. შეიძლება მისი მოხატვაც, რაიმე მყარ ზედაპირზე დაკვრა და ეფექტური რელიეფური კომპოზიციების, ქანდაკებების, სათამაშოების და დეკორატიული ნივთების დამზადება.

ფუმფულა თიხასთან შეხებისას პირველი სასიამოვნო მომენტია მისი ფაქტურა, ქაფისებრი, ძალიან რბილი და დამყოლი, თან ფერების დიდ არჩევანს გვთავაზობს. მასალის ეს თვისებები უმალ აღვიძებს მოსწავლეების ფანტაზიასა და შემოქმედებითობას. ზოგ აქტივობაში პლასტილინიც კი ჩავანაცვლეთ ამ თიხით, იმდენად მოსახერხებელია მასთან მუშაობა. თან ერთ

სურათი 1. ფუმფულა თიხა, foam-clay

სურათი 2. ფუმფულა თიხა. რელიეფი – ჩემი ოჯახი

დღეში შრება და თუ კარგად არის დამუშავებული ადვილად არ ზიანდება.

მესამეკლასელებმა რელიეფური კომპოზიციები შექმნეს, „ჩემი ოჯახი“ (სურათი 2) – მუყაოზე ჯერ დახატეს, შემდეგ ფუმფულა ფერადი თიხით დააძერწეს გამოსახულებები.

სურათი 3. დეკორატიული ჭურჭელი თიხით

შერეული ტექნიკა სადაც გვჭირდება ხოლმე, სხვადასხვა პროექტში, იქაც შეუცვლელია ეს ფერადი თიხა. მეშვიდეკლასელები თრიალეთის ოქროს თასის ინტერპრეტაციებზე ფიქრობდნენ. ერთჯერადი ჭიქები (ცოტა მყარი) დაფარეს ამ ფუმფულა თიხით, შემდეგ მოხატეს და ორიგინალური ჭურჭლის დიზაინი გამოუვიდათ. შექმნის პროცესით კი ძალიან ისიამოვნეს (სურათი 3).

ხელმარჯვე ოსტატები ფერად-ფერად, ძაფის ბუსუსებით დაფარულ მავთულებს, ე.წ. „მუხლუხოს ღეროებს“ კარგად იცნობენ (ინგლისურად „pipe cleaners“– „მილების საწმენდი“, თავდაპირველი მნიშვნელობა კი ფრანგულია – „chenille stem“ – „მუხლუხოს ღეროები“). (სურათი 4).

ეს ფაფუკი და ადვილად დრეკადი მასალა, შეიძლება ითქვას, უნივერსალურია. შეგვიძლია გამოვიყენოთ ადამიანის და ცხოველის ფიგურების კარკასის ასაწყობად, კიდურების გასაკეთებლად, სამკაულებისთვის, საკიდებისთვის, დეკორისთვის, საინტერესო კოლაჟების თუ ასამბლაჟების შესაქმნელად და ა.შ.

გაკვეთილზე ამ მავთულების გამოჩენა დიდ აჟიოტაჟს იწვევს ხოლმე. ბავშვებს ძალიან მოსწონთ ეს სიფერადე, ზოგისთვის ნაცნობია, მაგრამ უმეტესობა მეკითხება, რა შემიძლია ამისგან გავაკეთო? მე ამ მავთულებით ადამიანის ფიგურის აგებას ვუხსნი. მერე კი ხვდებიან რასთან აქვთ საქმე და იწყებენ სხვადასხვა ცხოველის, ყვავილების, ნივთების კეთებას. ვცდილობ ისე გავანაწილოთ მასალა, რომ ჯერ დასამუშავებული თემის მიხედვით შეასრულონ დავალება, შემდეგ კი დარჩენილი დრო საკუთარი სურვილისამებრ გამოიყენონ და რაც მოესურვებათ დაამზადონ.

ფერადი მავთულებით ერთ გაკვეთილში შეგვიძლია ვასწავლოთ ფიგურის კარკასის აგება. პროპორციის, სიმეტრია-ასიმეტრიის გასააზრებლადაც ძალიან სასარგებლო აქტივობაა. მეხუთე კლასის მოსწავლეებმა ასეთი „მხიარული კაცუნები“ შექმნეს.(სურათი 5)

თითო მოსწავლეს ორი მავთული დასჭირდება, ერთი მავთულით კეთდება თავი და ხელები, მეორე მავთული გადაებმება მხრებზე, ქვევით ჩამოვუშვებთ, წელთან გადავგრეხთ და ტორსი და ფეხები გამოდის. ამას სადემონსტრაციოდ ვაჩვენებ, რომ პროპორცია დაიცვან.



სურათი 4. ფერადი მავთულები

ბავშვებმა ბევრი იცინეს, როცა ერთ-ორ ფიგურას ზედმეტად გრძელი ხელები აღმოაჩნდა. იმაზეც იხალისეს, რომ ზოგს თავი გამოუვიდა დიდი, ზოგს ტორსი, ზოგს კისერი. შემდეგ განვიხილეთ ადამიანის პროპორციები, დააკვირდნენ საკუთარ სხეულს, რომ, აი, ხელები წვივამდე კი არა, მუხლამდეც არ უნდა სწვდებოდეთ და შეასწორეს მავთულის კაცუნებიც. დრეკადი კიდურების წყალობით სხვადასხვა პოზაში დასვეს, აამოძრავეს, ააცეკვეს, შემდეგ ამ კარკასზე ზოგმა ქაღალდისგან გამოჭრილი სახე და ტანსაცმელი დააწება, ზოგმა პლასტილინით ან ფუმფულა თიხით შემოსა, გარემოც გაუკეთა. მოსწავლეები მუშაობისას ერთმანეთს ეხმარებოდნენ, მეგობრებს უზიარებდნენ იდეებს, როგორ შეიძლებოდა ფეხსაცმელი ან ტანსაცმელი გაეკეთებინათ. ძალიან საყვარელი არსებები შექმნეს, სახელებიც დაარქვეს და პატარა ისტორიებიც მოიგონეს ამ პერსონაჟებით.



სურათი 5. მავთულის კაცუნები

ხელოვნებაში სამუშაო მასალის მრავალფეროვნება და, ზოგჯერ მოულოდნელობაც, მნიშვნელოვანია ბავშვების აღქმის და შემოქმედებითი უნარების განვითარებისთვის. ხელოვნების გაკვეთილზე განსხვავებული მასალების შეთავაზება მოსწავლეებს უფრო მეტად ააქტიურებს, სხვანაირად ანთებს მათ შემოქმედებით ენერგიებს. ასეთ დროს აღარ ფიქრობენ იმაზე, „სწორად“ გამოუვათ თუ არა, იმიტომ რომ ამ განსხვავებული მასალებით მუშაობისას არ არსებობს „წესები“, შეუძლიათ, როგორც უნდათ, ისე შექმნან. მასალით განპირობებულ ამ თავისუფლების შეგრძნებას ბავშვები თავიდან პირდაპირ სახელს ვერ არქმევენ, მაგრამ, შემოქმედების პროცესში მათ აღტაცებულ შეძახილებსა და ანთებულ მზერებში ეს განცდა ნათლად იკითხება. დავალების დასრულების შემდეგ კი ყოველთვის ვუმახვილებ ყურადღებას ამ ფაქტორზე. ვთხოვ, დააკვირდნენ საკუთარ შეგრძნებებს, და თანდათან მიხვდებიან, რომ ხელოვნებაში ასეთივე თავისუფლებით უნდა მიუდგნენ ტრადიციული მასალებით მუშაობასაც, მაქსიმალურად გამოიყენონ მისი შესაძლებლობები და ისიამოვნონ ხატვის თუ ძერწვის პროცესით.

* ამ ფერად მავთულებს და თიხებს ძირითადად, თბილისში ვაგზლის მოედანზე არსებულ საკანცელარიო მაღაზიებში შეხვდებით ხელმისაწვდომ ფასად (მავთულები დაახლოებით 40 ცალი 2,5 ლარი ღირს, ფუფმფულა თიხების 12 ფერიანი მოზრდილი შეკვრა 8 ლარი, ან შესაძლებელია გამოწერაც უცხოეთიდან). ასეთ დეტალებს იმიტომ ვწერ, რომ მე ჯერ ბავშვი არ შემხვედრია, არ ეკითხოს, სად ვყიდულობ ამ მასალებს...

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

წიგნს:
„მედიაწიგნიერების გაკვეთილები“

www.tpdc.ge